

585  
1994

ISSN 0203 - 2023



1994

№№ 18-19

საქართველოს კანლამანზე

# ქადაგი

---

თბილისი

# საქართველოს კარლამანტის უცყარბაში



№18-19(635-636)

მაისი-ივნისი

1994 წელი

## გ ი ნ ა ა რ ს ი

### გაცემის და პირველი პირველი

350. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის რეგლა-  
მენტის შესახებ

351. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნოდარ ჯავახიშვილის საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ

352. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის დროებით  
რეგლამენტში დამატების შეტანის შესახებ

353. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს პარლამენტის მუდმივი  
კომისიების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

354. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ხმის  
დამოკლელი კომისიის არჩევის შესახებ

355. საქართველოს პარლამენტის დადგენილება მეცნიერულ წიგლაურის საქართვე-  
ლოს პარლამენტის კონსილიურ საკონსა კომისიის თაგმჯდომარულ არჩევის შესახებ

356. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თემურაზ კომლეგიშვილის საქართვე-  
ლოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თაგმჯდომარულ არჩევის შესახებ

357. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის დროებით  
რეგლამენტში ცვლილების შესახებ

358. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და  
პოლინერთის რესპუბლიკის მეცნიერობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების  
რატიფიკაციის თაობაზე

359. საქართველოს რესპუბლიკისა და პოლინერთის რესპუბლიკის მეცნიერობისა და  
თანამშრომლობის ხელშეკრულება

360. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის სარეგიონო შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

361. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმება სარეგიონო შეთანხმების ურთიერთობის შესახებ

362. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

363. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულება

364. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

365. საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება

366. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ინვესტიციების ურთიერთწახლისებისა და დაცვის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

367. საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ინვესტიციების ურთიერთწახლისებისა და დაცვის ხელშეკრულება

368. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ

369. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ნიადაგის დაცვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

370. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ბავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთ დაცვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

371. საქართველოს რესპუბლიკის კანონი რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ

372. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

373. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის შესწავლული პარლამენტის კომისიის შექმნას შესახებ

374. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის მიმართვის საფუძველზე ეკონომიკური რეფორმებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად გადაუდებლად განსახილველ კანონპროექტთა შესახებ

375. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თენგზის ბუნიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

376. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ოთარ ლითანიშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

377. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სტატისტიკის შესახებ

378. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სტატისტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

379. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ენერგეტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

380. შეთანხმება ავღანეთსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში, სადაც საბრძოლო მოქმედები მიმდინარეობდა, დაღუპულ სამშედრო მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დაზმარების შესახებ

381. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ავღანეთსა და სხვა სახელმწიფო ებში, სადაც საბრძოლო მოქმედები მიმდინარეობდა, დაღუპულ სამშედრო მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დაზმარების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

382. საქართველოს რესპუბლიკის კანონი იჯარის შესახებ

383. საქართველოს პარლამენტის დადგენილება იჯარის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

384. საქართველოს პარლამენტის დადგენილება კორუფციასა და ორგანიზებულ დამაშვერობასთან ბრძოლის პროცესების გამომკვლევი დროებითი კომისიის შექმნის თაობაზე

## განყოფილება მეორე

საქართველოს პარლამენტის განცხადება

## განყოფილება პირველი

385. საქართველოს პარლამენტის დადგენილება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

386. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საპარლამენტო ფრაქციის შესახებ

387. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპარლამენტო ფრაქციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

388. საქართველოს პარლამენტის დადგენილება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

389. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში ცვლილებების შესახებ

390. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის შეამდგრადობის შესახებ

391. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნიკო ნიკოლაძის იუბილეს აღნიშვნის შესახებ

392. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რადიკალურ-მონარქისტული პარტიის ისებან დეპუტატის მანდატის გაუქმების შესახებ

393. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის დადგენილებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

394. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

395. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ეკონომიკურ რეფორმათა მფარი

სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

396. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რესპუბლიკაში საფინანსო ურთიერთობათა მოწესრიგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების თაობაზე ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წინადაღებათა შესახებ

398. კულტურის, განათლების, მუზიკიური და ინფორმაციის დაწყში შევიზღვისპირა ქვეყნების თაობების თანამშრომლობის კონვენცია

399. საქართველოს პარლამენტის დადგენილება კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში შევიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის კონვენციის რატიფიკაციის თაობაზე

400. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქობულეთის რაიონის ულიანოვკის თემისა და სოფელ ულიანოვკის სახელწოდების შეცვლის შესახებ

401. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ

402. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

403. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის კონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგემცვის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

404. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის აგრძელებულ კომისაში ცვლილების შესახებ

405. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ოურიდიულ კომისაში ცვლილების შესახებ

406. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბორგაცემო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

407. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის კონომიკურ საკონსალის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

408. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ზუგდიდის N 8/67 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

409. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ჩხოროწყუს N 8/69 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

410. საქართველოს პარლამენტის დადგენილება წალენჯიხის N 8/68 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

411. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ

412. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

413. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის აკრატიული კომისიის შემადგნილობაში ცვლილების შესახებ
414. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის პარიილ-დეკემბრის ბიუჯეტის, II კვარტალში გაწეული და III კვარტალში მოსალოონის ხარჯების დაფინანსების შესახებ
415. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სამანდატო, დეპუტატის უთიგისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ
416. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვეტერანების საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ
417. საქართველოს რესპუბლიკის კანონი “სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამტებათა და ცვლილებათა შეტანის თაობაზე
418. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამტებათა შეტანის შესახებ
419. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ
420. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ
421. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ
422. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიისა და აღმამანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ
423. საქართველოს რესპუბლიკის კანონი “გირავნობის შესახებ”
424. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “გირავნობის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე
425. საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება “საწარმოთა შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

## განყოფილება მორი

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება  
საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება

## განყოფილება პირველი

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

#### 350 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით მე-15 მუხლის გარეშე.
2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის წევრს ოთარ მელქაძეს სხდომაზე გამოიქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით რეგლამენტის მე-15 მუხლის რამდენიმე ვარიანტი წარმოუდგინოს პარლამენტს ორი კვირის ვადაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**განცხად გოგუაშვილი**

თბილისი, 1994 წლის 5 მაისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

#### 351 ნოდარ ჯავახიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს ნოდარ ჯავახიშვილი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**განცხად გოგუაშვილი**

თბილისი, 1994 წლის 5 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**352 საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. N 1, მუხ. 6) 37-ე მუხლს სიტყვების “სპორტისა და ტურიზმის კომისია” შემდეგ დაემატოს სიტყვები “ვეტერანების საქმეთა კომისია“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან გერიავა.**

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**353 საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ**  
**საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 18 დეკემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ., N 2, მუხ. 93) მე-4 მუხლს სიტყვების “სპორტისა და ტურიზმის კომისია” შემდეგ დაემატოს სიტყვები “ვეტერანების საქმეთა კომისია“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

**სახელმწიფოს მეთაური ელეარდ შევარდნავა.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გასტად გოგუავა.**

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**354 საქართველოს პარლამენტის წმის დამთვლელი კომისიის  
არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის წმის დამთვლელი კომი-  
სია შემდეგი შემადგენლობით:

აკაკი ბრეგაძე

ნიკოლოზ გონაშვილი

შალვა კეპელია

როინ ლიპარტელიანი

ანდრო ლოლაძე

როზა ლორთქიფანიძე

თამაზ ობგაძე

გელა ქვლივიძე

ზურაბ შენგელია

გია ციშისთავი

ტარიელ ციხელაშვილი

გიორგი წულაია

რამაზ ზიზანიშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რამიშვილ გერი**.

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**355 მევლუდ წიკლაურის საქართველოს პარლამენტის კუნძომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს მევლუდ წიკლაური საქართველოს პარლამენტის კუნძომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**356 თეიმურაზ კოპალეიშვილის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს თეიმურაზ კოპალეიშვილი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**357 საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცელილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. N 2, მუხ. 6):

1. 30-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადაღება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “სპიკერის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ კენჭისყრის წინ რეგისტრაციაში გატარდა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედი“.

2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 10 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**358 საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ზელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

## 359 საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბ- ლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის

### ს ელგარ ულება

საქართველოს რესპუბლიკა და პოლონეთის რესპუბლიკა, რომლებიც  
შემდგომში “მხარეებად” იწოდება,

ერთგულობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა  
და პრინციპებს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის  
საბოლოო აქტის, პარიზის აზალი ევროპის ქარტიისა და ევროპაში  
თანამშრომლობის სხვა ღოკუმენტების პრინციპებს,

დარწმუნებული არიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის  
თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამართლიანი და  
მტკიცე წესრიგის დამგვიღრების აუცილებლობაში,

ითვალისწინებენ ამ ტერიტორიაზე მშვიდობის, უშიშროების, თანხმო-  
ბისა და თანამშრომლობის შენარჩუნებაში თავიანთ საერთო ინტერესებს  
და ერთობლივ პასუხისმგებლობას,

სურთ როგორც ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე, ასევე საერ-  
თაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფარგლებში თანა-  
მშრომლობის განვითარება,

დარწმუნებული არიან, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლო-  
ბის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთობა კეთილმეზობ-  
ლობის პრინციპმა უნდა მოაწესრიგოს,

ესწრაფვიან საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბ-  
ლიკის მეგობრული თანაარსებობისა და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძ-  
ვლის შემნას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

1. მხარეები ურთიერთობას აყალიბებენ საერთაშორისო სამართლის,  
კერძოდ, სუვერენიტეტების პატივისცემის, საზღვრების ურღვევობის,  
ტერიტორიული მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურჩევლობის  
პრინციპებზე დაუუძნებულ ერთმანეთის პატივისცემის, ნდობის, თანა-  
სწორუფლებიანობისა და პარტნიორობის სულისკვეთებით.

2. მხარეები ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის

წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელ-საყრელ პირობებს შექმნიან.

## მუხლი 2

1. მხარეები ვალდებულებას კისრულობებს სადაც საკითხები გადაჭრან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად - მხოლოდ მშვიდობიანი ხერხებით და ადასტურებენ, რომ ერთმანეთთან ურთიერთობისას თავს შეიკავებენ ძალის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარისება.

2. ორივე მხარე გარანტიას იძლევა, რომ მისი შეიარაღებული ძალების მოქმედება შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის საბოლოო აქტს, პარიზის ახალი ევროპის და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის სხვა დოკუმენტებს.

## მუხლი 3

1. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის შესაბამისი დოკუმენტების დებულებების თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ ევროპასა და ამიერკავკასიაში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

2. მხარეები უშიშროებისა და ნდობის განსამტკიცებლად განახორციელებენ საერთო-ევროპულ შეთანხმებულ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში მხარეები ასეთი სახის დამატებით ღონისძიებებს ერთმანეთს შეუთანხმებენ.

## მუხლი 4

1. მხარეები აქტიურად შეუწყობენ ხელს ბირთვული იარაღის შემცირების პროცესს და იმოქმედებენ ქიმიური იარაღის სრული აკრძალვისათვის.

2. მხარეთა აზრით, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების განხორციელება და თავდაცვისთვის საქმარის დონემდე მათი შემცირება ხელს შეუწყობს ევროპასა და ამიერკავკასია-

ში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას.

3. მხარეები თანამშრომლობენ მასობრივი მოსახლის იარაღის გავრცელების წინააღმდეგ რეესტრის განსამტკიცებლად, განსაკუთრებით ევროპასა და ამიერკავკასიაში.

ამასთან დაკავშირებით, მხარეები ყოველ ღონის იხმარენ ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ხელშეკრულების და საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოს სისტემათა სრული გარანტიის უნივერსალიზაციისა და განმტკიცებისაოვის.

4. მხარეები ყოველ ღონის იხმარენ, რომ კონტროლი გაუწიონ იმ მასალების, ტექნოლოგიისა და დანადგარების ექსპორტს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული იარაღის წარმოებისათვის.

ცალკე შეთანხმებათა საფუძველზე, მხარეებს საჭიროების შემთხვევაში სამხედრო სფეროს სხვა საკითხებზეც შეუძლიათ თავიანთი დამკიდებულების ჩამოყალიბება.

## მუხლი 5

1. ისეთი ვითარების შექმნისას, რომელმაც რომელიმე მხარის აზრით, შეიძლება საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, და როცა ასეთი ვითარება ორივე მხარეს ეხება, მხარეები დაუყოვნებლივ გამართავენ შესაბამის კონსულტაციებს იმ ღონისძიებების გამონახვის მიზნით, რომლებიც გაერთიანებული ქრების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად შექმნილი ვითარების გადაწყვეტის შესაძლებლობას ძლიერა.

2. თუ მესამე სახელმწიფო ან მესამე სახელმწიფო იარაღით დაესხმან თავს ერთ-ერთ მხარეს, მეორე მხარე ვალდებულებას კისრულობს არავითარი დახმარება და მხარდაჭერა არ გაუწიოს ასეთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს და მთელი შეიარაღებული კონფლიქტის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაბირის დოკუმენტების შესაბამისად, განახორციელებს ამ კონფლიქტის მოსაგვარებელ ღონისძიებებს.

## მუხლი 6

1. მხარეები განავითარებენ სამთავრობო ორგანიზაციებს შორის შემდგომ კონტაქტებს და კეროვან პირობებს შეუქმნიან საპარლამენტოაშორისო

თანამშრომლობას.

2. ოუ მხარეები მიზანშეწონილად ჩათვლიან, გაიმართება სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრები.

3. საგარეო საქმეთა მინისტრები კონსულტაციებს გამართავენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

## მუხლი 7

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური, მათ შორის სავაჭრო თანამშრომლობის განვითარებას, რომელიც დაეფუძნება საბაზო პრინციპებს და უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს ამგვარი თანამშრომლობისათვის კაპიტალდაბანდებათა, ტექნოლოგიების, საპატენტო და სავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით; ასევე შესაბამის ღონისძიებებს განახორციელებენ საზღვარზე მუშახელის მიმოსვლის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების გატანა-შემოტანის სამართლებრივი რეგულირებისათვის.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ სახელმწიფო და კერძო საწარმოებსა და სხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ, ქართული და პოლონური კოოპერაციული საწარმოების განვითარებას კაპიტალისა და ინვესტიციების სფეროში და მათ მხარდასაჭერად განახორციელებენ ნებისმიერ ხელმისაწვდომ ღონისძიებებს.

3. მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, დახმარებიან სწავლების სფეროში, აგრძელებენ აღმოჩენების სხვა სახის დახმარებას საბაზო ეკონომიკის შენებისა და სრულყოფის პროცესში.

4. მხარეები ურთიერთსარგებლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განავითარებენ ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას და თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის შესაძლებლობების შესაბამისად ერთმანეთს შედავათიან პირობებს შეუქმნიან აღნიშნულ სფეროში.

## მუხლი 8

1. მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რეგიონებს, ქალაქებს, რაიონებს, გმინებსა და სხვა ტერიტორიულ დანაყოფებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას. მხარეები შედავათიან პირობებს შეუქმნიან და ხელს შეუწყობენ ყველა სფეროში ამგვარი თანამშრომლობის

განვითარებას.

2. რეგიონალური თანამშრომლობისას მხარეები ტერიტორიულ გაერთიანებებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპის ზოგადი კონვენციით ხელმძღვანელობენ. ისინი შეეცდებიან, რომ ეს თანამშრომლობა შესაბამის რეგიონალურ დაწესებულებათა საქმიანობაში ჩართონ.

## მუხლი 9

1. მხარეები თანამშრომლობენ ტრანსპორტის ყველა სფეროში ერთობლივი სატრანზიტო და სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების დასახვეწად.

2. მხარეები ტელესაკომუნიკაციით კავშირების, კერძოდ, სატელეფონო, სატელეკსო და ინფორმაციის ელექტრონული გადაცემის სფეროს დასახვეწად განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.

3. მხარეები ითანამშრომლებენ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში როგორც ევროპში, ასევე მსოფლიოს სხვა ადგილებში და ამასთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანოები ცალკე ხელშეკრულებებს დებენ მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

## მუხლი 10

მხარეები ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე ითანამშრომლებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში, მყარი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ყოველწლიურად შეუწყობენ ხელს გარემოს მდგომარეობის, მათ შორის, წყლისა და ჰაერის, ტყისა და ნიადაგის, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვის გაუმჯობესებას.

## მუხლი 11

1. მხარეები ხელს შეუწყობენ მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში, აგრეთვე გამოიყენებენ არსებულ მსოფლიო და ევროპის სტანდარტებს, რომლებიც, კერძოდ, განსაზღვრულია იუნესკოს კონვენციებითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ევროპის კულტურული

მემკვიდრეობის შესახებ კრაქოვის სიმპოზიუმის დოკუმენტებით.

2. მხარეები მათ შორის არსებული შეთანხმებებისა და პროგრამების საფუძველზე ყველა დონეზე განავითარებენ კულტურულ გაცვლას, კერძოდ, მხარს დაუჭირებ შემოქმედებითი კავშირების, აგრეთვე კულტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამშრომლობას და ქართველი და პოლონელი მსახიობებისა და შემოქმედებითი მუშაკების უშუალო კავშირებს.

## მუხლი 12

მხარეები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სხვადასხვა სახის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის განვითარებისათვის, კერძოდ, მოსწავლეების, სტუდენტებისა და სტიპენდიანტების გაცვლის გზით.

მხარეები ადასტურებენ თავიანთ განზრახვების სხვადასხვა დონის უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების დიპლომების, აგრეთვე სამეცნიერო წოდებების ურთიერთცნობის შესახებ.

## მუხლი 13

მხარეები ადასტურებენ, რომ მზად არიან ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ყველა დაინტერესებულ პირს, რათა მათთვის ხელმისაწვდომი განვლენის მეორე ქვეყნის ენა და კულტურა, მხარი დაუჭირონ შესაბამის სახელმწიფო და კერძო თაოსნობას.

## მუხლი 14

1. მხარეები შეღავათიან პირობებს შეუქმნან ბეჭდვითი სიტყვის, წიგნებისა და აუდიო-ვიზუალური მასალების გავრცელებას და თანამშრომლებენ რადიოს, ტელევიზიისა და ბეჭდვითი სააგნტოების სფეროში.

2. კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში ეროვნულ მიღწევათა გავრცელებისათვის, აგრეთვე ამ სფეროში თანამშრომლობის მხარდასაჭერად, მხარეები შექმნან კულტურისა და ინფორმაციის ცენტრებს შესაბამისად პოლონერისას - თბილისში და ქართველისას - ვარშავაში.

3. ორ ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით, ასალგაზრდა თაობათა განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობე-

ბი დადგებენ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობისა და ახალგაზრდათა გაცვლის ხელშეკრულებას.

4. მხარეები ხელს შეუწყობენ მოქალაქეთა ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, პროფესიონალის, ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების, სპორტული ორგანიზაციების, ფონდებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების თანამშრომლობას.

## მუხლი 15

1. მხარეები შეასრულებენ მათვის დაკისრებულ იმ მოვალეობებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანისა და პაროვნების უფლებათა დაცვასთან და ეხება ეროვნულ უმცირესობებს, აგრეთვე გაითვალისწინებენ იმ საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც შეიცავენ, კერძოდ, ადამიანის უფლებების საყოველთაო დექლარაცია და ევროპის უმიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის დოკუმენტი ადამიანთა განზომილების სფეროში.

2. მხარეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ პოლონეთის რესპუბლიკის ქართული წარმომავლობის მოქალაქეებისა და საქართველოს რესპუბლიკის პოლონური წარმომავლობის მოქალაქეების უფლებათა განხორციელებას, აგრეთვე ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის გამოხატვას, განვითარებასა და შენარჩუნებას სრულიად უდისკრიმინაციოდ და კანონის წინაშე სრული თანასწორუფლებიანობის პირობებში.

3. მხარეები ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ პირებს შესაბამის პირობებს შეუქმნიან მშობლიური ენის შესასწავლად.

4. მხარეები ცნობენ სარწმუნოების თავისუფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას, ისელმძღვანელებენ აღნიშნული პრინციპით და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ პირებს მისცემენ გარანტიას პერნელთ რელიგიური აღზრდის უფლება და რელიგიური კულტის ობიექტები და აღიღლები თავისუფალი დასწრების უფლებით.

## მუხლი 16

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ყოველმხრივ თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიული ჰიგიენის სფეროში, კერძოდ, ცივილიზაციურ და ინფექციურ დაავადებათა აღკვეთასა და მათთან ბრძო-



ლაში.

2 მხარები ითანამშრომლებენ შრომის, დაზღვევისა და სოციალური დაცვის სფეროში.

## მუხლი 17

1. ცალკეულ შეთანხმებათა საფუძველზე მხარები ერთმანეთს შეუქმნან სამოქალაქო, საოჯახო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ საქმეებში სამართლებრივი დახმარების ხელსაყრელ პირობებს.

2. მხარები ითანამშრომლებენ ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმის, ეკონომიკური დამნაშავეობის, ნარკოტიკებითა და იარაღით, აგრეთვე ხელოვნების ნაწარმოებებით არალეგალური ვაჭრობის, ავიაციისა და ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების, ყალბი საგადამხდელო საშუალებების გამოშევებისა და გავრცელების, ასევე არალეგალური იმიგრაციის აღსაკვეთად.

## მუხლი 18

ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში, ამ ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 19

1. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებას ექვემდებარება და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

2. ეს ხელშეკრულება იდება 10 წლით და მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მოდევნო 5 წლით, თუ ერთი მხარე ნოტიფიკაციის გზით ერთი წლით ადრე არ აცნობებს მეორეს მის დენონსაციას.

დადებულია ქ. ობილისში, 1993 წლის 20 აპრილს, ორ ეგზემპლარ-ად, თითოეული ქართულ და პოლონურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის

სახელით

ა. ჩიკვაიძე.

პოლონეთის რესპუბლიკის

სახელით

ა. ოლეხოვსკი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

360 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონე-  
თის რესპუბლიკის მთავრობის სარეგიონთაშორისო  
ურთიერთობის შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში ხელ-  
მოწერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის  
რესპუბლიკის მთავრობის სარეგიონთაშორისო ურთიერთობის შეთანხმება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

361 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის  
რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმება სარეგიონთა-  
შორისო ურთიერთობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და პოლონეთის რესპუბლიკის  
მთავრობა, რომლებიც შემდგომში “შხარებად” იწოდება, საქართველოს  
რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის მეცნიერებისა და თანა-  
შრომლობის ხელშეკრულების მერვე მუხლიდან და ტერიტორიულ გაერ-  
თიანებებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის  
შესახებ ვრობის 1980 წლის 21 მაისის ზოგადი კონვენციიდან გამომდინარე,

ითვალისწინებენ, რომ რეგიონთაშორისი თანამშრომლობა ხელს შეუ-  
წყობს საქართველოს რესპუბლიკისა და პოლონეთის რესპუბლიკის  
ურთიერთობის განმტკიცებას,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მხარი დაუჭირონ ამ თანამშრომლობას  
და ხელი შეუწყონ ორი სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ  
პროგრესს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1

1. მხარეები ხელს შეუწყობენ სარეგიონთაშორისო ურთიერთობის განტკიცებისა და განვითარებისათვის გათვალისწინებულ ყოველგვარ ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, ტექნიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა წამოწყებას, აგრეთვე შესაბამისი შეთანხმებების დადებას ამ სფეროებში.

2. ამ შეთანხმებაში ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

“სარეგიონთაშორისო თანამშრომლობა” ნიშნავს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, იურიდიულ, აღმინისტრაციულ, ტექნიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და კულტურულ და კულტურულ სხვა შეთანხმებულ ღონისძიებას, რომელთა მიზანია ორი სახელმწიფოს რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ურთიერთობის განტკიცება და განვითარება, აგრეთვე შესაბამისი შეთანხმებების დადება ამ სფეროში.

“რეგიონალური ხელისუფალნი” - ეს არის ტერიტორიული ხელისუფლება და მისი ორგანოები, რომლებიც წყვეტის რეგიონალურ ამოცანებს თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

“ადგილობრივი ხელისუფალნი” - ეს არის ტერიტორიული ხელისუფლება და მისი ორგანოები, რომლებიც ადგილობრივ ამოცანებს წყვეტის თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მხარეები ერთმანეთს მააწოდებენ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელი იქნება ტერმინების - “რეგიონალური ხელისუფალნი” და “ადგილობრივი ხელისუფალნი” - დასაზუსტებლად.

## მუხლი 2

1. მხარეები რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს მააწოდებენ ინფორმაციას სარეგიონთაშორისო თანამშრომლობის სფეროში ამ ხელისუფლებათა შესაძლო საქმიანობის შესახებ.

2. მხარეები ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე შექმნიან სარეგიონთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი რეალიზაციის პირობებს.

3. ამ შეთანხმებით არ ირღვევა ძალაში ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ორი სახელმწიფოს თანამშრომლობას, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნორმები.

4. ეს შეთანხმება არ არღვევს ორი სახელმწიფოს განონძდებლობით განსაზღვრულ რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფალთა უფლებამოსილებას.

5. ორივე სახელმწიფოს ნებისმიერ ჟამს შეუძლია განსაზღვროს თანამშრომლობის ფორმა და საგანი ან თავისი ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის მიმართაც გამოყენებული არ იქნება ეს შეთანხმება.

### მუხლი 3

1. მხარეები მთელ ძალისხმევას მოახმარენ იმ სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას, რომლებმაც შეიძლება გაართულოს სარეგიონოაშორისო თანამშრომლობის განვითარება და მისი რეალიზაცია.

2. მხარეები ყოველ ღონის იხმარენ იმ სადაცო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც სარეგიონოაშორისო თანამშრომლობას ართულებენ.

### მუხლი 4

1. მხარეები ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიან სარეგიონოაშორისო თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სასურსათო პროდუქტების გადამუშავება, ვაჭრობა, მომსახურება, საზღვაო და სახმელეო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, დაგეგმარება და მშენებლობა, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ფინანსები და საბანკო საქმეები, ტურიზმი, სპორტი, კულტურა, განათლება და მეცნიერება.

2. კერძოდ, სარეგიონოაშორისო თანამშრომლობის საგანი იქნება: რეგიონების, ქალაქებისა და სოფლის განვითარება;

დაგეგმარება და სივრცის ათვისება;

კომუნალური მეურნეობა;

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;

ბუნებისა და გარემოს დაცვა;

ვაჭრობა;

სოფლის მეურნეობა;

განათლება და მეცნიერება, მათ შორის, მეორე სახელმწიფოს ენის შესწავლა;

ჯანდაცვა;

ხელოვნება და კულტურა;  
 ტურიზმი, სპორტი და თავისუფალი ღროის გამოყენება;  
 დამნაშავეობასთან ბრძოლა;  
 ურთიერთდაზმარება სტიქური უბკლურებისა და კატასტროფის შემთხვევაში;  
 ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა სფეროები.

### მუხლი 5

1. ორივე სახელმწიფოს რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფალი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დადებინ ამ შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამოქალაქო-სამართლებრივი თანამშრომლობის და სხვა ხასიათის შეთანხმებებს, იგი, კერძოდ, შეეხება შეთანხმებებს მიწოდებასა და მომსახურებაზე, ერთობლივი საწარმოების, საჯუციო საზოგადოების, გაერთიანებებისა და ფონდების შექმნაზე.

2. ამ შეთანხმების განხორციელება ზემოთ აღნიშნულმა ხელისუფლებმა შეიძლება დაავალონ ფიზიკურ პირებს, აგრეთვე, დაწესებულებებს, საწარმოებსა და სხვა იურიდიულ პირებს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 6

1. ორივე სახელმწიფოს შესაბამისმა ხელისუფლებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალურ და ადგილობრივ ღონიერებზე შეიძლება შექმნან რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკორდინაციო ორგანოები.

2. ორივე სახელმწიფოს რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფალი გეგმავენ და ორგანიზაციას უკეთებენ სარეგიონოთაშორისო თანამშრომლობას ყველა სფეროში, რომელიც ამ შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით არის განსაზღვრული; თუ ეს თანამშრომლობა ეხება საკითხს, რომლის გადაწყვეტა ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების კომპეტენციაში შედის, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების წინადადებები ამ ორგანოების წინასწარ მოწონებასა და თანხმობას საჭიროებს.

## მუხლი 7

1. მხარეები სარეგიონოაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე შექმნიან საქართველო-პოლონეთის სახელმწიფოთაშორის საკოორდინაციო კომისიას, რომელსაც შემდგომში “კომისია” ეწოდება.

2. კომისიის ამოცანაა სარეგიონოაშორისო თანამშრომლობის პროგრამების და ფორმების ზოგადი მიმართულებების განსაზღვრა და კოორდინაცია, რეკომენდაციების მიცემა რეგიონალური და ადგილობრივი საკოორდინაციო ორგანოების მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე იმ საკამაოო საკითხების განხილვა, რომლებიც აბრკოლებენ ამ თანამშრომლობას.

3. კომისიის სხდომები გაიმართება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც.

4. კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა შეუძლიათ რეგიონალური და ადგილობრივი დონის ერთობლივი საკოორდინაციო ორგანოების წარმომადგენლებს.

5. ცალკეული საკითხების შესასწავლად კომისიას შეუძლია მოიწვიოს ექსპურტები.

## მუხლი 8

1. კომისია, რეგიონალური და ადგილობრივი დონის ერთობლივი საკოორდინაციო ორგანოები საქმიანობას წარმართავენ თავიანთი წესდების საფუძველზე. კომისია ამტკიცებს რეგიონალური და ადგილობრივი დონის ერთობლივი საკოორდინაციო ორგანოების წესდებებს.

2. ერთობლივი საკოორდინაციო ორგანოების სხდომებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები დაითვარება იმ ხელისუფლების ორგანოთა სახსრებით, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიან ამ სხდომებზე.

## მუხლი 9

მხარეები ერთობლივ საკოორდინაციო ორგანოებს მისცემენ რეკომენდაციას იმ შეთანხმებებისა და წესდების ნიმუშის გამოყენების თაობაზე, რომლებიც ევროპის 1980 წლის 21 მაისის ტერიტორიული თანამეობრიბის ქვეწებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ზოგადი კონვენციის დანართებს წარმოადგენს.

## მუხლი 10

1. ეს შეთანხმება ექვემდებარება რატიფიკაციას თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და ძალაში შედის ნოტების გაცვლის დღიდან.

2. ეს შეთანხმება იდება ათი წლით. შეთანხმების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო წელში ნოტების პერიოდით, თუ ერთ-ერთი მხარე ნოტიფიკაციის გზით ექვსი თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მის დენონსაციას.

დადგებულია ქ. თბილისში, 1993 წლის 20 აპრილს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და პოლონურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

**ა. ჩივავაიძე.**

პოლონეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

**ბ. მლახოვანი.**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

362 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ხელმოწერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

### 363 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ოურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ოურქეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც სურთ ხელი შეუწყონ მგზავრების გადაყვანასა და სატვირთო გადაზიდვებს ორ ქვეყანას შორის, აგრეთვე ტრანზიტს თავიანთ ტერიტორიებზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1.** ამ ხელშეკრულების დატვირთვის გამოიყენება მგზავრების გადაყვანისა და სატვირთო გადაზიდვების მიმართ ერთი ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიიდან ან ტერიტორიისაკენ, აგრეთვე მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს იმ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით, რომელთაც აქვთ პირველი ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემული საერთაშორისო ტრანსპორტირების უფლება.

**მუხლი 2.** განსაზღვრებანი:

ტერმინი “გადამზიდველი” ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უფლებამოსილია გადაიყვანოს მგზავრები და გადაზიდოს ტვირთი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

ტერმინი “სატრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს:

ა) საქონლის გადაზიდვის დროს ნებისმიერ სატვირთო ავტომობილს, მისაბმელიან სატვირთო ავტომობილს, სამარშრუტო სატვირთო ავტომობილს ნახევრადმისაბმელთან ერთად;

ბ) მგზავრების გადაყვანასთან მიმართებაში - ავტობუსი, რაც ნიშნავს ნებისმიერ საგზაო სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც კონსტრუირებულია რვაზე მეტი (მძლოლის ჩაუთვლელად) მგზავრის გადასაყვანად, აგრეთვე სატვირთო ავტომობილი მათი ტვირთის გადასაზიდად.

ტერმინი “ნებართვა“ ნიშნავს საგზაო-სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულ ნებართვას, რომელიც რეგისტრირებულია ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში და რომელიც გაცემულია მეორე მხარის მიერ, რათა ნება დაერთოს სატრანსპორტო საშუალებას, შევიდეს, დატოვოს და იმოგზაუროს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ნებართვები.

ტერმინი “კულტა” ნიშნავს ნებართვათა ოდნობას, რომელთაც გასცემენ წლიურად თითოეული მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირები.

ტერმინი “რეგულარული საავტობუსო მომსახურება” ნიშნავს კონტრაქტის მონაწილე ორ მხარეს შორის მგზავრების გადაყვანას შესაბამისი გეგმების, ტარიფების, ცხრილების მიხედვით, საგადასაყვანო მომსახურებას, გაჩერებებისა და მგზავრების გადაყვანის რეგულარულობისა და პერიოდების გათვალისწინებით.

ტერმინი “რეგულარული სატრანზიტო საავტომობილო მომსახურება” ნიშნავს რეგულარულ საავტობუსო მომსახურებას, რომელიც იწყება კონტრაქტის მონაწილე ერთ ქვეყანაში, გადაკვეთს კონტრაქტის მონაწილე მეორე ქვეყნის ტერიტორიას გაუჩერებლად და მგზავრების აუყვანლად და მთავრდება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ტერმინი “მიმოსვლითი მომსახურება” ნიშნავს იმ მგზავრთა ორგანიზებულ საერთაშორისო გადაყვანას, რომლებიც წინასწარ ქმნიან ჯგუფებს მათი ერთი ადგილიდან ან დანიშნულების მეორე ადგილამდე გასამგზავრებლად და მათ დაბრუნებას გამგზავრების იმავე ადგილას გეგმით განსაზღვრულ შესაბამის პერიოდში (მგზავრები, რომლებიც მგზავრობენ ჯგუფებად, ვალდებული არიან დაბრუნდნენ იმავე ჯგუფებთან ერთად).

ტერმინი “დახურული კარის მომსახურება” (ტურისტული ტრანსპორტირება) ნიშნავს მგზავრების ერთი და იმავე ჯგუფის საერთაშორისო გადაყვანას ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებით იმ ტურში, რომელიც იწყება კონტრაქტის მონაწილე მხარის ტერიტორიის ერთ განსაზღვრულ ადგილას და მთავრდება კონტრაქტის მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე ახალი მგზავრების აუყვანლად ან დაუტოვებლად.

ტერმინი “სატრანზიტო ტრანსპორტირება” ნიშნავს მგზავრების გადაყვანას ან ტვირთის გადაზიდვას კონტრაქტის მონაწილე ქვეყნის გადაკვეთით იმ გასვლისა და დანიშნულების წერტილებს შორის, რომლებიც მდებარეობენ ამ კონტრაქტში მონაწილე მხარის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 3. თითოეული ხელშემქვრელი მხარე ამ დებულების შესაბამისად აღიარებს ტრანზიტის უფლებას მეორე ხელშემქვრელი მხარის მგზავრების, მათი პირადი ნივთების, კომერციული საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ იმ მაგისტრალებზე, რომლებსაც განსაზღვრავენ თითოეული მხარის ხელისუფლების წარმომადგენლები.



**მუხლი 4.** ხელშემკვრელმა მხარეებმა არ უნდა დაადონ იმპორტის და ექსპორტის გადასახადი ან ბაჟი მეორე ხელშემკვრელი მხარის გადა- ადგილების საშუალებებს, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე, გარდა

1. გადასახადებისა, რომლებიც ეხება ფასიანი საგზაო ქსელის ინ- ფრასტრუქტურის გამოყენებას (გზისა და ხიდის გადასახადი);

2. გადასახადები არადისკრიმინაციულ საფუძველზე, რომლებმაც უნდა დაფარონ განსხვავება საწვავზე შიდასახელმწიფო ორგანიზაციის და საერთა- შორისო ფასებს შორის;

3. გადასახადები, თუ მოძრაობის საშუალებების წონა, ზომა და მოც- ულობა განსხვავდება მეორე ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწი- ფოებრივი კანონმდებლობით დაწესებული ღიმიტებისაგან;

4. გადასახადები, თუ ორივე მხარე შეთანხმებულია, რომ პირველი ქვეყნის სატრანსპორტო საშუალებებმა გადაიტანონ ტვირთი მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განსაზღვრული კვოტის ზევით. ამ შემთხვევას არეგულირებს სპეციალური ოქმი.

**მუხლი 5.** უნდა შეიქმნას ორივე ხელშემკვრელი მხარის წარმომად- გენლების შერეული კომისია. ამ კომისიის კომპეტენციაში შედის:

1. თვალყური ადეკნოს ხელშეკრულების შესაბამის განმარტებას;

2. განსაზღვროს ნებართვის ფორმები, ოდენობა, დრო და გაცვლის გზები;

3. შეისწავლოს და წარმოადგინოს წინადადებები იმ შესაძლო პრობ- ლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ვერ მოგვარდა უშუალოდ კომპე- ტენტური უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ ამ ხელშეკ- რულების 28-ე მუხლის თანახმად;

4. განიხილოს ყველა სხვა შესაბამისი საკითხი, რომელიც ხვდება ამ ხელშეკრულების მოქმედების სფეროში და შეიმუშაოს რეკომენდაციები მათ გადასაჭრელად;

5. განიხილოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც ორმხრივად უნდა შეთანხმდეს და რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასთან.

შერეული კომისია შეიკრიბება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთ- ხოვნისთანავე არჩევით თურქეთში ან საქართველოში.

შერეული კომისიის განსახილველი საკითხები მომზადდება წინასწარ დიპლომატიური არხებით ზემოთ აღნიშნულ დებულებათა საფუძველზე.

შერეულ კომისიას შეუძლია ურჩიოს, რომ ამ ხელშეკრულებაში შეი-

ტანონ დამატებითი მუხლი და გადასცეს იგი კომპეტენტურ ორგანოებს განსახილველად.

### მგზავრების გადაყვანა

**მუხლი 6.** ერთი ხელშემკვრელი მხარის გადამზიდველი განახორციელებს მეორე მხარის ტერიტორიაზე რეგულარულ სატრანსპორტო ან სატრანზიტო მომსახურებას მას შემდეგ, რაც მეორე მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირისაგან წინასწარ მიიღებს წლიურ ასეთი საქმიანობის ნებართვას.

**მუხლი 7.** ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური თანამდებობის პირები წინასწარ გაცვლიან ამგვარი ტრანსპორტირების განხორციელების წინადაღებებს. ამგვარი წინადაღებები შეიცავენ შემდეგ მონაცემებს: გადამზიდველის (კომპანიის) დასახელებას, მარშრუტს, ტარიფების გვერდის დასახელებას, სადაც გადამზიდველი გაჩერდება და აიყვანს ან ჩამოსვამს მგზავრებს, აგრეთვე ამ ტრანსპორტირებისათვის განსახლვრულ პერიოდს და რეგულირებას.

**მუხლი 8.** „დახურული კარის“ (სატრანზიტო-ტურისტული) მოგზაურობის მომსახურება და მიმოსვლითი მომსახურება უნდა განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებამ, რომელიც რეგისტრირებულია იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც მეორე მხარეს არ ექნება უფლება მიიღოს ნებართვა, თუკი ეს მომსახურება ხორციელდება ორივე მხარის შეთანხმებათა საფუძველზე.

**მუხლი 9.** სპეციალური ნებართვა უნდა გაიცეს თითოეულ არარეგულარულ წრიულ საავტობუსო მომსახურებაზე, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამგვარი ნებართვის აღების წესებსა და ფორმებს შეათანხმებენ ორივე მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირები.

### ტვირთის გადაზიდვა

**მუხლი 10.** სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვა ან ტრანზიტი ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე წინასწარ უნდა იყოს ნებადართული. ამ ნებართვას გასცემენ კომპეტენტური თანამდებობის პირები და უნდა ეფუძნებოდეს კვოტას, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა:

1. გარდაცვლილთა გადაყვანა (განსაკუთრებით სპეციალურად ამისთვის განკუთხნილი სატრანსპორტო საშუალებებით);
  2. ოეატრალური წარმოდგენებისათვის დეკორაციების გადაზიდვა;
  3. იმ ტვირთის, აღჭურვილობის და ცხოველების გადაზიდვა, რომლებიც საჭიროა მუსიკალური და კინოშოუებისათვის, საცირკო და ფოლკლორული წარმოდგენებისათვის, სპორტული ასპარეზობისათვის, ტელე და რადიო პროგრამების ჩასაწერად;
  4. ხელოვნების ნაწარმოებების გადაზიდვა;
  5. ცხოველების გადაყვანა (გარდა სასაკლაოზე მათი გადაყვანისა);
  6. გაფუჭებული ან მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;
  7. საფოსტო გადაზიდვები;
  8. აეროპორტებიდან ან აეროპორტებში საქონლის შემთხვევითი გადაზიდვები ფრენის მარშრუტის შეცვლის შედეგად;
  9. დამხმარე მასალების გადაზიდვა სტიქიური უბედურების შემთხვევებში;
  10. ბაზრობებისა და გამოფენებისათვის მასალების გადაზიდვა;
  11. სხვა შემთხვევები, რომელსაც დათქვამს შერეული კომისია ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
- მუხლი 11. ტვირთის თითოეული გადაზიდვისას სატრანსპორტო საშუალებისათვის გაიცემა ერთი წლიური მოგზაურობის ნებართვა. გაცემული ნებართვა იძლევა უფლებას შეაგროვოს ტვირთი მეორე ზელშემძღვრელი მხარის ტერიტორიაზე, თუკი სხვა დამატებითი რამ არ არის განსახლვრული.
- იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება მეორე მხარის ტერიტორიაზე დაუტვირთავი შედის, მისი დატვირთვა იმ ქვეყანაში, სადაც ეს სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული, სპეციალური ნებართვის საგანია.
- მუხლი 12. ნებართვა გაიცემა ერთი წლით და მომავალი წლის ნებართვები შეიცვლება ყოველი წლის ნოემბერში. სხვადასხვა დამატებითი ნებართვები შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, რათა დაკმაყოფილდეს ხელშემძღვრელ მხარეთა მოთხოვნები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
- სატრანზიტო ნებართვა ძალაში იქნება ერთი წლიური სატრანზიტო მგზავრობისათვის ხელშემძღვრელი მხარეების ტერიტორიაზე. იგი ასევე

ძალაში იქნება ერთი სატრანსპორტო საშუალებისათვის და მხოლოდ ერთი გადამზიდისათვის, ვისთვისაც ის გაიცა. თითოეული ზელშემკვრელი მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირები შეიმუშავებენ ამგვარი ნებართვის ფორმებსა და გაცემის წესებს.

### მუხლი 13.

1. ზელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე იარაღის, ამუნიციისა და სამხედრო აღჭურვილობის, ისევე როგორც უეთქებადი მასალების გადატანა ან ტრანზიტი დაგენერირებარება ამ მიზნისათვის გაცემულ სპეციალურ ნებართვას;

2. მმ შემთხვევაში, როდესაც სახიფათო ტვირთის გადატანისათვის საჭირო სპეციალური ნებართვა, მას გადამზიდველზე გასცემს მეორე ზელშემკვრელი მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირი;

3. იმ ტვირთის გადატანას, რომელიც აკრძალულია ქვეყანაში შესატანად აღამიათა, ცხოველთა და მცენარეთა დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ასევე არ ექნება ტრანზიტის უფლება;

4. იმ შემთხვევაში, როდესაც დატვირთული ან დაუტვირთავი სატრანსპორტო საშუალების წონა და მოცულობა აღემატება მეორე მხარის შიდასახელმწიფო ორგანიზაციის კანონმდებლობით დაწესებულ ლიმიტს, გადამზიდველმა უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა ამ ქვეყნის კომპეტენტური თანამდებობის პირისაგან.

5. თუკი ამ მუხლის 1 და 2 ნაწილში აღნიშნული ნებართვები აწესებენ ტრანსპორტირების განსაზღვრულ მარშრუტს, გადაზიდვა ხორციელდება ამ მარშრუტით.

მუხლი 14. ტვირთის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვა ამ ზელშეკრულების საფუძველზე დაეჭველდებარება ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვის კონვენციის „TIR~ მოთხოვნებს და შიდასახელმწიფო ორგანიზაციის კანონმდებლობას.

ამ ზელშეკრულებაში განსაზღვრული ტვირთის გადაზიდვა განხორციელდება ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

### სხვადასხვა

მუხლი 15. ამ ზელშეკრულებით გათვალისწინებული გადაზიდვები ხორციელდება იმ გადამზიდველებით, რომლებიც საკუთარი ქვეშის კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობენ საერთაშორისო გადაზიდვების უფლებით. გადამზიდველისათვის გაცემული ნებართვა ძალაშია მხოლოდ

მისთვის და მისი გასხვისება დაუშვებელია.

**მუხლი 16.** საერთაშორისო გადაზიდვებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებანი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და მათ გაკუთარი ქვეყნის განმასხვავებელი ნიშნები.

**მუხლი 17.** გადამზიდვებს არ შეუძლია მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა მეორე ხელშემკვრელი მხარის ორ პუნქტს შორის, თუ მას ამისათვის არა აქვს კომპეტენტური თანამდებობის პირის სპეციალური ნებართვა.

**მუხლი 18.** გადამზიდვებს უფლება აქვს განაზორციელოს გადაზიდვები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში ისევე, როგორც მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუკი მას ამისათვის აქვს მეორე ქვეყნის კომპეტენტური თანამდებობის პირის სპეციალური ნებართვა.

**მუხლი 19.**

1. ავტობუსის ან სატვირთო ავტომობილის მძღოლი უნდა ფლობდეს შიდასახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო მძღოლის ლიცენზიას, რომელიც შეესაბამება სატრანსპორტო საშუალების კლასს, ასევე უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების ქვეყნის შიდა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

2. ქვეყნის შიდა ან საერთაშორისო მძღოლის ლიცენზია უნდა ექვემდებარებოდეს საგზაო გადაზიდვების საერთაშორისო კონვენციას;

3. ნებართვა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვება ამ ხელშეკრულებით, უნდა ინახებოდეს იმ სატრანსპორტო საშუალებებში, რომელზეც გაიცა და წარედგინოს კომპეტენტური თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე.

**მუხლი 20.** გადაზიდვა, რომელიც ეფუძნება ამ ხელშეკრულების დებულებებს, უნდა განაზორციელდეს იმ სატრანსპორტო საშუალების სავალდებულო წინასწარი სამოქალაქო სამართლებრივი დაზღვევის პირობით, რომელიც ასრულებს გადაზიდვას.

**მუხლი 21.**

1. ამ ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში იმ მხარის კომპეტენტურმა თანამდებობის პირებმა, სადაც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად იმ მხარის კომპეტენტური თანამდებობის პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სადაც ეს დარღვევა

მოხდა, უნდა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

- ა) გააფრთხილონ გადამზიდველი;
- ბ) გააფრთხილონ გადამზიდველი და დაურთონ განცხადება, რომ ამგვარი დარღვევის განმეორების შემთხვევაში გადაზიდვის ნებართვა გაუქმდება განსაზღვრული პერიოდით, ან აკრძალება წინამდებარე მუხლის „გ“ ნაწილის თანახმად;
- გ) გააუქმონ გარგვეული დროით ან აკრძალონ ამ ხელშეკვრულების თანახმად გაცემული ნებართვა.

2. თითოეული ხელშემქვრელი მხარის კომპეტენტურმა თანამდებობის პირებმა უნდა შეატყობინონ ერთმანეთს განხორციელებული ღონისძიების თაობაზე.

**მუხლი 22.** ხელშემქვრელმა მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა ღონისძიება, რომელსაც ჩათვლიან საჭიროდ, რათა ხელი შეუწყონ, გაამარტივონ და შეძლებისდაგვარად დააჩქარონ საბაჟო და სხვა ფორმალობათა შესრულება, რაც დაკავშირებულია მგზავრების გადაყვანასა და ტვირთის გადაზიდვასთან.

**მუხლი 23.** ის საწვავი, რომელიც ეტევა სატრანსპორტო საშუალებათა სტანდარტულ ბაკებში, უნდა გათავისუფლდეს საბაჟო და ყველა სხვა გადასახადისაგან. სტანდარტულია ბაკი, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო საშუალებათა სამუშაოდ.

**მუხლი 24.** ტვირთის გადატანილი ნაწილი უნდა იქნეს რეექსპორტირებული ან განადგურებული საბაჟო თანამდებობის პირთა ზედამხედველობით, ან მათ უნდა გადაეცეს. თავისუფალ (ზედმეტ) ნაწილთა იმპორტი უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის შედასახელმწიფოებრივ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს.

**მუხლი 25.** მხარეთა შორის სატრანსპორტო და სატრანზიტო ოპერაციების ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს კონვერტირებადი ვალუტით, რასაც მიიღებენ მხარეთა შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ბანკები შედასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 26.** ავარიისა და სხვა უბედური შემთხვევების დროს იმ ქვეყნის კომპეტენტურმა თანამდებობის პირებმა, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, უნდა მიაწოდონ მეორე მხარეს მოხსენებები და გამომიების შედეგები, აგრეთვე სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

**მუხლი 27.** გადამზიდველები, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟი, რომელიც რეგისტრირებულია ერთ ხელშემქვრელ ქვეყანა-

ში, უნდა იცავდეს მეორე ქვეყნის კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს საგზაო გადაზიდვებს.

ყველა სხვა დებულება, რომელიც ეხება ტრანსპორტირებას და არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, ექვემდებარება ხელშემკვრელ მხარეთა შიდასახელმწიფო ორგანიზაციების კანონმდებლობას.

**მუხლი 28.** ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად კომპეტური თანამდებობის პირები არიან:

საქართველოში - ტრანსპორტის მინისტრი,

თურქეთში - ტრანსპორტის მინისტრი.

**მუხლი 29.** ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ რატი-ფიკაციის დამადასტურებელი ნოტების გაცვლის დღიდან და ძალაში დარჩება ერთი წლის ვადით.

ეს ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლის ვადით, თუკი ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით არ გამოხატავს თავის სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სულ ცოტა სამი თვეთ ადრე.

დადებულია თბილისში 1992 წლის 30 ივნისს, ორ დედნად ინგლი-სურ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის სახელით

**ზ. პერვალიშვილი.**

თურქეთის რესპუბლიკის

მთავრობის სახელით

**პიქმათიარი.**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**364** საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის საკაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ხელ-

მოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოაღვილე**

**რ უ ს უ დ ა ნ ბ ა რ ი მ ა .**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

**365 საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომლებსაც შემდგომში ეწოდებათ “ზელშემკვრელი მხარეები”

გამოზატავენ სურვილს, ხელი შეუწყონ და გააფართოონ ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა თავიანთ ქვეყნებს, შორის,

ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას თანასწორუფლებიანობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე განამტკიცონ კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა,

გადაწყვეტის დადონ თავიანთ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ხელშეკრულება:

## მუხლი I

არსებული შესაძლებლობების და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა განავთარონ გრძელვადიან და სტაბილურ საფუძველზე დამყარებული მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობა და ეკონომიკური თანამშრომლობა;

ამ მიზნით ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ რწმუნებულ ორგანიზაციებს ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის შეუქმნიან აუცილებელ ზელშემწყობ პირობებს.

## მუხლი II

ხელშემკვრელი მხარეები სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის საჭირო ურთიერთხელსაყრელი პირობების შესაქ-მნელად საქონლის ექსპორტ-იმპორტისათვის დაწესებული საბაჟო გადა-სახადების და სხვა ოვალსაზრისით ერთმანეთს მიანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

ეს დებულება არ ვრცელდება უპირატესიობებზე:

ა) რომლებიც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ მინიჭებული აქვს ან შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნებს საზღვრისაირა და სანაპირო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით;

ბ) რომლებიც გამომდინარეობს რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მონაწილეობიდან ან მომავალში შესაძლო მონაწილეობიდან საბაჟო კავ-შირში და თავისუფალი ვაჭრობის ზონაში;

გ) რომლებიც განვითარებად ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთი-ერთობის სფეროში არსებულ წესებს ეყრდნობა.

## მუხლი III

ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც ისწრაფვიან ხელი შეუწყონ ერთმანეთის შიდა ბაზრებზე გასვლას, გააუმჯობესონ და გააფართოონ ვაჭრობა თავიანთ ქვეყნებს შორის, შეთანხმდნენ გაადვილონ და დააჩ-ქარონ ინფორმაციის გაცვლა, ხელი შეუწყონ კონტაქტებს ბიზნესმენებს შორის, საქმიანი დელეგაციების გაცვლას და მათის მონაწილეობას ერთ-მანეთის ტერიტორიაზე გამართულ საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზ-რობებში.

## მუხლი IV

ხელშემკვრელი მხარეები ამ ხელშექრულების ფარგლებში დადებული კონტრაქტების პრაქტიკული განხორციელებისათვის საკუთარი კანონე-ბის, წესების და ნორმატიული აქტების გათვალისწინებით თავიანთ კომ-პეტენტურ ორგანოებს ხელს შეუწყობენ საიმპორტო და საექსპორტო ღიცენზიების გაცემაში.

## მუხლი V

ერთობლივი კომერციული და ეკონომიკური მოღვაწეობის განვითარე-ბისათვის, საბანკო საქმიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხელ-

შემპკვრელი მხარეები შეთანხმდნენ ზელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნების ბანკების თანამშრომლობას.

## მუხლი VI

ხელშემპკვრელი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა საბაჟო და სხვა სახის გადასახადებისაგან გაათავისუფლონ ქვეყანაში დროებით იმპორტირებული და რეექსპორტისათვის განკუთვნილი ტვირთი, გარდა ამისა, საბაჟო გადასახადს არ ექვემდებარება ბაზრობებზე და გამოფენებზე წარდგნილი ნიმუშები.

## მუხლი VII

ხელშემპკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიურ თანამშრომლობას თავიანთ ქვეყნებს შორის, თავიანთ ტერიტორიებზე ერთობლივი საწარმოების დაარსებას, როგორც შიდა ბაზრის საჭიროებისათვის, ისე მესამე ქვეყნების ბაზრებისათვის.

ამის გარდა, ხელშემპკვრელი მხარეები ეკონომიკის სხვა სფეროებს შორის გამოყოფენ თანამშრომლობის შემდეგ შესაძლო დარგებს:

ენერგეტიკა;

მანქანათმშენებლობა;

გემთმშენებლობა;

საფეიქრო მრეწველობა;

ფართო მოხმარების საგნების წარმოება;

კვების მრეწველობა;

ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები;

ნავთობისა და სხვა წილის სულის მოპოვება;

მშენებლობა.

## მუხლი VIII

საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტზე ყველა სახის ანგარიშსწორება განხორციელდება თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით ორივე ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო და საგარეო ვაჭრობის კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი IX

ხელშემკვრელმა მხარეებმა გადაწყვიტეს შექმნან სამთავრობათაშორისო ქართულ-თურქული შერეული ეკონომიკური კომისია, რომელიც განიხილავს ამ ხელშემკვრელების განხორციელების მსვლელობას, შეისწავლის მისი მოქმედების შედეგებს და მთავრობებისათვის გამოიმუშავებს ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოების რეკომენდაციებს.

ეს კომისია შედგება ორივე მთავრობის წარმომადგენლებისაგან და თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის მისაღებ ვადებში რიგ-რიგობით შეიკრიბება საქართველოსა და თურქეთში.

აუცილებლობის შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარეები კომისიის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევენ ექსპერტებსა და მრჩეველებს.

## მუხლი X

ეს ხელშემკვრელება არ ეწინააღმდეგება იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ დადგებული სხვა საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშემკრელებებიდან.

## მუხლი XI

ამ ხელშემკვრელების მოქმედების შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს მისი მოქმედების დროს დადგებული კონტრაქტებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებზე.

## მუხლი XII

ეს ხელშემკვრელება დროებით ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან, ხოლო საბოლოოდ ძალაში შევა თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ მისი რატიფიკაციის შესახებ დიპლომატიური არხებით ნოტების გაცვლის შემდეგ.

ეს ხელშემკვრელება ხელმოწერილია ხუთი წლის ვადით და ავტომატურად გრძელდება ყოველი შემდგომი ერთი წლით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ექვნის ოვით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს თავის გადაწყვეტილე-

ბას ზელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1992 წლის 30 ივნისს, ორ ეგზომ-პლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით  
თ. სიგუა.

თურქეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით  
ს. დემირელი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

366 საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბ-  
ლიკის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის  
ზელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1992 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ზელ-  
მოწერილი საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის  
ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის ზელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

367 საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბ-  
ლიკის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის

**ს ა ღ ჟ ა პ რ უ ლ ე ბ ა**

საქართველოს რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა, შემდგომში  
“მხარეებად” წოდებული, რომლებიც

გამოთქვამენ სურვილს წაახალისონ ფართო ეკონომიკური თანამშრომ-  
ლობა ურთიერთშორის, კერძოდ, ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე

მხარის ინვესტორების ინვესტიციების გზით;

აღიარებენ, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად ინვესტიციების განხორციელება წახალისებს კაპიტალისა და ტექნოლოგიების გადადინებას და მხარეების ეკონომიკურ განვითარებას;

თანხმდებიან, რომ ინვესტირებისა და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების სტაბილური სისტემის შენარჩუნებისათვის სასურველია ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის ხელშეკრულების დადგება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**შეხლი 1.** განსაზღვრებანი

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის:

1. ტერმინი “ინვესტორი” ნიშნავს:

ა) ფიზიკურ პირს, რომელიც თითოეულ მხარეში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ითვლება მის მოქალაქედ;

ბ) კორპორაციებს, ფირმებს და საქმიან ასოციაციებს, რომლებიც შექმნილია ან ჩამოყალიბებულია თითოეული მხარის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და აქვთ ხელმძღვანელი ორგანოები ამ მხარის ტერიტორიაზე.

2. ა) ტერმინი “ინვესტიცია” მიმღები მხარის კანონებისა და წესების შესაბამისად უნდა მოიცავდეს ყველა სახის აქტივებს, კერძოდ და არა მარტო:

I) აქციებს, ობლიგაციებს და კომპანიებში მონაწილეობის სხვა ფორმებს;

II) რეინვესტირებულ შემოსავალს, ფულადი სახსრების მოთხოვნის ან სხვა ნებისმიერ უფლებას ისეთი კანონიერი ქმედებისათვის, რომელსაც აქვს ინვესტიციებთან დაკავშირებული ფინანსური ღირებულება;

III) მოძრავ და უძრავ ქონებას, აგრეთვე ყველა სახის უფლებას, როგორიც არის იპოთეკური, დაგირავების, ყადაღის და სხვა მსგავსი უფლებანი;

IV) სავტორო უფლებებს, უფლებებს სამრეწველო და ინტელექტუალურ ქონებაზე, როგორიცაა პატენტები, ლიცენზიები, სამრეწველო დიზაინი, ტექნიკური პროცესები, აგრეთვე სავაჭრო მარკა, “გუდვილი”, “ნოუ-ჰოუ” და სხვა უფლებებს;

V) კანონმდებლობის და კონტრაქტის მიხედვით გადაცემულ საქმიან კონცესიებს, რომლებიც მოიცავენ თითოეული მხარის ტერიტორიაზე, როგორც ეს ქვემოთავა განსაზღვრული, ბუნებრივი რესურსების ძიების,

ქულტივირების, მოპოვებისა და ექსპლუატაციის კონცესიებს.

3. ტერმინი “შემოსავალი” ნიშნავს ინვესტიციების ხარჯზე მიღებულ თანხებს კერძოდ და არა მხოლოდ მოგებას, პროცენტს და დივიდუნგებს.

4. ტერმინი “ტერიტორია” მოიცავს სახმელეთო საზღვრებს, საზღვაო სივრცეს და კონტინენტურ შეღფს, როგორც ეს განსაზღვრულია მხარეთა ორმხრივი შეთანხმებებით და რომლებზეც, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ვრცელდება ინვესტიციის მიმღები მხარის სუვერენული უფლებები და იურისდიქცია.

**მუხლი 2. ინვესტიციების წახალისება და დაცვა**

1. თითოეულმა მხარემ თავისი კანონებისა და წესების ფარგლებში უნდა დაუშვას საქუთარ ტერიტორიაზე ინვესტიციები და მათთან დაკავშირებული საქმიანობა, ამასთან არანაკლებ ხელშემწყობი პირობებით, ვიდრე ეს დაშვებულია ანალოგიურ მდგომარეობაში ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორებისათვის.

2. თითოეულმა მხარემ უნდა მიანიჭოს ამ ინვესტიციებს ერთხელ დაწესებული პირობები, არანაკლებ ხელშემწყობი, ვიდრე დაწესებულია ასეთივე მდგომარეობაში მისი ინვესტორების ან მესამე ქვეყნის ინვესტორების ინვესტიციებისათვის, იმის მიხედვით, თუ რომლებია ყველაზე უფრო ხელშემწყობი.

3. რაც შეეხება უცხოელების შესვლასთან, დროებით ყოფნასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ მხარეთა კანონებსა და წესებს;

ა) თითოეული მხარის მოქალაქეს უნდა პქნდეს უფლება ჩავიდეს და დარჩეს მეორე მხარის ტერიტორიაზე, რათა დაუფუძნოს, განავითაროს, მართოს და გამართოს კონსულტაციები საინვესტიციო ოპერაციებთან დაკავშირებით, რომელთა განსახორციელებლად მან ან პირველი მხარის ინვესტორმა გამოიყენა, ან იყენებს კაპიტალის, ან სხვა რესურსების მიზნებით რაოდენობას;

ბ) კომპანიები, რომლებიც დაფუძნებულია სამართლებრივი წესით ერთ-ერთი მხარის შესაბამისი კანონებისა და წესების მიხედვით და რომლებიც წარმოადგენენ ინვესტორების ინვესტიციებს, სარგებლობენ უფლებით საქუთარი არჩევანის მიხედვით დასაქმონ მმართველი და ტექნიკური პერსონალი მოქალაქეების მიუხედავად.

4. ამ მუხლის დებულებებს არ ექნება გავლენა თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი და მოქმედი შემდეგი ხელშეკრულებების მიმართ:

ა) რომლებიც დაკავშირებულია არსებულ ან მომავალ საბაჟო გაერ-

თიანებებთან, რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და მსგავს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან;

ბ) რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია დაბეგვრასთან.

### მუხლი 3. ექსპროპრიაცია და კომპენსაცია

1. ინვესტიციები არ შეიძლება იყოს ექსპროპრიაციის, ნაციონალიზაციის ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ასეთივე შედეგების მქონე ზომების საგანი, გარდა დისკრიმინაციის გარეშე საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევისა, სწრაფი, აღეკატური და ეფექტური კომპენსაციის პირობით და კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულების II მუხლში აღნიშნული მართვით პრინციპებისა და მიღებობის შესაბამისად.

2. კომპენსაცია უნდა იყოს ექვივალენტური ექსპროპრიაციებული ინვესტიციების რეალური ღირებულებისა ექსპროპრიაციის განხორციელებამდე ან მის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე. კომპენსაცია უნდა გადაიხადონ დაუგვიანებლად და ექვემდებარებოდეს თავისუფალ ტრანსფერს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფით.

3. ნებისმიერი მხარის ინვესტორის მიმართ, რომლის ინვესტიციები დაზარალდა მეორე მხარის ტერიტორიაზე ომის, ჯანყის, სამოქალაქო არეულობის ან სხვა შესაბამისი მოვლენების შედეგად, მეორე მხარის მიღეომა უნდა იყოს არანაკლებ ხელშემწყობი, ვიდრე საკუთარი ინვესტორების ან მესამე ქვეყნის ინვესტორების მიმართ. ამასთან მიღებული ზომების თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იყოს ყველაზე ხელშემწყობი მიღეომა დანაკლისის ასანაზღაურებლად

### მუხლი 4. რეპატრიაცია და ტრანსფერი

1. თითოეული მხარე დაუშვებს თავის ტერიტორიაზე და თავისი ტერიტორიიდან ინვესტიციებთან დაკავშირებულ ყველა ტრანსფერს თავისუფლად და უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე. ასეთი ტრანსფერები მოიცავს:

- შემოსავალს;
- მოელი ინვესტიციის ან მისი ნაწილის ლიკვიდაციისა ან გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს;
- კომპენსაციას მე-3 მუხლის შესაბამისად;
- ინვესტიციებთან დაკავშირებული სესხებიდან მიღებულ ანაზღაურებასა და საპროცენტო გადასახადს;
- ერთი მხარის მოქალაქეთა ხელფასებს, ჯამაგირებს და ანაზღაუ-

რებებს, რომლებიც მიღებულია მეორე მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციებთან დაკავშირებული ნებადართული სამუშაოების შესრულებისათვის;

ვ) საინვესტიციო დავიდან მიღებულ ანაზღაურებას.

2. ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს იმ კონვერტირებადი ვალუტით, რომლითაც ინვესტიცია შესრულებული ან სხვა კონვერტირებადი ვალუტით, ტრანსფერის განხორციელების დღეს მოქმედი სავალუტო კურსით, თუ რამე განსხვავებული არაა შეთანხმებული ინვესტორსა და მიმღებ მხარეს შორის.

#### მუხლი 5. უფლებამემკვიდრე

1. თუ ერთი მხარის ინვესტორის ინვესტიცია დაზღვეულია არაკომერციული რისკისგან კანონით ჩამოყალიბებული სისტემით, მაშინ დამზღვევის ნებისმიერი უფლებამემკვიდრება, რომელიც გამომდინარეობს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებიდან, უნდა ცნოს მეორე მხარემ.

2. დამზღვევს არ მიენჭება სხვა უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რაც მინიჭებული აქვს ინვესტორს.

3. ნებისმიერი უთანხმოება მხარესა და დამზღვევს შორის მოწესრიგდება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად.

#### მუხლი 6. უფლებათა შელახვა

ეს ხელშეკრულება არ შელახავს:

ა) ნებისმიერი მხარის კანონებსა და წესებს, ადმინისტრაციულ პრაქტიკას და პროცედურებს, ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტილებებს;

ბ) საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, ან

გ) ნებისმიერი მხარის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის იმათ, რომლებიც საინვესტიციო ხელშეკრულებასა ან საინვესტიციო წმუნებებშია მოცემული.

და შესაბამისად არ აძლევს ინვესტიციებსა და შესაბამის საქმიანობას უფლებას ისარგებლოს მეტი ხელშეწყობით, ვიღრე ეს დადგენილია ამ ხელშეკრულებით მსგავსი მდგომარეობისათვის.

#### მუხლი 7. მხარეთა ინვესტორებს შორის დავის გადაწყვეტა

1. ინვესტიციებთან დაკავშირებული დავა მხარეთა ინვესტორებს შორის შეტყობინებული უნდა იყოს წერილობით, ამასთან ინვესტორმა ინვესტიციების მიმღებ მხარეს უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია. ინვესტორი და შესაბამისი მხარე უნდა შეეცადონ, რამდენადაც ეს შესაძ

ლებელი იქნება, რომ დავა გადაწყვდეს კონსულტაციებისა და მოლაპარაკების მეშვეობით კეთილი ნების საფუძველზე.

2. თუ დავა ამ გზით არ გადაწყვდება, I პარაგრაფში აღნიშნული წერილობითი შეტყობინების დღიდან აქვსი თვის განმავლობაში, დავა ინვესტორის არჩევანის შესაბამისად შეიძლება გადაეცეს:

ა) საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრს (IG-SID), რომელიც ჩამოყალიბებულია „ქვეყნებსა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ კონვენციით“ (თუ ორივე მხარეს ხელი აქვს მოწერილი ამ კონვენციაზე);

ბ) საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც შექმნილია გაერთიანებული ერების საერთაშორისო ვაჭრობის კანონმდებლობის კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად (თუ ორივე მხარე არის გაეროს წევრი);

გ) პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს.

3. არბიტრაჟის გადაწყვეტილება არის საბოლოო და აუცილებელი დავის მონაწილე ყველა მხარისათვის. თითოეულმა მხარემ უნდა შეასრულოს გადაწყვეტილებანი მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 8. დავის გადაწყვეტა მხარეთა შორის

1. მხარეები კეთილმოსურნეობისა და თანამშრომლობის სულისკვეთების საფუძველზე მიიღებენ სწრაფ და სამართლიან გადაწყვეტილებას ნებისმიერ სადავო საკითხზე, მათ შორის, რაც ეხება ამ ხელშეკრულების განმარტებასა და განხორციელებას. ამ თვალსაზრისით მხარეები შეთანხმდნენ განახორციელონ პირდაპირი და სერიოზული მოლაპარაკებანი, რათა მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება. თუ მხარეები ამგვარი პროცედურით ვერ მაღწვევ შეთანხმებას მათ შორის დავის დაწყებიდან ეჭვს თვის განმავლობაში, დავა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეიძლება გადაეცეს სამი წევრისაგან შედგენილ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

2. მოთხოვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს არბიტრი. ორმა არბიტრმა თავმჯდომარედ უნდა შეარჩიოს მესამე არბიტრი, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მხარემ ვერ დანიშნა არბიტრი აღნიშნულ დროში, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია ასეთი დანიშვნა მოსთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს.

3. თუ ორი არბიტრი ვერ შეთანხმდა თავმჯდომარის არჩევის საკითხში მათი დანიშნიდან ორი თვის განმავლობაში, თავმჯდომარეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნისამებრ დანიშნავს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი.

4. თუ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში ჩამოთვლილ შეთანხმებში საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს არ შეუძლია აღნიშნული ფუნქციის განხორციელება ან იგი არის ერთ-ერთი მხარის მოქალაქე, არბიტრს ნაშავს ვიცე-პრეზიდენტი და თუ ვიცე-პრეზიდენტსაც არ შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება, ან იგი არის ერთ-ერთი მხარის მოქალაქე, დანიშნავს ახორციელებს სასამართლოს ის ყველაზე უფრო სი თანამშრომელი, რომელიც არ არის არც ერთი ქვეყნის მოქალაქე.

5. თავმჯდომარის შერჩევიდან სამი თვის განმავლობაში ტრიბუნალი უნდა შეთანხმდეს საპროცედურო წესებზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულების დებულებებს. თუ შეთანხმება არ არის მიღწეული, ტრიბუნალმა უნდა მოსთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს საპროცედურო წესების განსაზღვრა, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცედურები.

6. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ყველა წარდგინება და განხილვა უნდა დასრულდეს მესამე არბიტრის შერჩევიდან რვა თვის განმავლობაში და ტრიბუნალმა უნდა მიიღოს თავისი გადაწყვეტილება საბოლოო წარდგინებისა ან განხილვის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ რომელია უკანასნელი. გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოო და სავალდებულო იქნება, საარბიტრაჟო ტრიბუნალი იღებს ხმათა უმრავლესობით.

7. თავმჯდომარის, დანარჩენი არბიტრების ხარჯები, აგრეთვე პროცესთან დაკავშირებული სხვა ხარჯები მხარეებმა თანაბრად უნდა აანაზღაურონ. ამავე დროს ტრიბუნალმა თავისი სურვილისამებრ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ხარჯების მეტი წილი უნდა აანაზღაუროს ერთ-ერთმა მხარემ.

8. დავა არ შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს ამ მუხლის დებულებათა თანახმად, თუ იგივე დავა მე-7 მუხლის დებულების თანახმად გადაეცა სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს და პოლავ გრძელდება განხილვა. ეს არ ეხება ორ მხარეს შორის პირდაპირ და სერიოზულ მოლაპარაკებას.

### მუხლი 9. ძალაში შესვლა

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა სარატიფიკაციო ინსტრუმენტების გაცვლის დასრულების თარიღიდნ, ძალაში დარჩება ათი წლის განმავლობაში და განავრობს მოქმედებას, თუ არ იქნება შეწყვეტილი ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად და შეხება როგორც ძალაში შესვლის დროისათვის არსებულ, ისევ შემდგომში განხორციელებულ ან მიღებულ ინვესტიციებს.

2. თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის ერთწლიანი წერილობითი შეტყობინებით შეუძლია ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა პირველადი ათწლიანი პერიოდის დასასრულს ან ნებისმიერ დროს შემდგომში.

3. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმებით. ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა მაშინ, როდესაც თითოეული მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს, რომ ამ ცვლილების ძალაში შესვლისათვის შესრულებულია ყველა შინაგანი მოთხოვნა.

4. იმ ინვესტიციების მიმართ, რომლებიც განხორციელებულია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე და რომლებსაც ეს ხელშეკრულება ეხება, ყველა დანარჩენი მუხლების დებულებანი ძალაშია დასრულების თარიღიდნ შემდგომი ათი წლის განმავლობაში.

ამის დასტურად შესაბამისმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

შესრულებულია ქ. თბილისში 1992 წლის 30 ივლისს, ორ ეგზემპლარად, ქართულ და თურქულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

**თ. სიბზა.**

თურქეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით  
**ს. დემირელი.**

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 368 ნიადაგის დაცვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს მცირემიწიანი საქართველოს რესპუბლიკისათვის, სადაც ეროზიული პროცესების, ნიადა-

გის გაჭუჭყანების და დანაგვიანების, მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან რესპუბლიკაში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიცობი, მჟავე და ძლიერ დატენიანებული ნიადაგების სწორი და რაციონალური გამოყენება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვია.

### მუხლი 2. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზნებია:

უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება;

განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად;

აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფით შედეგები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის ოვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.

ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, მცენარეთა საფარისა და ცხოველთა სამყაროს, საერთოდ ბუნებრივი გარემოს, დაცვის მიზნით ამ კანონით წესდება ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმები და სტანდარტები.

ნიადაგდაცვითი სამუშაო სტანდარტები და ნორმატიული დოკუმენტები უნდა შეესაბამოს ამ კანონს.

### მუხლი 3. ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და საშუალებები

ნიადაგდაცვითი ღონისძიებები და საშუალებებია:

ნიადაგის პასპორტიზაცია შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა;

ნიადაგის გამოფიტვის მიზეზების, სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობოტანიკური კვლევა, ბონიტირება და კადასტრის პერიოდულად შედეგება;

ეროზისაგან ნიადაგის დაცვისათვის ორგანიზაციულ-სამეურნეო,

აგროტექნიკური, სატექნიკურო-სამეცნიერო კოდროტექნიკური, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების კომპლექსური შერჩევა;

დამლაშების, დაჭაობების, ასევე ნიადაგის გამჟავების თავიდან აცი-ლების მიზნით აგროსამეცნიერო და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სწორი შერჩევა;

ნიადაგის რესურსების დაცვა სტიქიური მოვლენებისაგან (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცფი, ზვავი, მეწყერი) სახელმწიფო პროგრა-მის ფარგლებში;

სათიბ-სამოვრების ნიადაგის დაცვის, მათი ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეული საფარის გაუმჯობესების კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების კარიერული წესით მოპოვების შედეგად დაზიანებული ნიადაგის რეგულტივაცია;

რადიონუკლიიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებით და წარმოების სხვა-დასხვა ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ნიადაგის დაცვა;

ნიადაგის ეტალონური ტიპების შენარჩუნება და აღკვეთილების მოწ-ყობით მონიტორინგის ორგანიზაცია;

ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგების სწორი სტრუქტურა;

ნიადაგის დამუშავების პროცესეული აგროტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, რწყვის, ნიადაგის მელიორაციის ეფექტიანი მეოთხებისა და ჰუმურის ბალანსის რეგულირებისათვის თესლბრუნვის დაწერვა, ორგანული და მინერალური სასუქების, მელიორანტების გამოყენება.

**მუხლი 4.** ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები

ნიადაგის დაცვის მიზნით იკრძალება:

ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამო-ყენება;

არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშ-ნულებისამებრ გამოუყენებლად;

ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვა-ლისწინებს დარღვეული ნიადაგის რეგულტივაციას;

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ანგარებით ან პირადი სარგებლო-ბის მიზნით;

ფერდობის დატერასება ნიადაგის შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე;

საძოვრების გამწირება უწესრიგო ძოვებით;

ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება;

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება, ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება;

ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს;

სასუქების, ქიმიური მელიორანტების და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც არ არის გამოცდილი რესპუბლიკის პირობებში, არა აქეს გავლილი შესაბამისი ნიადაგურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და არ არის შემოწმებული, რეგისტრირებული და ნებადაროული შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ;

ნიადაგების ყოველგვარი გაჭუჭყიანება და დანაგვიანება.

**მუხლი 5.** ნიადაგის დაცვის სფეროში მართვის ორგანოების ამოცანები

საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგს იცავენ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფებ:

ამ კანონის მეორე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას;

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებათა წარმოებას, რესპუბლიკაში მათი შემოტანისა და გამოყენების ორგანიზაციას;

ნიადაგის დაცვის დარგში სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო სამუშაოების განხორციელებას და ნიადაგის მონიტორინგის ორგანიზაციას;

ნიადაგის დაცვის კონცეფციის და პროგრამების შემუშავებას, ამ დარგში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

**მუხლი 6.** ნიადაგის დაცვის სფეროში მმართველობის ადგილობრივი ორგანოები

ნიადაგის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო ღონისძიებების რაოდენებში ახორციელებენ შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან:

მოითხოვონ და უზრუნველყონ მიწათმესაკუთრისა და მიწათმოსარგებლის მიერ ნიადაგის დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოების აუცილებელი შესრულება;

განახორციელონ ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და კონტროლი გაუწიონ,

რათა მიწათმოსარგებლენი და მიწათმესაკუთრენი იცავდნენ ნიაღაგს და ასრულებდნენ დაწესებულ რეგლამენტს.

**მუხლი 7.** ნიაღაგის დაცვის სამუშაოთა დაფინანსება

ნიაღაგის დაცვის სამუშაოები დაფინანსდება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრებით მიწათმესაკუთრებთან და მიწათმოსარგებლებთან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო პროგრამითა და უშუალო ხელშეკრულებით განსახორციელებელი სამუშაოების სახეებსა და დაფინანსების წყაროებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

**მუხლი 8.** ნიაღაგის დაცვის კონტროლი

ნიაღაგის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას აკონტროლებენ შესაბამისი სახელმწიფო ოგანიზმი თავიანთი კომიტეტების ფარგლებში.

**მუხლი 9.** პასუხისმგებლობა ნიაღაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესების დარღვევი-სათვის

ნიაღაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს შესაბამის აღმინისტროւაციულ, სამოქალაქო-ქონებრივ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 10.** უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ნიაღაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესებისაგან განსხვავდული წესები, მაშინ გამოიყენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები.

**მუხლი 11.** კანონში მოცემული ტერმინების განმარტება

ნიაღაგი - დედამიწის ფხვიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფერის, რელიეფის ხნოვანების და აღამანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით.

ნიაღაგის ეროვნია - ნიაღაგის ზედა ნაყოფიერი ფქნების დაშლა, გაფანტვა და წყლით ჩამორეცხვა.

დაჭაობება - პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ნიაღაგში ტენიანობის გაზრდის შედეგად, თან სდევს მცნობარეულობის, მიკროფლორის, ჟანგვა-აღდგნის რეაქტის შეცვლა, რინის ქვეუანგისა და დაუშლელი ორგანული ნივთიერების დაგროვება.

დამლაშებული ნიაღაგი - წყალში ხსნადი მარილებით მდიდარი ნიაღაგი,

რომელიც აბრკოლებს გულტურული მცენარეების განვითარებას.

**ბიცობი** - ნიადაგის ტიპი, რომელსაც პროფილში ნატრიუმიანი ჰორიზონტი გამოსახული აქვს ზედაპირიდან 100 სმ ფარგლებში.

**მუვე ნიადაგი** - ნიადაგი, რომელსაც ახასიათებს ფუძეებით ნიადაგის მაძრობის დაბალი ხარისხი და მუვე აქვს რეაქცია (PH 60-ზე).

**ძლიერი ქვიანობა** - ნიადაგის ზედაპირის 20-40 %-ით დაფარულობა 5 სმ და მეტი ზომის ქვებით.

**ნიადაგის ბონიტირება** - ნიადაგის, როგორც სოფლისა და სატყეო მეურნეობის წარმოების საშუალების, ხარისხის შედარებითი შეფასება, გამოხატული რაოდენობრივი მაჩვენებლებით დაუუმნებული ნიადაგისა და მოსახლის ღონის აღრიცხვაზე.

**ნიადაგის ტიპი** - ნიადაგის კლასიფიკაციის ძირითადი ტაქსონომიური ერთეული, მასში გაერთიანებული ნიადაგები ვითარდება ერთ ტიპურ ბიოლოგიურ, კლიმატურ და ჰიდროლოგიურ პირობებში.

**ჭუმუსი** - ნიადაგის სპეციალური და არასპეციალური ორგანული ნივთიერებების ერთობლიობა, მუქად შეფერილი უფორმო მასა, რომელიც არ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებსა და მათი ნარჩენების ისეთ მინარევებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ უჯრედული აგებულება.

**რადიონუკლიდები** - ატომური იარაღის აფეთქების შედეგად ნიადაგში მოხვედრილი სხვადასხვა ქიმიური ელემენტები: Sr, Zn, J და სხვა.

**ბიოსფერი** - bios - სიცოცხლე, sphaiza - სფერო, აქტიური ცხოველმყოფელობის არეალი, რომლის შედგენილობა, სტრუქტურა და ენერგეტიკა განპირობებულია ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობით.

**რეკულტივაცია** - re - განმეორებითი, cultivo - მიწების ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამურნეო თვისებების აღდგენის კომპლექსური ამჟღაობა.

**მონიტორინგი** - ნიადაგში მიმღინარე პროცესების ცვლილებებზე დაკვირვება დროსა და სივრცეში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე -

სახელმწიფოს მეთაური

ერუარდ გევარაძეამა

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**369 “ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**370 “მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**რუსულან ბერიძე.**

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**371 რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ**

“რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტის (შემდგომში “რკინიგზის ტრანსპორტი“) საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ

საფუძველს, მის აღიღისა და როლს ეროვნულ მეურნეობაში, აწესებს მისი ურთიერთობის რეგლამენტს სახელმწიფო ზელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, მგზავრებთან და მიმღებებთან.

### მუხლი 1. რკინიგზის ტრანსპორტი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სისტემაში

რკინიგზის ტრანსპორტი ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია და მოწოდებულია დააკმაყოფილოს მოსახლეობის, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნები გადაყვანა-გადაზიდვებსა და სხვა მომსახურებაზე შიდა და საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლაში, აგრეთვე აზორციელებს სამხედრო ტვირთზიდვას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული რკინიგზის ტრანსპორტის სამხედრო ტვირთზიდვის წესდების საფუძველზე.

რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაა და რკინიგზის ტექნიკურ და კომერციულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ძირითადი ფონდები პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

ცალკეულ შემთხვევებში მგზავრების, ტვირთის მიმღებ-გამგზავნთა მომსახურება შეუძლიათ კერძო ფირმებს და ასოციაციებს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტთან სათანადო ზელშეგრულების საფუძვლზე.

### მუხლი 2. რკინიგზის ტრანსპორტის მართვა და სტრუქტურა

სახელმწიფო რკინიგზის ტრანსპორტის მართვის საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი, რომელსაც დეპარტამენტის უფროსი ხელმძღვანელობს. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს წინაშე.

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის ტვირთზიდვის დაგეგმვა და მართვა, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი, რკინიგზის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო და საექსპლუატაციო საქმიანობის ხელმძღვანელობა.

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი თავის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს “საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის შესახებ” დებულების, აგრეთვე რკინიგზის წესდებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავს ტექნიკურ-ეკონომიკურ კავშირურთიერობებს როგორც სახელმწიფო, ისე

არასახელმწიფო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან.

რკინიგზის წესდებასა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რკინიგზის საზღვრების დადგენას ან შეცვლას, რეორგანიზაციას და მართვის სტუქტურებს განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსად, მის მოადგილებად და სხვა ზელმძღვანელ თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნონ პირები, რომელსაც არა აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი სკეციალობით და რკინიგზაზე პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

**მუხლი 3.** კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ რკინიგზის ტრანსპორტის მოქმედებას

რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით, რკინიგზის წესდებითა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით, აგრეთვე “საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის შესახებ” დებულებით, საქართველოს რესპუბლიკის კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

**მუხლი 4.** რკინიგზის ტრანსპორტის ქონება

რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი ფონდები, მოძრავი შემადგენლობა, სალიანდაგო და ენერგეტიკული მეურნეობა, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის მოწყობილობა, დამტკირთავ-განმტკირთავი მექანიზმები, შენობა-ნაგებობები და სხვა ობიექტები, რომლებიც რკინიგზის ბალანსზე ირიცხება, რკინიგზის ტრანსპორტის კუთვნილებაა.

დაუშვებელია რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების გადაცემა სხვა უწყებებისათვის რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე.

**მუხლი 5.** რკინიგზის ტრანსპორტის მიწები, საცავი ზონები და გარემოს დაცვა

რკინიგზის ტრანსპორტის მიწებია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მის სარგებლობაში გადაცემული მიწები.

მათ განეკუთვნება მიწები, რომლებიც გამოყოფილია ლიანდაგებისა და სადგურებისათვის (გასხვისების ზოლის ჩათვლით), აგრეთვე დამცავი და გასამაგრებელი ნარგავებისათვის, ნაგებობების, შენობებისა და სხვა ობიექტებისათვის.

ბისათვის, რომლებიც საჭიროა რკინიგზის ექსპლუატაციისა და განვი-  
თარებისათვის.

გასწორების ზოლია რკინიგზის ლიანდაგების მიმდებარე მიწები, რომელ-  
თა ზომები განისაზღვრება დადგენილი წესით დამტეაცებული ნორმებით  
და საპროექტო-სახარჯოაღრიცხვო დოკუმენტაციით, მაგრამ არანაკლებ  
20 მეტრისა რკინიგზის განაპირა ლიანდაგის ორივე მშარეს.

რკინიგზის ლიანდაგების, მოწყობილობისა და რკინიგზის ტრანსპორ-  
ტის სხვა ობიექტების ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსა-  
ყოფად, რომლებიც განლაგებულია ისეთ ადგილებში, სადაც მოსალოდ-  
ნელია მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი და სხვა სტიქიური მოვლენები, წე-  
ლება საცავი ზონები.

საცავი ზონების დადგენის წესს, მათ ზომებსა და ამ მიზნებისათვის  
გამოყოფილი მიწებით სარგებლობის რეჟიმს განსაზღვრავს საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებუ-  
ლი არიან უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენე-  
ბა, დაიცვან გარემო გაჭუჭყანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან.

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი ვალდებულია რკინიგზის  
ტრანსპორტის მიზეზით გამოწვეული ავარიის ან სხვა შემთხვევების  
შედეგების აღმოსაფეხვრელად შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები და  
აანაზღაუროს მიყენებული ეკოლოგიური ზარალი.

#### მუხლი 6. რკინიგზის ტრანსპორტის ტარიფები

სამგზავრო და ტვირთზიდვის ტარიფები რკინიგზის ტრანსპორტზე  
განისაზღვრება ეკონომიკურად დასაბუთებული დანახარჯების, გადასახ-  
ადების, სხვა ხარჯებისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის საჭირო  
პროდუქციაზე ფასების ცვლილებების შესაბამისად.

რესპუბლიკის ფარგლებში მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ფოსტისა  
და ბარგის გადაზიდვის ტარიფებს ამტეიცებს საქართველოს რესპუ-  
ბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო საერთაშორისო ტვირთზიდვის  
(მათ შორის ონამეგობრობის ქვეყნებში) ტარიფები განისაზღვრება  
ქვეყნებს შორის არსებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმების საფუძ-  
ველზე.

დასაშვებია ტვირთის მფლობელთა მოთხოვნით შესრულებული სამუ-  
შაოსა და მომსახურების (რომლებიც არ არის გათვალისწინებული  
ტარიფებით) ანაზღაურდება ხელშეკრულების საფუძველზე.

## მუხლი 7. რეინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლი

რეინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი და მისი საწარმოები თავის საქმიანობის წარმართვაზე „სამეცნარებელი საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული რეინიგზის ყველა საწარმო და ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია რეინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის წინაშე.

### მუხლი 8. რეინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხოება

რეინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს მატარებლების უსაფრთხო მიმოსვლა.

მოძრავი შემადგენლობა, მოწყობილობა და სხვა ტექნიკური საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს რეინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებს, უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და ეკოლოგიური სისუფთავის სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

რეინიგზის სადგურები და სხვა საწარმოები, სადაც მატარებლების ინტენსიური მიმოსვლაა და სამნევრო სამუშაოები ხორციელდება, გადიდებული საშიშროების ზონებია.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ მომსახურე პერსონალის ყოფნა.

გადიდებული საშიშროების ზონებში სამუშაოთა წარმოების, მოძრაობისა და რეინიგზის ლიანდაგების გადაკვეთის წესებს აღენს რეინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი დაინტერესებული ორგანიზაციების წინადადებების გათვალისწინებით.

დაუშვებელია საერთო სარგებლობის რეინიგზის ლიანდაგებისა და ნაგებობების სიახლოეს იმ ობიექტების განლაგება, რომლებიც დაკავშირებულია ფეთქებადი, ადვილად აალებადი, რადიოაქტიური, შსამიანი და მომწამვლელი ნივთიერების წარმოებასთან, შენახვასთან, დატვირთვასთან, ტრანსპორტირებასთან და გადმოტვირთვასთან.

რეინიგზის ლიანდაგებთან ამ ობიექტების მიახლოების მინიმალური მანძილი, აგრეთვე გადაკვეთის ადგილები მიღსადენებით, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი და სხვა საკომუნიკაციო ხაზებით განისაზღვრება შესაბამისი სამშენებლო ნორმებითა და წესებით, რომლებიც უნდა შეუთანხმდეს რეინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტს.

საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც გზავნიან და ღებულობენ

უეთქებად, ადგილად ააღებად, რადიოაქტივურ, მომწამელელ და სხვა საშიშ ტვირთებს, ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი გადაზიდვის უსაფრთხოება რკინიგზის წესდების შესაბამისად.

ტრანსპორტირების პროცესში საშიში ტვირთის დაცვასა და გაცილებას უზრუნველყოფებ ტვირთის გამზავნები და სატრანსპორტო პოლიცია.

**მუხლი 9.** ტვირთის და ობიექტების დაცვა რკინიგზის ტრანსპორტზე სადგურებსა და გზაში ტრანსპორტირების დროს ტვირთის, ბარგისა და ფოსტის დაცვას უზრუნველყოფს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი.

რკინიგზის ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს ობიექტებსა და სპეციალურ ტვირთებს სადგურებში და ტრანსპორტირების დროს იცავს სატრანსპორტო პოლიცია. ასეთი ობიექტებისა და ტვირთის ნუსხას ამტკიცებს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი სატრანსპორტო პოლიციასთან შეთანხმებით.

მიმღებ-გამზავნის წინაშე მატერიალური პასუხისმგებელია რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი.

უსაბუთო და მოუკითხავი ტვირთის რეალზაცია და დაუცველი გადაზიდვის შემთხვევები განიხილება რკინიგზის წესდების შესაბამისად.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დამნაშავეობასთან ბრძოლას და სახანძრო ზედამხედველობას რკინიგზის ტრანსპორტზე უნდა უზრუნველყოფდნენ სატრანსპორტო პოლიცია და პოლიციის ტერიტორიული ქვეგანაყოფები რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან თანამოქმედებით.

ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ სამშაოებს ახორციელებს და ხანძარს აქრობს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახური, საჭიროების შემთხვევაში - შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმებთან ერთად.

**მუხლი 10.** რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაცია საგანგებო ვითარებაში

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები დაუყოვნებლივ ახორციელებენ ღონისძიებებს რკინიგზის ტრანსპორტის შემაცვერხებელი სტიქიური მოვლენებისა და ავარიების შეღეგბის აღმოსაფხრელად.

სატრანსპორტო პოლიცია და პოლიციის ტერიტორიული ქვედანაყოფები, შინაგანი ჯარები და თავდაცვის სამინისტროს ქვეგანაყოფები რკინიგზის ტრანსპორტს ეხმარებიან ავარიებისა და სტიქიური მოვლე-

ნების შედეგების აღმოფხვრაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მატარებლების მიმოსვლას, ტვირთის შენახვასა და დაცვას.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან სტიქიური უძედურების შემთხვევაში რკინიგზის მოთხოვნის შესაბამისად ავარიული სამუშაოების შესასრულებლად (დიდოვალობა, მეწყერი, წყალდიდობა და სხვა) დაეხმარონ მუშახელით.

**მუხლი 11.** რკინიგზის მუშაობის განზრას ბლოკირების, შეწყვეტისა

და ტექნიკური საშუალებების დაზიანების დაუშვებლობა

რკინიგზის მუშაობის განზრას ბლოკირება და მისი ტექნიკური საშუალებების დაზიანება დაუშვებელია და დამნაშავე ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით. დაუშვებელია აგრეთვე რკინიგზის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაობის შეწყვეტა, როგორც კოლექტიური შრომით დავის (კონფლიქტის) გადაწყვეტის საშუალება. მისი გადაჭრა ხდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

რკინიგზის ტრანსპორტისათვის მიყენებულ ზარალს, რომელიც გამოწვეულია სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრას ბლოკირებით, მუშაობის შეწყვეტით, ტექნიკური საშუალებების დაზიანებით და სხვა ისეთი უგანონო მოქმედებით, რომელიც საფრთხეს უქმნის. ტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო მუშაობას, ტრანსპორტის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უნაზღაურებენ დამნაშავე პირები დადგენილი წესით, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, თუ მათ არ განახორციელეს საჭირო ღონისძიებები სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრას ბლოკირების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

რკინიგზის ტრანსპორტის განზრას ბლოკირების შემთხვევაში, რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი პასუხს არ აგებს ტვირთის დაგვიანებით მიწოდებისთვის.

**მუხლი 12.** რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების შრომითი ურთიერთობა და სოციალური პირობები

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკების შრომით ურთიერთობას არეგულირებს რესპუბლიკის მრომის კანონმდებლობა და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მატარებლების მოძრაობასთან უშუალოდ დაკავშირებული რკინიგზის ტრანსპორტის ცალკეული კატეგორიის მუშაკების შრომის პირობების,

სოციალური, საყოფაცხოვრებო და საბინაო უზრუნველყოფის, სამუშაო დროის რეჟიმისა და დასვენების დროის თავისებურებებს აღვენს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე პერსონალი ატარებს ფორმის ტანსაცმელს, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

იმ პირთა ნუსხას, რომლებმაც უნდა ატარონ ფორმის ტანსაცმელი, ამტკიცებს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის კოლეგია.

მუშაობის მძიმე პირობების გათვალისწინებით რკინიგზის ტრანსპორტის გარკვეული კატეგორიის მუშაკები, რომელთა ნუსხას ამტკიცებს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის კოლეგია, სარგებლობები გახანგრძლივებული შეკებულებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სალოკომოტივო ბრიგადების მუშები და იმ ცალკეული კატეგორიის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ტვირთზიდვის პროცესში და დაკავშირებული არიან მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებასთან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგნილების საფუძვლზე სარგებლობენ ნაშასხვრობის პენსიების დანიშვნის უფლებით.

რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით მომუშავეებს ხელფასთან ერთად მიეცემათ დანამატი ნაშასხვრობისათვის, რომლის ოდენობას განსაზღვრავს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი.

რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკი წელიწადში ორჯერ სარგებლობს უფასო მგზავრობით. რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის ხეართვით ეს წესი შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის ინსტიტუტის მაპროფილებელი კათედრების პროფესიონალურ-მსწავლებლებზე.

რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომსახურების ზონაში სარგებლობს სამსახურებრივი ბილეთით.

პენსიაზე გასულ რკინიგზელებს, რომლებსაც აქვთ რკინიგზის ტრანსპორტზე ნაშასხვრობის სულ ცოტა 25 წლის უწყვეტი სტაცი, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს, რომლებიც გადაყვანილი იქნებან სხვა სამუშაოზე შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო, უნარჩუნდე-

ბათ რკინიგზის მუშაკებისათვის დადგენილი შეღავათები და სარგებლობენ მომუშავე რკინიგზელების ყველა უფლებით (უფასო ბილეთი, სამედიცინო მომსახურება და სხვა).

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის რკინიგზელებს დეპარტამენტის კოლეგია აჯილდოებს „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს კოლეგია.

**მუხლი 13. სამსახურებრივი საქმის წარმოებისა და ურთიერთობის ენა სარკინიგზო ტრანსპორტზე**

სამსახურებრივი საქმის წარმოება, სააღრიცხვო, ანგარიშგების, კომერციული და ტექნიკური დოკუმენტაცია, სატელეფონო კავშირი, სამართლებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, აგრეთვე სამსახურებრივი ურთიერთობა რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელიც დაკავშირებულია მატარებლების მოძრაობის უზრუნველყოფასთან, მგზავრების გადაყვანასთან და ტვირთის გადაზიდვისთან, ხორციელდება ქართულ ენაზე.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ონიმეგობრობისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში ყველა სახის ინფორმაცია იგზავნება რუსულ ან სხვა უცხო ენაზე, შეთანხმების შესაბამისად.

ინფორმაცია და რეგლამა რკინიგზის სადგურებში, ვაგზლებში, მატარებლებსა და მგზავრთა მომსახურების სხვა ადგილებში, ტვირთის მიმღებთა და გამგზავნთა ინფორმირება, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების დასახელება წარმოებს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართულ და აფხაზურ ენებზე.

**მუხლი 14. რკინიგზის ტრანსპორტზე აღრიცხვისა და ანგარიშგების დრო**

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ტვირთზიდვის პროცესში, ამ პროცესის უწყვეტი ცენტრალიზებული მართვის უზრუნველსაყოფად დადგენილია ერთიანი აღრიცხვისა და ანგარიშგების დრო - თბილისის დრო.

**მუხლი 15. რკინიგზის ტრანსპორტის ურთიერთდამოკიდებულება მმართველობის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებთან**

ხელისუფლების ავტონომიურ და ადგილობრივ ორგანოების, სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს, საზოგადოებრივ და სხვა ორ-

განიზაციებს უფლება არა აქვთ ჩაერონ რკინიგზის ტრანსპორტის გადაზიდვა-გადაყვანის პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობაში, აგრეთვე დაასაქმონ რკინიგზის ტრანსპორტის საექსპლუატაციო პერსონალი სხვა სამუშაოებით.

ადგილობრივი რკინიგზის ხაზების, ვაგზლების, გადასასვლელი ხიდების, გვირაბების, სამგზავრო ბაქნებისა და რკინიგზის სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის მოსახლეობის მომსახურებასთან, ხორციელდება ერთობლივად რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტისა და რკინიგზის სახსრებით, აგრეთვე დაინტერესებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### მუხლი 16. რკინიგზის ტრანსპორტის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის დროის საერთაშორისო სარკინიგზო და შერეულ მიმოსვლაში უცხოეთის რკინიგზების წინაშე გამოიდის, როგორც იურიდიული პირი სახელმწიფოდით „საქართველოს რკინიგზა“ და ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე.

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ განავითარონ საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობა საზღვარგარეთის სახელმწიფოების ორგანიზაციებთან და განახორციელონ დადგენილი წესით პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტ-იმპორტი, შექმნან ანარიცხების ფონდი.

#### მუხლი 17. რკინიგზის ტრანსპორტის პასუხისმგებლობა

დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის ვადის დარღვევისათვის და დაგვიანებით მიწოდებისათვის, აგრეთვე დანიშნულების სადგურში მგზავრის დაგვიანებით მიყვანისათვის რკინიგზის ტრანსპორტის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რკინიგზის წესდებით.

პასუხისმგებლობა ტვირთისა და ბარგის დაკარგვისათვის, დაკლების და დაზიანებისათვის განისაზღვრება რკინიგზის წესდების მიხედვით.

#### მუხლი 18. მგზავრების, ბარგისა და ტვირთის დაზღვევა რკინიგზის ტრანსპორტზე

მგზავრთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედებს მოსალოდნელი უბელური შემთხვევებისგან მგზავრთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა.

რკინიგზის ტრანსპორტზე შეიძლება აგრეთვე ტვირთისა და ბარგის ნებაყოფლობითი დაზღვევა.

**მუხლი 19.** მისასვლელი ლიანდაგების მფლობელებთან ურთიერთობა რკინიგზის ტრანსპორტის ურთიერთობას საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ორმლებსაც აქვთ მისასვლელი ლიანდაგები, საერთო სარგებლობის ლიანდაგებზე მათი კუთვნილი მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს რკინიგზის წესდება.

აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები მისასვლელ ლიანდაგებზე უზრუნველყოფენ მატარებლების უსაფრთხო მოძრაობას, ტექნიკური აღჭურვილობის სათანადო მოვლა-პატრონობას და მოძრავი შემადგენლობის ეფექტიან გამოყენებას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური მდგრად შევარდნეამა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

გასტად გოგუამა.

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**372 “რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

რშესაღან ბერიძე.

თბილისი, 1994 წლის 12 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

373 აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეიქმნას აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის კომისია შემდეგი შემადგენლობით: შალვა აბეკლია, ალექსი კობაიძე, პაატა კოლუაშვილი, შალვა ნათელაშვილი და მევლუდ წიკლაური.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**განტაცხ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 17 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

374 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის მიმართვის საფუძველზე ეკონომიკური რეფორმებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად გადაუდებლად განსახილველ კანონპროექტთა შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს ეკონომიკური რეფორმებისათვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად გადაუდებლად განსახილველ კანონპროექტთა ნუსხა (თან ერთვის).

2. საკანონმდებლო საქმიანობის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო მიღინარე სესიის ბოლომდე (1 ივლისამდე) პარლამენტის სამშაბათის და ხუთშაბათის პლენარული სხდომები მიემდვნება მხოლოდ კანონ-

პროექტების განხილვას. რეგლამენტით განსაზღვრული პარლამენტის მუშაობის განრიგი სხვა მხრივ, მათ შორის საგანგებო სხდომების მოწვევის ნაწილშიც, არ იცვლება.

3. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკის საკითხთა კომისიაში (მ.წიკლაური) პარლამენტის შესაბამის კომისიებთან შეთანხმებით ნუსხაში ჩამოთვლილი რიგითობის მიხედვით შეადგინოს აღნიშნული კანონპროექტების პარლამენტის სხდომაზე განსახილველად შემოტანის გრაფიკი. პარლამენტის კოლეგიამ უზრუნველყოს პარლამენტის სხდომაზე გრაფიკის მიხედვით კანონპროექტების განსახილველად შემოტანა.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააჩქაროს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის ტექსტის შემუშავება და სასამართლო რეფორმის შესახებ კანონთა პაკეტის მომზადება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**

**პახტახმ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 19 მაისი.

**ეკონომიკური რეფორმებისათვის სამართლებრივი**

**ბაზის შესაქმნელად გადაუდებლად**

**განსახილველ კანონპროექტთა**

## **ნუსხა**

საწარმოთა შესახებ.

თამასუქის შესახებ.

ჩეკის შესახებ.

ბინის საკუთრების შესახებ.

საკუჭრო პალატის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ.

მიწათსარგებლობის საფასურის შესახებ.

საბაჟო კოდექსი.

საბაჟო გადასახადის შესახებ.

კრედიტების შესახებ.

ნოტარიუსის შესახებ.

საუდიტორო საქმიანობის შესახებ.

მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**375 თენგიზ ბუაჩიძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების  
შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება თენგიზ ბუაჩიძეს -  
სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავ-  
მჯდომარეს, გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტაძე გოგეგამა.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**376 ოთარ ლითანიშვილისათვის პარლამენტის წევრის  
უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ოთარ ლითანიშ-  
ვილს პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტაძე გოგეგამა.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**377 სტატისტიკის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სტატისტიკის შესახებ  
შედგება ამ კანონისგან და მისი შესაბამისი საქართველოს რესპუბლიკის  
სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

ამ კანონის მიზანია შექმნას სამართლებრივი ბაზა თანმიმდევრული სამეცნიერო, პრატიკული და ორგანიზაციული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინფორმაციულ ასახვას და ანალიზს, განსაზღვროს სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკის ორგანიზაციული პრინციპებისა და საქმიანობის მეთოდები, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებთან და უწყებრივ სტატისტიკურ სამსახურებთან ურთიერთობისას იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლება-მოვალეობანი.

## I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვების, გადაცემის, გამოყენებისა და დაცვის საკითხებს, აგრეთვე სახელმწიფო რეგისტრების დაწესების, წარმოებისა და ლიკვიდაციის წესს და ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტებზე, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ არარეზიდენტებზე.

## II. სტატისტიკის ორგანიზაცია

მუხლი 2. სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა

საქართველოს რესპუბლიკაში სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს:

ა) სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს:

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სტატისტიკის მეთაური ორგანოები;

სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოები.

ბ) უწყებრივი სტატისტიკის სამსახურებს.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი ქვეანაყოფები.

მუხლი 3. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკაში სტატისტიკის ერთიან ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს და მისი მდგომარეობისთვის პასუხს აგებს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის

კომიტეტი, რომელიც მოქმედებს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილებს ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფოს მეთაური.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის კოლეგიას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახური ფაქტობრივი, ანალიტიკური და პროგნოზული ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტისათვის სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამით რეგლამენტირებულ ფარგლებში.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი წელიწადში ერთ-ხელ ანგარიშს აძარებს საქართველოს პარლამენტს გაწეული მუშაობისა და ქვეყნაში აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 4.** აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკის მეთაური ორგანოები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო სტატისტიკას უძღვებან და მისი მდგომარეობისთვის პასუხს აგებენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სტატისტიკის მეთაური ორგანოები, რომელთა საქმიანობასაც ორგანიზაციულად და მეთოდოლოგიურად ზელმძღვანელობს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკის მეთაური ორგანოები მოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან შეთანხმებული და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სტატისტიკის მეთაური ორგანოს ხელმძღვანელებს და მათ მოადგილებს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

**მუხლი 5.** სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე სახელმწიფო სტატისტიკას ხელმძღვანელობს და მისი მდგომარეობისთვის პასუხს აგებს სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანო.

სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოს საქმიანობას ორგანიზაციულად და მეთოდოლოგიურად ხელმძღვანელობს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისა და შესაბამისი ავტონო-მიური რესპუბლიკის სტატისტიკის მეთაური ორგანო.

სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანო მოქმედებს სო-ციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში - სახელმწიფო მეთაური ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, ავტონომიურ რესპუბლიკაში - შესაბამისი სახელმწიფო სტატისტიკის მეთაური ორგანო მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

#### **მუხლი 6. უწყებრივი სტატისტიკის სამსახურები**

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ შემადგენლობაში სპეციალური სტრუქტურული ერთეულის სახით შეიძლება შეიქმნას სათანადო ქვეგანაყოფი, რომელიც ამ სამინისტროს (უწყების) კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს უწყებრივ სტატისტიკას და პასუხს აგებს მისი მდგომარეობისთვის.

უწყებრივი სტატისტიკის სამსახური მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან შეთანხმებული და შესაბამისი სამინისტროს (უწყების) მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

უწყებრივი სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი სამინისტრო (უწყება).

უწყებრივი სტატისტიკის სამსახურები თავიანთ მუშაობას წარმართავენ შესაბამისი სამინისტროს (უწყების) მოთხოვნების შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით.

**მუხლი 7.** სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისა და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურების დაფინანსება

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურები ფინანსდება, საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სახელმწიფო მმართველობის აპარატის შენახვისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე.

### III. სტატისტიკური დაკვირვებანი

**მუხლი 8.** სტატისტიკური დაკვირვების სახეობები და ობიექტები

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურები სოციალურ-ეკონომიკურ ინფორმაციას მოიპოვებნ სტატისტიკური დაკვირვებების (სტატისტიკური ანგარიშების და სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების) მეშვეობით.

სტატისტიკური დაკვირვების ობიექტები არიან საქართველოს რეპუბლიკის რეზიდენტები, აგრძელებულ დაკვირვების პროცესის განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი არარეზიდენტები.

სტატისტიკური დაკვირვების სახეობა, დაკვირვების ობიექტების წრე, პერიოდულობა, მონაცემთა წარმოდგენის ფორმა და ვალები განისაზღვრება ამ დაკვირვების მიზნების შესაბამისად და მათ სათანადო მეთოდოლოგიურ მითითებებთან ერთად ამტკიცებს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი.

**მუხლი 9.** სახელმწიფო სტატისტიკის დაკვირვებანი

სახელმწიფო სტატისტიკურ დაკვირვებებს ატარებენ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები.

სახელმწიფო სტატისტიკურ დაკვირვებათა ნუსხას, პერიოდულობას, მაჩვენებლებს და დაკვირვების ობიექტებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

**მუხლი 10.** უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვებანი

უწყებრივ სტატისტიკურ დაკვირვებებს ატარებენ უწყებრივი სტატის-

ტიკის სამსახურები.

უწყებრივ სტატისტიკურ დაკვირვებათა ნუსხას, პერიოდულობას, მაჩვენებლებს და დაკვირვების ობიექტებს განსაზღვრავს შესაბამისი სამინისტროს ან უწყების სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან შეთანხმებით ყოველწლიურად ამტკიცებს დაკვირვებათა ჩატარებით დაინტერესებული სამინისტრო ან უწყება.

**მუხლი 11.** სტატისტიკური დაკვირვებებისათვის მონაცემების წარდგენა

სტატისტიკური დაკვირვების ჩატარებისას პირველადი მონაცემების წარდგენა ხდება დადგნილი წესით დამტკიცებული სტატისტიკური ანგარიშების ფორმებით და კითხვარებით.

სტატისტიკური დაკვირვების ჩასატარებლად საჭირო სტატისტიკური ანგარიშების ბლანკებს, ანგეტებსა და კითხვარებს ამტკიცებს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი, ხოლო უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების - შესაბამისი სამინისტრო ან უწყება სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტების მიერ სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების მონაცემების წარდგენა სავალდებულოა უტყუარი სახით, სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო და უწყებრივი პროგრამებით დადგნილ ვადებში, განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით.

სახელმწიფო და უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ჩასატარებლად საჭირო მონაცემებს საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტები წარმოადგენს უსასიყდლოდ.

საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტებს უფლება აქვთ არ მიაწოდონ მონაცემები ისეთი სტატისტიკური დაკვირვებისათვის, რომელთა ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხები შეთანხმებული არ არის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან.

**მუხლი 12.** სტატისტიკური დაკვირვების მონაცემების გამოყენება

სტატისტიკური დაკვირვების მონაცემები გამოიყენება მხოლოდ კრებსითი სახით სტატისტიკური ცნობების, მოხსენებების, ანგარიშების, ცნობარებისა და კრებულების შესაღენად, სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 13.** სტატისტიკური დაკვირვების ჩატარების დაფინანსება  
სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვებანი ფინანსდება საქართველოს  
რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სტატისტიკური სამუშაოების სახელმ-  
წიფო პროგრამაში განსაზღვრული მოცულობით.

უწყებრივ სტატისტიკურ დაკვირვებებს აფინანსებს ამ დაკვირვების  
ჩატარებით დაინტერესებული სამინისტრო ან უწყება.

#### IV. სახელმწიფო რეგისტრი

**მუხლი 14.** სახელმწიფო რეგისტრის დაწესება და წარმოება  
სახელმწიფო რეგისტრი წარმოადგენს მონაცემთა ერთობლიობას,  
რომლებიც შეიცავენ რეგლამენტირებულ ცნობებს განსაზღვრული კატე-  
გორიის ყველა ობიექტის შესახებ.

სახელმწიფო რეგისტრის დაწესებისა და წარმოების მიზანია გან-  
საზღვრული კატეგორიის ობიექტების სრული ერთობლიობის შესახებ  
უტყუარი ინფორმაციის მოპოვება და შენახვა, სახელმწიფო მმართველო-  
ბის ორგანოების საქმიანობაში და კანონით გათვალისწინებულ სხვა  
შემთხვევებში გამოსაყენებლად.

სახელმწიფო რეგისტრების დაწესება, წარმოება და გამოყენება ხორ-  
ციელდება ამ კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით, ცალკეული  
რეგისტრების მიმართ დადგენილი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტე-  
ბით. სახელმწიფო რეგისტრი სტატისტიკური დაკვირვებების ჩატარების  
ძირითადი საშუალებაა.

სახელმწიფო რეგისტრისათვის მონაცემთა წარდგენა ხდება საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონმდებლობის და რეგისტრის დებულების შესა-  
ბამისად.

**მუხლი 15.** სახელმწიფო რეგისტრების სახეობანი  
სახელმწიფო რეგისტრი შეიძლება იყოს რესპუბლიკური და ადგილობ-  
რივი.

რესპუბლიკური რეგისტრი მოიცავს შესაბამისი კატეგორიის ობიექტებს  
მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკური რეგისტრის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას  
ადგილობრივი რეგისტრი, რომელიც მოცავს ობიექტებს საქართველოს  
რესპუბლიკაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკის ან მმართველო-  
ბის ადგილობრივი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე და რომელთა

მონაცემების შემადგენლობა შესაძლებელია გაფართოვდეს ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად.

### მუხლი 16. რესპუბლიკური რეგისტრის დაწესება

რესპუბლიკური რეგისტრი იქმნება რეგისტრის დაწესებლად წოდებული სახელმწიფო ორგანოს შემადგომლობის საფუძველზე, რესპუბლიკური რეგისტრის მონაცემთა შეკრება, შენახვა, კონტროლი და გამოყენების ორგანიზაცია ევალება რეგისტრის წამყვანად წოდებულ სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას.

რესპუბლიკური რეგისტრის დაწესებისათვის რეგისტრის დამწესებელი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს შუამდგომლობას, ორმელსაც თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) რეგისტრის დებულების პროექტი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის დასკვნა რეგისტრის მონაცემთა შემადგენლობის, მათი მოპოვების და გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ;

გ) რეგისტრის ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

რესპუბლიკური რეგისტრის დაწესების ნებართვა, თუ იგი მოიცავს ფიზიკურ პირთა პირად მონაცემებს, გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის სათანადო კანონით, დანარჩენ შემთხვევაში კი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დაგენილებით, ორმლითაც დგინდება აგრეთვე რეგისტრის წამყვანი და მტკიცდება დებულება რეგისტრის შესახებ. დებულებით განისაზღვრება რეგისტრის მონაცემთა შემადგენლობა, მათი მოპოვების და გამოყენების საფუძვლები, მონაცემთა განახლების წესი და სიხშირე, რეგისტრის წარმოებისა და დაფინანსების წყაროები და რეგისტრთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რეგისტრის მონაცემების შემადგენლობის გაფართოების უფლება გაიცემა ისეთივე წესით, როგორც რეგისტრის დაწესებისა.

### მუხლი 17. ადგილობრივი რეგისტრის დაწესება

ადგილობრივი რეგისტრის დაწესების უფლების მიღება საჭირო არ არის, თუ მასში შემავალი მონაცემების შემადგენლობა არ ფართოვდება შესაბამისი რესპუბლიკური რეგისტრის მონაცემების შემადგენლობასთან შედარებით. თუ მმართველობის ადგილობრივი ორგანო საჭიროდ მიიჩნევს მონაცემთა შემადგენლობის გაფართოებას, იგი წარუდგენს რეგისტრის დაწესების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. შუამდგომლობას თან უნდა ერთვოლეს რეგის-

ტრის დებულების პროექტი და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის დასკვნა რეგისტრის მონაცემების შემადგენლობის გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ.

ადგილობრივი რეგისტრის დაწესების ნებართვა გაიცემა რესპუბლიკური რეგისტრის ანალოგიურად.

#### მუხლი 18. სახელმწიფო რეგისტრის ლიკვიდაცია

სახელმწიფო რეგისტრის ლიკვიდაციის მიზნით რეგისტრის დამწესებელი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს შეამდგომლობას და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის დასკვნას რეგისტრის გაუქმების მიზანშეწონილობის შესახებ.

სახელმწიფო რეგისტრის გაუქმების ნებართვა, თუ იგი მოიცავს ფიზიკურ პირთა მონაცემებს, გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის სათანადო კანონის შესაბამისად, დანარჩენ შემთხვევებში კი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით.

რეგისტრის გაუქმების შემთხვევაში რეგისტრში არსებული მონაცემები გადაცემა არქივს ან ნადგურდება რეგისტრის დებულების შესაბამისად.

#### მუხლი 19. სახელმწიფო რეგისტრში რეგისტრირებული ობიექტების უფლება-მოვალეობანი

თითოეულ რეგისტრირებულ ობიექტს ან მის მფლობელს აქვს უფლება მიღოს რეგისტრის წამყვანისაგან სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემები ამ ობიექტის შესახებ, აგრეთვე წაუყენოს რეგისტრის წამყვანს სახელმწიფო რეგისტრში ამ ობიექტის შესახებ არსებული მონაცემების უტყურობის ან სისრულის უზრუნველყოფის მოთხოვნა.

რეგისტრირებული ობიექტი, ან მისი მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრში შესატანად წარდგენილი მონაცემების უტყურობა და მათი განახლება დადგენილი წესის შესაბამისად.

რეგისტრირებული ობიექტი ან მისი მფლობელი ვალდებულია უპასუხოს მოცემული კანონის მე-20 მუხლში მითითებულ მოთხოვნას რეგისტრის დებულებით განსაზღვრულ ვადაში.

#### მუხლი 20. სახელმწიფო რეგისტრის წამყვანის უფლება-მოვალეობანი

სახელმწიფო რეგისტრის წამყვანი ვალდებულია სახელმწიფო რეგისტრის დებულება გამოაქვეყნოს პრესში.

#### სახელმწიფო რეგისტრის წამყვანი, რეგისტრში საეჭვო მონაცემების

შემთხვევაში, უფლებამოსილია რეგისტრირებულ ობიექტებზე მონაცემების წარმდებნ პირებს წაუყენოს მოთხოვნა ამ მონაცემების უტყუარობის შესახებ.

სახელმწიფო რეგისტრის წამყვანი ვალდებულია დაიცვას მონაცემები უსასქციო შეღწევისაგან, მათი ბოროტად განზრახული, ან კანონსაწინააღმდეგო დამუშავებისაგან, გამოყენებისაგან, გავრცელებისაგან, შეცვლისა ან განადგურებისგან.

სახელმწიფო რეგისტრის წამყვანი ვალდებულია უპასუხოს ამ კანონის მე-19 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს რეგისტრის დებულებით განსაზღვრულ ვადაში.

**მუხლი 21.** სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემების მიწოდება და გამოყენება

სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემები იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეიძლება გადაეცეთ სამსახურებრივი სარგებლობისათვის მხოლოდ რეგისტრის დებულების შესაბამისად.

სახელმწიფო რეგისტრის დამწესებელს რეგისტრის დებულების შესაბამისად შეუძლია თანხმობა მსცეს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს რეგისტრის მონაცემების ნაწილობრივ ან მთლიანად მიწოდებაზე, რაც ამ მონაცემებს საყოველთაოდ ხელმისაწვდომს ხდის მონაცემთა ბანკების, გამოცემების ან სხვა სახით, შესაბამის ფასად ან უფასოდ მონაცემთა წარდგენა ღია სარგებლობისათვის წარმოებს მხოლოდ მხარეთა შორის დადგებული ხელშეკრულების შესაბამისად.

სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკებს, ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელების მიზნით და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემებით.

ცნობები ყველა იმ პირის შესახებ, რომელსაც მიეცემათ სახელმწიფო რეგისტრის მონაცემები, ინახება რეგისტრის აქვში.

სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემების გამოყენება რეგისტრის დებულების შესაბამისად შესაძლებელია სამსახურებრივი ან ღია სარგებლობისათვის.

აკრძალულია სახელმწიფო რეგისტრში არსებული მონაცემების გამოყენება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და რეგისტრის დებულების მოთხოვნების დარღვევით.

## V. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურების უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 22.** სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების და უწყებრივი  
სტატისტიკის სამსახურების უფლებანი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს  
და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურებს უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტებს მოსთხოვონ სტატისტიკური  
დაკვირვების უტყუარი მონაცემები დადგენილ ვადებში, განსაზღვრული  
მოცულობითა და ფორმით;

სტატისტიკური დაკვირვების მონაცემებში ლოგიკური და არითმე-  
ტიკული უზუსტობის შემთხვევაში შეამოწმონ პირველადი მონაცემების  
უტყუარობა;

აღმრან საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტების ადმინისტრაციუ-  
ლი პასუხისმგებლობის საკითხი სახელმწიფო სტატისტიკურ დაკვირვე-  
ბათა მონაცემების განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით ან დადგე-  
ნილ ვადებში წარმოუზეგნლობისათვის;

ეწეოდნენ სამეურნეო საქმიანობას სტატისტიკური სამუშაოების დაკვირვების  
შესრულების, ინფორმაციული მომსახურების ან კანონით დაშვებული  
სხვა ფორმით.

**მუხლი 23.** სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების და უწყებრივი  
სტატისტიკის სამსახურების მოვალეობანი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები  
და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურები ვალდებული არიან:

უზრუნველყონ სტატისტიკური ინფორმაციის ობიექტურობა და უტყუა-  
რობა, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრიო-  
ბისათვის მათი მიწოდების ოპერატორობა, სოციალურ-ეკონომიკური  
პროცესების ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება-  
სრულყოფა; ამ მაჩვენებელთა მოპოვება და მათ საფუძველზე საქართვე-  
ლოს რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების  
ყოველმხრივი შესწავლა, მეცნიერული ანალიზი და პროგნოზირება;

დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტების შესახებ შეგროვე-  
ბული პირველადი მონაცემების კონფიდენციალურობა;

უზრუნველყონ კრებსათი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვ-  
დომობა და საჯაროობა;

მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდონ საქართველოს რესპუბლიკის რეზი-დენტებს მათ შესახებ მონაცემთა ბანკებსა და რეგისტრებში არსებული ინფორმაცია;

უზრუნველყონ ანგარიშვალდებული რეზიდენტები სტატისტიკური და კვირკვების ჩასატარებლად საჭირო სტატისტიკური ანგარიშების ბლანკებით, ანგარიშებით, კითხვარებითა და ინსტრუქციებით.

**მუხლი 24. უფლებამოსილებანი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში**

საერთაშორისო თანამშრომლობა სტატისტიკის დარღვეულდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადგებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. სტატისტიკის დარღვეულდება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რეალიზაცია და მათი შესრულებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი წესების ამ კანონით გათვალისწინებული წესებისგან განსხვავების შემთხვევებში მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი წესები.

**სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი უფლებამოსილია:**

დაღოს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოების სტატისტიკურ სამსახურებთან და საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანიზაციებთან;

შეასრულოს სხვა სახელმწიფოების მიერ შეპეთილი სტატისტიკური სამუშაოები;

მიაწოდოს სხვა 1. ხელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების სტატისტიკური დაკვირვების მონაცემები ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად.

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის უნებართვოდ სახელმწიფო სტატისტიკის სხვა ორგანოებს და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურებს ეკრძალებათ სტატისტიკური დაკვირვების მონაცემთა გადაცემა სხვა ქვეყნების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

## VI. პასუხისმგებლობა სტატისტიკის შესახებ კანონის დარღვევისათვის

**მუხლი 25.** პასუხისმგებლობა სტატისტიკური დაკვირვებების მონაცემთა მიუწოდებლობისა და დამახინჯებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტების მიერ ამ კანონის დარღვევისათვის, სახელმწიფო და უწყებრივი დაკვირვების მონაცემების გაყალბებისათვის ან დამახინჯებისათვის, დადგნილ ვალებში ან განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით წარმოუდგენლობისათვის, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისა და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურისათვის სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის შემოწმებაში ხელის შეშლისათვის აღმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ქმედებაში ბრალეულ პირებს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 26.** სტატისტიკის ორგანოებისა და მათი მუშაკების პასუხისმგებლობა

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების და უწყებრივი სტატისტიკის სამსახურების მუშაკთა მიერ ამ კანონის დებულების დარღვევა იწვევს ამ ქმედებაში ბრალეულ პირთა დისციპლინურ, აღმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფო მეთაური

**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გაეტანდ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**378 სტატისტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

სტატისტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედ-  
დეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვასტაცია გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**379 ენერგეტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
პროექტის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ენერგეტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ  
იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვასტაცია გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## ვ ე თ ა ნ ხ ე მ ე ბ ა

**380 ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში, სადაც საბრძოლო  
მოქმედებები მიმდინარეობდა, დაღუპულ სამხედრო მოსამ-  
სახურეთა ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ**

ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, შემდგომში  
მხარეები, ხელმძღვანელობენ ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის

პრინციპებით, ისტრაფვიან ერთიანი მოდგომისაკენ ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, საბრძოლო მოვალეობის შესრულებებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურთა მშობლების, ქვრივების, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრებისათვის შედავათების მინიჭების პრობლემებისადმი,

შეგნებული აქვთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო და სოციალური დახმარების მნიშვნელობა და აუცილებლობა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1.** ყოველი მხარე აღიარებს, რომ მიზანშეწონილია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვროს ავღანეთში ან სხვა სახელმწიფოებში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების, აგრეთვე დასახიჩრების, კონტუზის, დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრებისათვის ერთდროული დახმარების ოდენობა და გადახდის წესი, რომელიც არ უნდა იყოს ნაკლები სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურეთათვის გათვალისწინებული სამხედრო დაზღვევის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ თანხაზე ფასების ინდექსაციის გათვალისწინებით.

**მუხლი 2.** მხარეები მიზანშეწონილად ცნობენ გაითვალისწინონ შეღავთიანი პირობები ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების, დასახიჩრების, კონტუზის, დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მისცენ შედავათები, რომლებიც გათვალისწინებულია დიდ სამაშულო ოშში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

**მუხლი 3.** მხარეებს აუცილებლად მიაჩნიათ ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების, დასახიჩრების, კონტუზის, დაავადების შედეგად გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მისცენ შედავათები, რომლებიც გათვალისწინებულია დიდ სამაშულო ოშში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

**მუხლი 4.** ამ შეთანხმების 1-3 მუხლების დებულებები არ ვრცელდება იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე, რომლებიც დაიღუპნენ მათ მიერ ჩადგნილ დანაშაულთა შედეგად.

**მუხლი 5.** ეს შეთანხმება ექვემდებარება რატიფიკაციას მხარეთა პარლამენტების მიერ.

შეთანხმება ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო სიგელის დეპოზიტარისათვის ჩაბარების შემდეგ. იმ მხარეებისთვის, რომლებმაც მისი რატიფიცირება უფრო გვიან მოახდინეს, იგი ძალაშია მათი სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების დღიდან.

შესრულებულია ქალაქ მოსკოვში 1993 წლის 24 სექტემბერს ერთ დედნად რუსულ ენაზე. დედანი ინახება ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობა უგზავნის შეთანხმების ხელმომწერ სახელმწიფოებს მის დადასტურებულ ასლს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

რუსეთის ფედერაციის  
მთავრობის სახელით

სომხეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

ტაჯიკეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

ბელორუსის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

თურქმენეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

უზბეკეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

ყირგიზეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

უკრაინის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

მოლდავეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

(ხელმოწერილია)

მოსკოვი,

24.09.93.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

381 ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ 1993 წლის 24 სექტემბრის შეთანხმება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

382 იჯარის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საიჯარო ურთიერთობას აწესრიგებს საკუთრების უფლების კანონი, ეს კანონი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

წინამდებარე კანონი ადგენს საიჯარო ურთიერთობის ობიექტებს და სუბიექტებს, მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძვლებს და განხორციელების პრიციპებს.

**მუხლი 1. იჯარა**

იჯარა არის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოს, მისი სტრუქტურული ერთეულის, შენობა-ნაგებობის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალების და სხვა მატე-რიალური ფასეულობის ვადიანი და საყიდლიანი მფლობელობა და სარგებ-

ლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისა და კანონით გათვალისწინებული სხვა მიზნისათვის.

#### მუხლი 2. იჯარის ობიექტები

იჯარა დაშვებულია საქმიანობის ნებისმიერ დაწესებულების მიმართ (საკანონმდებლო აქტებით აკრძალულის გარდა) და საკუთრების ფორმის განურჩევლად.

#### მუხლი 3. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების იჯარა

მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე საიჯარო ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ნორმატიული აქტები.

#### მუხლი 4. საიჯარო ურთიერთობის სუბიექტები

იჯარით ქონების გამცემი (მეიჯარე) შეიძლება იყოს მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი.

იჯარით ქონების ამღები (მოიჯარე) შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, ფიზიკურ პირთა ჯგუფი ან იურიდიული პირი.

საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკებს სხვა თანაბარ პირობებში აქვთ ამ საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ქონების იჯარით აღების უპირატესი უფლება.

უცხოეთის სახელმწიფოების, იურიდიული პირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ ქონების იჯარით აღების თავისტურებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

#### მუხლი 5. საიჯარო ხელშეკრულება

საიჯარო ხელშეკრულება მეიჯარისა და მოიჯარის საიჯარო ურთიერთობის განმასზღვრელი დოკუმენტია, რომელიც იდება ნებაყოფლობისა და მხარეთა თანხმობის საფუძველზე განსაზღვრული ვადით წერილობითი ფორმით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იჯარით გამცემს უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულების დადებისას გამოიყენოს კონკურსისა და აუქციონის წესიც.

საიჯარო ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს: ქონების ღირებულება და შედგენილობა, ქონებით სარგებლობის მიზანი, იჯარის ვადა, საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, საიჯარო ქონების გადაცემისა და იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ქონების დაბრუნების პირობები.

### მუხლი 6. საიჯარო ქირა

იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის მოიჯარე იხდის საიჯარო ქირას. საიჯარო ქირის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებით.

საიჯარო ქონების ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლა რეგულირებადი სახელმწიფო ფასების, ტარიფების, გადასახადების ან ამორტიზაციის ნორმების შეცვლისას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საიჯარო ქირის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს კანონით გათვალისწინებული გადასახადებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით და საიჯარო ხელშეკრულებით.

### მუხლი 7. მოიჯარისთვის ქონების გადაცემა

მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს იჯარით გაცემული ქონება გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

მეიჯარე პასუხს არ აგებს იჯარით გაცემული ქონების ზიანისათვის, რომელიც მოიჯარეს ამცნ ხელშეკრულების დადებისას.

თუ მეიჯარე დოკუმენტ არ გადასცემს მოიჯარეს იჯარით გაცემულ ქონებას, მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის ქონების გადაცემა და ქონების გადაცემის დაგვიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

### მუხლი 8. საიჯარო ქონების გაცემა ქვეიჯარით

მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით აღებული ქონება ან მისი ნაწილი ქვეიჯარით გასცეს მეიჯარის თანხმობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით, მაგრამ საიჯარო ხელშეკრულებისათვის პასუხისმგებლობა მეიჯარის მიმართ კვლავ ეჭისრება მოიჯარეს.

მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით გასცეს იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობანი.

### მუხლი 9. იჯარით აღებული ქონების გამოყენება და მოვლა

მოიჯარე ვალდებულია გამოიყენოს იჯარით აღებული ქონება ხელშეკრულების და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

მოიჯარე ვალდებულია მოუკაროს იჯარით აღებულ ქონებას.

მეიჯარე ვალდებულია თავისი ხარჯით შეაკეთოს იჯარით გაცემული ქონება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით. თუ მეიჯარე დაარღვევს ამ ვალდებულებას, მოიჯარეს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან აუცილებელი შეკეთება და მოითხოვოს მეიჯარისაგან შეკეთების ღირებულების ანაზღაურება ან დაფაროს იგი საიჯარო ქირის ხარჯზე.

მეიჯარეს უფლება აქვს დაათვალიეროს იჯარით გაცემული ობიექტი, რაც წინასწარ უნდა შეატყობინოს მოიჯარეს.

**მუხლი 10.** საიჯარო ქონების საკუთრების უფლება

იჯარით გაცემული ქონება რჩება მეიჯარეს საკუთრებაში; მოიჯარე დამოუკიდებელია თავის სამეურნეო საქმიანობაში.

საიჯარო ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია და შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯზე შეძენილი ქონება ეკუთვნის მოიჯარეს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით ან საიჯარო ხელშეკრულებით.

იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარის თანხმობით მოიჯარის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი ეკუთვნის მეიჯარეს, თუ საიჯარო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შენობა-ნაგებობათა ღირებულების ანაზღაურება.

იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარესთან შეუთანხმებლად მოიჯარის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი ეკუთვნის მეიჯარეს.

მოიჯარის საკუთრებაა მთელი ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მან მოახდინა საკუთარი და სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით საკუთარი და მასთან გათანაბრებული სახსრებით მოახდინა ისეთი გაუმჯობესებანი, რომელთა გამოყოფა იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად შეუძლებელია, მეიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ მოიჯარეს აუნაზღაუროს განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, ხოლო იმ განუყოფელი გაუმჯობესების ღირებულება, რომელიც მოიჯარემ მეიჯარის უნებართვოდ მოახდინა, არ ანაზღაურდება.

**მუხლი 11. საიჯარო ქონების გამოსყიდვა**

საიჯარო ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოსყიდვის პირობები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევები და პირობები.

**მუხლი 12. საიჯარო ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება**

საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა ან განახლონ ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

ხელშეკრულების განახლებისას ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მოქმედი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ გავიდა იჯარის ვადა, საიჯარო ქონება განადგურდა, აღარ გამოღვება გამოსაყენებლად ან მოიჯარე მთლიანად გამოისყიდა საიჯარო ქონება.

საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ მოიჯარე გაკოტრდა, ქონების გამყიდველი პირი ვალდებულია წინასწარ მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება.

მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ მოიჯარე:

- დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

- განზრას ან დაუდევრობით აუარესებს ქონების მდგომარეობას;

- არ იხდის საიჯარო ქირას ვადის გასვლიდან ამი თვის განმავლობაში, თუ განსაზღვრული არ არის საიჯარო ხელშეკრულებით სხვა ვადა;

- არ შეაკეთებს ქონებას, როდესაც ეს ევალება საიჯარო ხელშეკრულებით.

მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვა-  
დამდე გაუქმება, თუ:

- მეიჯარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვა-  
ლეობებს ქონების შექმეთების, მატერიალური რესურსებით, მათ შორის  
მოწყობილობით და დანადგარებით მოიჯარის უზრუნველყოფის მხრივ;

- საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებათა გამო,  
რომლებისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

- მოიჯარის დაინვალიდების, არაქმედუნარიანად ცნობის ან იმ შემთხ-  
ვევაში, როდესაც მას ჩადენილი დანაშაულის გამო მიესაჯა თავისუფ-  
ლების აღკვეთა ან სხვა სასჯელი, რომლის გამოც შეუძლებელია  
საიჯარო ხელშეკრულების შესრულება. ამ შემთხვევაში ახალი საიჯა-  
რო ხელშეკრულების დადების უპირატეს უფლება აქვთ მოიჯარესთან  
ერთად მცხოვრებ ან მომუშავე ოჯახის წევრებს.

საიჯარო ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმე-  
ბა ხდება წერილობითი ფორმით.

**მუხლი 13.** საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება მესაკუთრის შეცვ-  
ლის ან მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში

საიჯარო ქონების საკუთრების უფლების გადასვლა მეიჯარისგან სხვა  
პირზე საიჯარო ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან მისი გაუქმე-  
ბის საფუძველი ვერ გახდება.

მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი მეიჯარე იურიდიული პირის რე-  
ორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი უფლებები და მოვა-  
ლეობები გადადის მის უფლებამონაცვლებზე, თუ მოქმედი კანონმდებლო-  
ბით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვა-  
ლისწინებული უფლებები და მოვალეობები გადადის მისი ოჯახის ერთ-  
ერთ წევრზე, თუ იგი თანახმა გახდეს მოიჯარე და თუ ხელშეკ-  
რულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მეიჯარეს უფლება  
არა აქვს უარი უთხრას ასეთ პირს მისთვის ხელშეკრულებით გათვა-  
ლისწინებული უფლებების და მოვალეობების გადაცემაზე მოქმედი ხელ-  
შეკრულების დაზრუნვილ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელ-  
შეკრულების დადება განპირობებული იყო მოიჯარის პირადი თვისებე-  
ბით და ეს ასახულია ხელშეკრულებაში.

**მუხლი 14.** მეიჯარისთვის ქონების დაბრუნება

საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე ვალდე-

ბულია დაუბრუნოს მეივარეს საიჯარო ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.

თუ მოიჯარებ გააუარესა საიჯარო ქონების მდგომარეობა, მან უნდა აუნაზღაუროს მეივარეს მიყენებული ზარალი.

**მუხლი 15.** იჯარის პერიოდში წამოჭრილი სადაცო საკითხების განხილვა იჯარის პერიოდში მეივარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების შესრულების, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე წამოჭრილ სადაცო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო.

**მუხლი 16.** მოიჯარის ქონებრივ უფლებათა დაცვა

მოიჯარის უფლებები საიჯარო ხელშეკრულებით აღებულ ქონებაზე დაცულია მესაკუთრის ტოლფასი უფლებით. მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს: იჯარის აღებული ქონების დაბრუნება ნებისმიერი უკანონო მულობელობიდან; ქონებით სარგებლობის ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრა და ქონებისათვის მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურება.

**მუხლი 17.** საიჯარო ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა

თუ საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი ან სრულდება ან სათანადო არ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ან ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**ეღუარდ გევარდნავა.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანებ გოგუავა.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**383 იჯარის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. იჯარის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 15 ივნისიდან.

2. იჯარის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე შეჩერდეს სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა.

3. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ მინისტრთა კაბინეტთან ერთად ორი კვირის ვადაში აღნიშნული კანონის შესაბამისად შეიმუშაოს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს დადგენილების პროექტი სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უმოკლეს ვადაში წარმოუდგინოს პარლამენტს შესაბამისი წინადაღებები მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შესატანად.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ გოგუაშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

## **საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

384 ორგანიზებულ დამნაშავეობასა და კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას ორგანიზებულ დამნაშავეობასა და კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისია.

2. საინიციატივო ჯგუფმა პარლამენტის იურიდიულ კომისიასთან ერთად შეიმუშაოს და ათი დღის ვადაში პარლამენტს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს კომისიის დებულება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ გოგუაშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 31 მაისი.

## გაცემის მიღება მეორე

### საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს პარლამენტი შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის გადაჭრის სამშეიდობო მოღაპარაკების დროს მიღებულ ბოლოდროინდელ ღოკუმენტებში დაფიქსირებული მოელი რიგი პუნქტების და გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მიერ ა. წ. 3 მაისს უშიშროების საბჭოსათვის წარდგენილ მოხსენებაში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტატუსის და საქართველოს სახელმწიფო ბრივი მოწყობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულებების გამო (დანართი II). მოღაპარაკებათა პროცესის ამგვარი განვითარება და საქართველოში უკანასკნელ ხანს სოციალურ-პოლიტიკური დაბაბულობის ესკალაციარეალურ საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას, ისე მრავალსაუკუნოვან სახელმწიფო ბრიობას. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის სმშეიდობობროცესსაც, რასაც შეიძლება საომარი მოქმედების ახალი ტალღა მოჰყვეს კავკასიის რეგიონში.

საქართველოს პარლამენტს აუცილებლად მიაჩნია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის გაგრძელება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, მიესალმება ძალის ხმევას კონფლიქტის რეგიონში ლტოლვილთა და ხიზანთა დასაბრუნებლად. ამასთან, საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალსაზრისით, უმთავრესია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის პოლიტიკური სტატუსის საკითხი, რომლის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს როგორც აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლება განახორციელოს ავტონომიური სახელმწიფო მმართველობის ფუნქცია, ისე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის იმ აუცილებელ კომპეტენციათა დატოვების საკითხი, რომლებსაც მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტთა მიხედვით ემყარება არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები.

საქართველოს პარლამენტი აუცილებლად მიიჩნევს ერთიანი სახელმწიფოს მირითადი ატრიბუტების: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისთან აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისობის, ერთიანი ფულადი სისტემის, საზღვრების, ჯარის, საგარეო პოლიტიკის ცენტრალური



ხელისუფლების კომპეტენციაში დატოვებას, ხოლო ადამიანის უფლება თა დაცვის, ეკოლოგიის და საერთო კომპეტენციაში შემავალი მოელი რიგი საკითხების მკვეთრად გამიჯვნას.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ რა აფხაზეთის კონფლიქტის შშვიდობიანად მოგვარების იმედს, საქართველოს პარლამენტი, როგორც საქართველოს მოსახლეობის ნების გამოქატველი ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, აცხადებს, რომ იგი არ დაუშვებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას, და რომ ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნების გამოუხატავად, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

თბილისი, 1994 წლის 24 მაისი.

### გაცემილება პირველი

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**385 მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის შორექტის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტაძე გოგოევა.**

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**386 საპარლამენტო ფრაქციის შესახებ**

**მუხლი 1. საპარლამენტო ფრაქცია (შემდგომში - ფრაქცია) არის ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელსაც პარლამენტის წევრები ქმნიან საერთო პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად.**

დაუშვებელია ფრაქციის სახით პარლამენტის წევრთა ისეთი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს პირადი, პროფესიული თუ ადგილობრივი ინტერესების დაცვას.

მუხლი 2. ფრაქციის შექმნის უფლება აქვს პარლამენტის არანაკლებ 10 წევრს, რომელთა უფლებამოსილება ცნობილია პარლამენტის მიერ.

პარლამენტის წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

მუხლი 3. ფრაქციის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით.

ფრაქცია ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით მისთვის მინიჭებულ უფლებებს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. ფრაქციის რეგისტრაციისათვის ფრაქციის თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს პარლამენტის სპიკერს.

განცხადებაში აღინიშნება საპარლამენტო ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, ფრაქციის თავმჯდომარის, სხვა ზელმძღვანელი პირების და წევრთა ვინაობა.

განცხადებას თან ერთვის საპარლამენტო ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება.

შემოსულ ღოკუმენტებს პარლამენტის სპიკერი წარუდგენს საქართველოს პარლამენტის კოლეგის უახლოეს სხდომას, რომელიც წყვეტს ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს.

პარლამენტის წევრებს, რომლებსაც უარი ეთქვათ საპარლამენტო ფრაქციის რეგისტრაციაზე, უფლება აქვთ კოლეგის ასეთი გადაწყვეტილება გააპროტესტონ პარლამენტის წინაშე, რომლის დადგენილება საბოლოოა.

ინფორმაცია საპარლამენტო ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ და ფრაქციის დამუშანებელი ღოკუმენტების ტექსტი გამოქვეყნდება “საქართველოს პარლამენტის უწყებებში” და ეცნობება პარლამენტს.

მუხლი 5. საპარლამენტო ფრაქცია უფლებამოსილია:

ა) წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის კომისიებისა და პარლამენტის კოლეგის მუშაობაში;

ბ) მოითხოვოს დროებითი კომისიის შექმნა;

გ) მოითხოვოს სახელმძღვანელოს კენჭისყრის ჩატარება

დ) გამოაქვეყნოს თვეის თვალსაზრისი პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში;

ე) განახორციელოს ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლა-  
მენტით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით მისთვის მინი-  
ჭებული უფლებები.

**მუხლი 6.** ფრაქციის შიდასაორგანიზაციო საკითხებს ამ კანონის,  
საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის კანონების  
შესაბამისად აწესრიგებს ფრაქციის წევდება.

**მუხლი 7.** პარლამენტის წევრის უფლება აქვს ნებისმიერ დროს გა-  
ვიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებ ის წერილობით აც-  
ნობებს ფრაქციის თავმჯდომარეს და პარლამენტის სპიკერს.

ფრაქციას შეუძლია წევდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარ-  
ლამენტის წევრი გარიცხოს ფრაქციიდან, რის შესახებაც ეცნობება  
პარლამენტის სპიკერს.

ფრაქციას უფლება აქვს თავის შემადგენლობაში მიიღოს ახალი წევრი,  
რის შესახებ აცნობებს პარლამენტის სპიკერს. შეტყობინებას თან ერთვის  
პარლამენტის წევრის განცხადება.

ფრაქცია, რომლის წევრთა რაოდენობა მის შემადგენლობაში მომხ-  
დარი ცვლილებების შედეგად 10-ზე ნაკლები ხდება, ჩაითვლება გაუქმე-  
ბულად, ოუ ორი კვირის ვადაში ეს რაოდენობა არ შეივსება ამ კანონის  
მე-2 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილ ნორმამდე.

**მუხლი 8.** ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის სხვა ხელმძღვანელი  
პირების გადაყენების, გადარჩევის, გადადგომის ან არჩევის, ფრაქციის  
დამფუძნებელ დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ პარლამენ-  
ტის სპიკერს ეცნობება სამი დღის ვადაში.

**მუხლი 9.** ინფორმაცია ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვა-  
ლისწინებული ცვლილებების შესახებ ეცნობება პარლამენტს და გამო-  
ქვეყნდება “საქართველოს პარლამენტის უწყებებში“.

**მუხლი 10.** ფრაქციის მიერ პარლამენტში გავრცელებულ ყველა დო-  
კუმენტს ხელს აწერენ ფრაქციის ხელმძღვანელი პირები.

**მუხლი 11.** ფრაქციის წევრს, რომელიც არ იზიარებს ფრაქციის პოზი-  
ციას რომელიმე საკითხის გამო, უფლება აქვს გამოთქვას განსაკუთრე-  
ბული აზრი.

**მუხლი 12.** ფრაქციის საქმიანობისათვის იქმნება სათანადო პირობები.

ფრაქციის სხდომათა დარბაზში გამოეყოფა შესაბამისი ადგილი, ხოლო  
პარლამენტის შენობაში - სამუშაო ფართი.

ფრაქციის საქმიანობას უზრუნველყოფს ფრაქციის აპარატი, რომლის

ორგანიზაციას, საშტატო ოფენობას და ანაზღაურების პირობებს გან-  
 საზღვრავს პარლამენტი.

ფრაქცია სარგებლობს პარლამენტის დამსმარე ორგანოების მომსა-  
 ხურებით.

**მუხლი 13.** ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა პარლამენტის  
 ორგანოებში, როგორც წესი, განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებული  
 პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, თუ კანონმდებლო-  
 ბით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 14.** ფრაქციებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საპარლამენტო  
 კოალიციაში.

საპარლამენტო კოალიციის შექმნის შესახებ პარლამენტს ეცნობება  
 უახლოეს პლენარულ სხდომაზე. კოალიციის საქმიანობას არეგულირებს  
 მისი შინაგანაწესი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გასტამბ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

387 საპარლამენტო ფრაქციის შესახებ საქართველოს  
 რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საპარლამენტო ფრაქციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანო-  
 ნი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გასტამბ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

388 მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს  
რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგუავა.**

თბილისი, 1994 წლის 2 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

389 საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა  
კომისიაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ბაკურ გულაუა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ  
საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**ვახტანგ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 7 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

390 სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის შუამდგომლო-  
ბის შესახებ

საქართველოს პარლამენტის ადგენს:

დაკამაყოფილდეს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის შუამდგომ-  
ლობა და, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის დამფუძნებელ

სახელმწიფოთა შეთანხმების მე-10 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის გადასახადებისაგან განთავისუფლდეს სახსრები, რომლებიც ამ ცენტრმა გამოყო 1994-1996 წლებში საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტების პროექტების შესასრულებლად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გასტანდ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**391 ნიკო ნიკოლაძის იუბილეს აღნიშვნის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1994 წლის 17 სექტემბერს აღინიშნოს გამოჩენილი ქართველი განმანათლებლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150-ე წლისთვევი.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს საიუბილეო ღონისძიებათა ჩატარება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გასტანდ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**392 რადიკალურ-მონარქისტული პარტიისგან დეპუტატის მანდატის გაუქმების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ვინაიდან რადიკალურ-მონარქისტული პარტიისგან პარტიული სიით არჩეული აწ გარდაცვლილი დეპუტატის თენგიზ გელოვანის ადგილმონაცვლემ თანხმობის მიცემის ვადის გასვლის გამო დაკარგა პარლამენ-

ტის წევრად ცნობის უფლება, საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულების 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დეპუტატის ეს მანდატი გაუქმდეს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე  
პასტანდ რჩეული შვილი.

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

393 პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლება-მოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ოთარ ლითანიშვილის ადგილმონაცვლის ამირან ტაკიძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე  
პასტანდ რჩეული შვილი.

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

394 პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენ-



ტის გამოკლებული წევრის თემურ მდინარაძის ადგილმონაცელის ლე-  
ვან ფრუიძის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**31სტანდ რჩევაზე მიმდინარე.**

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**395 ეკონომიკურ რეფორმათა მყარი სამართლებრივი ბაზის  
უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელებისათვის მყარი სამართ-  
ლებრივი ბაზის უზრუნველსაყოფად კველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც  
შეეხება ადამიანის საკუთრებრივ უფლებებს და განსაზღვრავს ეკონომიკური  
და სამართლებრივი რეფორმების საკითხებს, უნდა მიიღოს პარლამენ-  
ტის, როგორც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. დაუშვებელად ჩაი-  
თვალოს საერთო-სახელმწიფო ფონდის მნიშვნელობის მქონე საკანონმდე-  
ბლო აქტების მიღება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინე-  
ტის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოებისა და თანამდე-  
ბობის პირთა მიერ ერთპიროვნულად, გარდა “საქართველოს სახელმწი-  
ფოს მეთაურისათვის დროებით ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების  
შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 2 ივლისის კანონის  
მე-4 აზაცში გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმათშემოქმედებითი საქმიანო-  
ბა განისაზღვროს იმ აუცილებელი აქტების მიღებით, რომლებიც საჭიროა  
მიღებული კანონების შესასრულებლად.

3. უზრუნველყოფილ იქნეს მოქმედი ნორმატიული აქტების ან მათი  
პრექტების გამოქვეწება, რათა დაინტერესებულ პირთ შეეძლოთ მათი  
მოპოვება და გამოყენება, საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების  
გამოთქმა.

4. მოწონებულ იქნეს მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის წინადადება  
მათთვის საჭირო საკანონმდებლო აქტების კრებულთა სათანადო ტირა-

ჟითა და საკუთარი ხარჯებით გამოცემის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატებმა უზრუნველყონ მიღებული საკანონმდებლო აქტების თითო ეგზემპლარის კორპორაციისათვის სისტემატური მიწოდება.

5. საქართველოს პარლამენტის მუდმივმა კომისიებმა შესაბამისი მიმართულებებით შეამოწმონ 1994 წლის 1 ივნისამდე გამოცემული ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობა და შედეგების თაობაზე მოახსენონ საქართველოს პარლამენტს საშემოდგომო სესიისათვის. პარლამენტის კოლეგიამ საშემოდგომო სესიის პირველსავე სხდომაზე უზრუნველყოს შედეგების განხილვა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გახტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 9 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

396 რესპუბლიკაში საფინანსო ურთიერთობათა მოწესრიგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების თაობაზე ფრაქცია “რესპუბლიკელების” წინადადებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გადაეცეს ფრაქცია “რესპუბლიკელების” მიერ შემოთავაზებული დადგენილების პროექტი “რესპუბლიკაში საფინანსო ურთიერთობათა მოწესრიგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და ეროვნულ ბანკს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და ეროვნულ ბანკს ერთი კვირის ვადაში (1994 წლის 21 ივნისს) წარ-

მოადგინონ დასკვნა და წინადაღებები ზემოაღნიშნული დადგენილების პროექტის გამო.

## საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1994 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**398 კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის კონვენცია**

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც შემდგომში “შხარებად” იწოდებიან,

მხედველობაში იღებენ კულტურული თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალხების უკეთესი ურთიერთგაებისათვის,

სურო განამტკიცონ თავიანთი კულტურული ურთიერთობა და განაგრძონ ძალისხმევა კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში ამ რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მისდოონ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც კულტურულ და სამეცნიერო თანამშრომლობას შეეხება, აგრეთვე გათვალისწინონ და გამოიყენონ ჰელსინკის საბოლოო აქტის და ევროპის უმიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ამ საკითხებისადმი მიძღვნილი სხვა დოკუმენტების პრინციპები,

სურო, რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ ათასწლოვანი ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და კულტურული შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელი საგანმარი, სხვადასხვა კულტურათა ნაყოფიერი კონტაქტები და ურთიერთგავლენა, რომლებითაც გამოირჩევა შავიზღვისპირეთის კულტურული სივრცე, მიაჩნიათ, რომ წარსულის ღირებულებათა პატივისცემას თან უნდა სდევდეს თანამედროვე შემოქმედებითი

საქმიანობის მხარდაჭერით და განვითარებით დაინტერესება,

ცნობენ, რომ საჭიროა მომავალ თაობებს შორის უფრო მჭიდრო და ფართო თანამშრომლობის წაახალისება და მათვის ერთმანეთის პატივის-ცემის, გაგებისა და შემწყნარებლობის ჩანარეგვა,

აღნიშნავენ იუნესკოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდენ შეძლება:

მუხლი 1. მხარები წაახალისებენ და განავითარებენ შავიზღვისპირეთის ქვეყნების რეგიონალურ თანამშრომლობას კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში.

მუხლი 2. მხარები ვალებულებას კისრულობენ წაახალისონ, ხელი შეუწყონ და განავითარონ:

ა) მხარეთა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, უმაღლესი და სხვა სასწავლებლების თანამშრომლობა და მათ შორის გაცვლა;

ბ) სპეციალისტების, ლექტორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლა ერთმანეთის გამოცდილებისა და იდეების გაცნობის, სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების, ლექციების წაკითხვის, სამსწავლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით;

ც) ენობრივი პრაქტიკა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ასპირანტთა სწავლება;

დ) თანამშრომლობა და გაცვლა ახალი სასწავლო მეთოდოლოგიებისა და სასწავლო მასალების დამუშავებისა და რეალიზაციის მიზნით;

ე) გამომცემლობების, სამეცნიერო დაწესებულებების და სასწავლებლების თანამშრომლობა, აგრეთვე სასწავლო მასალის, სარეფერატო კრებულების და სხვა სამეცნიერო გამოცემების გაცვლა იმ მიზნით, რომ უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ და ობიექტური წარმოდგენა იქნიონ მხარებზე;

ჟ) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთის დიპლომების, სამეცნიერო ხარისხებისა და სხვა აკადემიური წოდებების ცნობის შესაძლებლობათა შესახებ;

ე) მხარების იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიების თანამშრომლობა კონკრეტული ერთობლივი პროექტების დამუშავების მიზნით;

ჸ) დამარტება ძველი ცივილიზაციების ძეგლების დაცვისა და კვლევის შესახებ მრავალმხრივი სამეცნიერო კონვენციების დადების საქმეში;

ი) კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის დარგში

მხარეთა ქალაქებისა და რეგიონების პირდაპირი კონტაქტები.

**მუხლი 3.** მხარეები წაახალისებენ და ხელს უწყობენ კონვენციის მონაწილე ქვეყნების ღიტერატურათა პოპულარიზაციას, რისთვისაც:

ა) აფართოებენ მხარეთა ენების სწავლებას;

ბ) ნაცვალების საფუძველზე წაახალისებენ მხარეთა ღიტერატურული ნაწარმოებების თარგმნასა და გავრცელებას;

ც) ავითარებენ მონაწილე ქვეყნების ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებთა ავტორების მრავალშრივ კონტაქტებს.

**მუხლი 4.** მხარეები ხელს უწყობენ მუსიკის, თეატრის, სახვითი ხელოვნების, სამუზეუმო საქმის, გამოკვლევებისა და ნამუშევრების დარგში თანამშრომლობას. და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ხელოვნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, საბიბლიოთებრ და საარქივო საქმის დარგში სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციას, რისთვისაც წაახალისებენ და ხელს უწყობენ:

ა) ვიზიტებს ინფორმაციის გაცვლისა და კულტურულ და ისტორიულ დირექტულებათა დაცვის და კონსერვაციის საკითხებზე მასალების შეგროვების მიზნით, ავრეთვე თანამშრომლობას ისტორიის და კულტურის დირექტულებათა შენარჩუნების მიზნით;

ბ) სახვითი ხელოვნებისა და ისტორიული მემკვიდრეობის საგნების გამოფენების მოწყობას;

ც) როგორც პროფესიული, ისე თვითმოქმედი ხელოვნების კონკურსებისა და ფესტივალების მოწყობას;

დ) თანამშრომლობის განვითარებას კინემატოგრაფიული ხელოვნების დარგში, მათ შორის კინოფილმების ერთობლივ წარმოებას, ნაცვალების საფუძველზე დახმარებას შემოქმედებითს საკითხებში, კინოფილმების კომერციულ და არაკომერციულ ჩვენებათა მოწყობას, თითოეული ქვეყნის კანონებისა და წესების შესაბამისად საერთაშორისო და ეროვნულ კინოფესტივალებში მხარეთა მონაწილეობისათვის ხელშეწყობას;

ე) მუზეუმებსა და კულტურის სხვა დაწესებულებებს შორის ექსპონატებისა და ინფორმაციის, აგრეთვე სპეციალისტების გაცვლას და არქეოლოგიისა და ძველ ცივილიზაციათა შესწავლის დარგში ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას;

ჟ) მხარეთა სპეციალისტებისათვის არქივების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ფონდების მისაწვდომობის გაიოლების ღონისძიებებს;

გ) ახალგაზრდობის კულტურული გაცვლის პროგრამების შემუშავებას ამ მუხლში ჩანამთვლილი თანამშრომლობის ყველა ფორმის მიმართ.

**მუხლი 5.** მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას საბიბლიოთებო საქმის სფეროში, რისთვისაც:

ა) ბიბლიოთეკებში ნერგავენ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველაზე ეფექტუან მეთოდებს;

ბ) ახდენენ სტანდარტიზაციას საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით;

ც) ამაღლებენ ბიბლიოთეკის მუშაკთა კვალიფიკაციას;

დ) ხელს უწყობენ ეროვნულ ბიბლიოთეკებს შორის ქსელურ თანამშრომლობას.

**მუხლი 6.** მხარეები წაახალისებენ თანამშრომლობას ეროვნულ საინფორმაციო სააგენტოებს, უურნალისტთა კავშირებს, პერიოდულ გამოცემებსა და ტელე და რადიოქსელებს შორის, მათ შორის, ნაბეჭდი მასალების, ტელე და რადიოპროგრამების გაცვლას.

**მუხლი 7.** მხარეები წაახალისებენ თანამშრომლობას წიგნის გამოცემისა და წიგნის გავრცელების სფეროში, სახელმძღვანელო, წიგნების ერთობლივი გამოცემის, სპეციალისტების გაცვლის, წიგნის გამოფენის ორგანიზაციის და წიგნის საერთაშორისო ბაზრობებში მონაწილეობის გზით.

**მუხლი 8.** მხარეები ხელს უწყობენ თავიანთი წარმომადგენლების მონაწილეობას სემინარებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და იმ სფეროების სხვა ამგვარ ღონისძიებებში, რომლებზეც ვრცელდება ამ კონკრეტული მოქმედება.

**მუხლი 9.** მხარეები აფუნქციენ საკონრდინაციო საბჭოს მთავრობის უფროსი თანამდებობის პირთა შემადგენლობით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული ფარგლებში საქმიანობისა და მისი კოორდინაციისათვის. საბჭო იკრიბება ყოველწლიურად რიგრიგობით მონაწილე სახელმწიფოებში.

**მუხლი 10.** მხარეთა შეთანხმებით კონკრეტული შეიძლება ცვლილებებისა და შესწორებათა შეტანა.

**მუხლი 11.** ამ კონკრეტული დებულებათა გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მონაწილე სახელმწიფოთა მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 12.** კონკრეტული არ ეხება მხარეთა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორ-

მაციის სფეროში სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებიდან, რომლებსაც მსარებება ხელი მოაწერეს.

**მუხლი 13.** კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა მესამე ქვეყნებისათვის, რომლებიც იზიარებენ ამ კონვენციის დაბულებებს, იმ პირობით, თუ მსარებები ერთსულოვნად შეთანხმდებან განმცხადებელი ქვეყნის მიღების თაობაზე.

კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და ამოქმედდება დეპოზიტარი სახელმწიფოსათვის შესანახად მეოთხე სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარებიდან ოცდამეთე დღეს.

თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება მეოთხე სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ამოქმედდება ამ ქვეყნის მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეთე დღეს.

**მუხლი 14.** თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს კონვენციაში მონაწილეობა, რაც წერილობით უნდა ამცნოს კონვენციის დეპოზიტარს.

ამ შემთხვევაში მონაწილეობა წყდება დეპოზიტარის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

**მუხლი 15.** კონვენციის დეპოზიტარია თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა.

დეპოზიტარი კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს ამცნობს სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარებას, აგრეთვე მხარეებისგან ნებისმიერ სხვა შეტყობინებათა მიღებას.

დადებულია სტამბოლში 1993 წლის 6 მარტს ათ ცალად ინგლისურ ენაზე, ამასთან ყოველ ეგზემპლარს თანაბარი ძალა აქვს.

რესერთის ფედერაციის კულტურის მინისტრი

ალბანეთის რესპუბლიკის კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი

სომხეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

ბელორუსის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

მოლდავეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

რუმინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სოფლუფლებიანი კლჩი ანკარაში

თურქეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

უკრაინის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი

(ხელმოწერილია)

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**399 კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაცი-  
ის დაწესი შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლო-  
ბის კონვენციის რატიფიკაციის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგეს:

რატიფიცირებულ იქნას კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და  
ინფორმაციის დაწესი შავიზღვისპირა ქვეყნების თანამშრომლობის კონ-  
ვენცია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გახტანდ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**400 ქობულეთის რაიონის ულიანოვკის თემისა და სოფელ  
ზედა ულიანოვკის სახელწოდების შეცვლის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 1994 წლის 31 მარტის დადგენილება ქობულეთის რაიო-  
ნის ულიანოვკის თემისა და სოფელ ზედა ულიანოვკის სახელწოდების  
შეცვლის შესახებ და შესაბამისად ეწოდოს საჩინოს თემი და სოფელი  
საჩინო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გახტანდ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს რესაზბლიკის კანონი

**401 მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ**

### თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ცნება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი ფორმირება, რომელიც იქმნება მისი წევრების ინტერესების, მიზნებისა და საქმიანობის საერთო პრინციპების საფუძველზე.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებებია პროფესიული კავშირები, ქალთა, ინვალიდთა და ვეტერანთა ორგანიზაციები, ახალგაზრდათა და ბავშვთა ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, ფონდები, საზოგადოებრივი მოძრაობები, ასოციაციები, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, რელიგიური და საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციებზე, რომლებიც მხოლოდ კომერციულ მიზნებს ისახავენ, აგრეთვე იმ ორგანიზაციებზე, რომელთა შექმნისა და საქმიანობის წესი საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით განისაზღვრება.

**მუხლი 2.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის საფუძვლები

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები თავიანთი წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, წინამდებარე კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

**მუხლი 3.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის მიზნები

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება მოქალაქეთა შემოქმედებითი აქტიურობის განვითარების, საზოგადოებრივი საქმიანობის მართვაში მათი მონაწილეობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების, პროფესიული ინტერესების დაცვის, საქველმოქმედო საქმიანობის, საერთაშორისო კავშირუ-

თიერთობის გაფართოების მიზნით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებებს უფლება აქვთ ეწეოდნენ სხვა საქმიანობას, რაც ნებადაროვლია მოქმედი კანონმდებლობით.

დაუშვებელია მოქალაქეთა ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, რელიგიური და ეროვნული შედღის გაღვივება, ომის, ძალადობისა და სისასტიკის პროპაგანდა, აგრეთვე სისხლის სამართლით დასჯადი სხვა ქმედობა.

**მუხლი 4.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის პრინციპები

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება და მოქმედებს ნებაყოფლობის, წევრთა თანასწორუფლებიანობის, თვითმმართველობის, კანონიერებისა და საჯაროობის საფუძველზე.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

**მუხლი 5.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება და სახელმწიფო

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

ახალგაზრდულ, ბავშვთა და სპორტულ ორგანიზაციებს სახელმწიფო უწევს ფინანსურ დახმარებას. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები მოქმედებენ შეუზღუდვად და დამოუკიდებლად. დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირთა ჩარევა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს კანონით დადგენილი წესით უფლება აქვთ გამართონ მიტინგები, დემონსტრაციები და მსვლელობები, წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი წევრების კანონიერი უფლებები და ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

**მუხლი 6.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების სახეობანი

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას მოქალაქეთა შემდეგი საზოგადოებრივი გაერთიანებები: საერთაშორისო, რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის), რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის.

საერთაშორისო საზოგადოებრივ გაერთიანებად ითვლება გაერთიანება, რომლის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის და ერთი ან რამდენიმე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საერთაშორისო გაერთიანების რეგისტრაცია, თუ მისი ცენტრი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, უნდა მოხდეს ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილი წესით.

რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკის) საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება გაერთიანება, რომლის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის (ავტონომიური რესპუბლიკის) მთელ ტერიტორიაზე.

რეგიონალურ-საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება ის გაერთიანება, რომლის საქმიანობა მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის ერთ ან რამდენიმე რაიონს (ქალაქს) რეგიონალური ნიშნის მიხედვით.

ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება ის გაერთიანება, რომლის საქმიანობა მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის ერთ რაიონს (ქალაქს) ან ერთ დასახლებულ პუნქტს.

**მუხლი 7.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების კავშირები მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები უფლებამოსილი არიან თანასწორობის საწყისებზე გაერთიანდნენ კავშირებად.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების კავშირების შექმნის, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს განსაზღვრავს ეს კანონი.

**მუხლი 8.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების სიმბოლოები მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს შეუძლიათ ჰქონდეთ სიმბოლოები: აღამი, ემბლემა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი, რომელთაც ამტკიცებს მათი ხელმძღვანელი ორგანო და რეგისტრაციაში ტარდება ამ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 9.** იურიდიული პირის სტატუსი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები ან მათი ორგანიზაციები (ორგანოები) იურიდიული პირის სტატუსს მოიპოვებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მათი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან.

## თავი II. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა და საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 10. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესაქმნელად აუცილებელია სულ ცოტა ორმოცდათი წევრი.

პროფესიული კავშირების დაფუძნება შეიძლება სულ ცოტა ასი კაცის ინიციატივით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება (გარდა პროფესიული კავშირებისა) შეიძლება დააფუძნონ სხვა საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა.

მუხლი 11. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი, როგორც წესი, შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის სრულწლოვანი მოქალაქე. საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მასში უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა წევრობა.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრს უფლება აქვს ოფიციალურ დოკუმენტებში არ აღნიშნოს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების გარდა არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მას ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი აღნიშვნის გაკეთება.

ახალგაზრდულ საზოგადოებრივ გაერთიანებებში მოქალაქის წევრად მიღების ასაკი განისაზღვრება გაერთიანების წესდებით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებაში, მისი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება იყვნენ კოლექტიური წევრები - საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, საწარმოთა შრომითი კოლექტივები და მოქალაქეთა გაერთიანებები.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების მმართველობის აპარატის ყველა მუშაკზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონ-მდებლობის მოთხოვნები, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესები.

მუხლი 12. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი გაერთიანების შექმნის მიზნით იწვევს დამფუძნებელ კრებას (ყრილობას, კონფერენციას), რომელზეც იღებენ ამ ორგანიზაციის წესდებას (დებულება) და ირჩევენ გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებს.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება (დებულება) უნდა ითვალისწინოს:

1. ზოგად დებულებებს, რომლებშიც აისახება საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება, ადგილსამყოფელი და ტერიტორია, სადაც კრცელდება მისი საქმიანობა;
2. ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;
3. სტრუქტურას (უმაღლესი და ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადები);
4. წევრად მიღებისა და გასვლის წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს;
5. ორგანიზაციის ქონების შექმნის წყაროებსა და მათი გამოყენების წესს;

6. წესდებაში ცვლილების შეტანის პირობებს;
7. საქმიანობის შეწყვეტის საუუძვლებებს.

წესდებაში შეიძლება გაითვალისწინონ სხვა დებულებებიც, რომლებიც მიეკუთვნება საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობას და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 13.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის წესი და პირობები

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას (საერთაშორისო, რესპუბლიკური, რეგიონალური) დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებას - ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივ გაერთიანებებს - ადგილობრივი მმართველობის ორგანო.

განცხადება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის შესახებ მარევისტრირებელ ორგანოს წარედგინება დამუშანებელი კრების (ყრილობის, კონფერენციის) გამართვიდან ერთი თვის ვადაში ამ საზოგადოებრივი გაერთიანების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, მისამართის, სამუშაო ადგილისა და თანამდებობის მითითებით.

განცხადებას თან ერთვის დამფუძნებელი კრების (ყრილობის, კონფერენციის) სხდომის ოქმი და წესდება.

განცხადება რეგისტრაციის შესახებ განიხილება შეტანიდან ორი თვის

ვადაში.

წესდებაში ცვლილებები და დამატებები რეგისტრაციაში უნდა გატარდეს იმავე წესითა და ისეთისავე ვადებში, როგორც რეგისტრაციისათვის არის გათვალისწინებული.

მარეგისტრირებული ორგანო განცხადების განხილვის შედეგად იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს:

1. რეგისტრირებულ იქნეს;
2. განცხადება დარჩეს განუხილველად;
3. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

- შეხლი 14.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაცია

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის შემთხვევაში მარეგისტრირებული ორგანო სარეგისტრაციო მოწმობას გასცემს საქართველოს რესუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი მოსაკრებლის გადახდიდან ათი დღის ვადაში.

მოსაკრებლის გადახდა სავალდებულოა სარეგისტრაციოდ საბუობის წარდგენისთანავე. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში სარეგისტრაციო მოსაკრებელი მთლიანად უბრუნდება გადამხდელს.

- შეხლი 15.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება განუხილველად შეიძლება დარჩეს, თუ მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების დამფუძნებელი კრების (ყრილობის, კონფერენციის) მიერ არჩეული ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენელი მარეგისტრირებულ ორგანოში არ გამოცხადდება, ან სხვა შემთხვევაში.

- შეხლი 16.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის თქმა და მისი გასაჩივრების წესი

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საქართველოს რესუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას, ამ კანონის მე-3, მე-4 და მე-10 მუხლებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ან თუ ადრე რეგისტრირებულია იმავე სახელწოდებისა და მიზნების მქონე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება.

წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ათი დღის ვადაში წერილობით აცნობის განმცხადებლებს რეგისტრაციაზე უარის თქმის დასბუთებული მიზეზი.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებას შეუძლია წესდების რეგისტრაციაზე უარი ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში, რომელიც ათი დღის ვადაში გრიხლავს საქართველოს კანკურორტული წარმობის წესით.

უარის თქმის მიზეზის აღმოფხვრის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია განმეორებით წარადგინოს დოკუმენტები სარეგისტრაციოდ არა უადრეს ორი თვისა უარის თქმის დღიდან.

**მუხლი 17.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა

მოქალაქეთა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ შეიძლება საქმიანობა შეწყვიტოს რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის) ან ლიკვიდაციის შედეგად.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების რეორგანიზაცია ხდება საერთო კრების (ყრილობის, კონფერენციის) გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანების რეგისტრაცია ხდება ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. საერთო კრების (ყრილობის, კონფერენციის) გადაწყვეტილებით;
2. ამ კანონის ან საკუთარი წესდების დარღვევისას, ან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობის გამო - სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროკურატურის ან მარეგისტრირებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ხმარდება წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას ან შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**თავი III. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების  
საკუთრება და საფინანსო საქმიანობა**

**მუხლი 18.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება კანონმდებლობით დადგე-

ნილი წესით ეწევა საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას, ქმნის იური-დიული პირის უფლებების მქონე საწარმოებსა და სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებს მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით.

საზოგადოებრივი გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოვება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად და არ შეიძლება განაწილდეს გაერთიანების წევრებს შორის. დასაშვებია მოვების გამოყენება საქველმოქმედო საქმიანობისთვის, თუნდაც იგი გათვალისწინებული არ იყოს გაერთიანების წესდებით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადს კანონით დადგენილი წესითა დოქტორით.

**მუხლი 19.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საკუთრება

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, საბინაო ფონდი, მოწყობილობა, ინვენტარი, გამომცემლობები, სტამბები, ბეჭდვითი ორგანო, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოები, რომლებიც მათი სახსრებით ჩქმნება, კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების მქონე დაწესებულებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებების ფულად სახსრები იქმნება შესასვლელი და საწვრთ შენატებით, ნებაყოვლობით შენატებითა და შემოწირულობებით, ლექციების, გამოფენების, სპორტული და სხვა ღონისძიებების მოწყობით, ლატარიების გათასმშებით მიღწეული თანხოთ, საწარმოო-სამეურნეო, საგამომცემლო საქმიანობის შედეგად და სხვა კანონიერი შემოსავლით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას უფლება აქვს საზღვარგარეთიდან მიღოს ფულადი სახსრები და სხვა ქონება თავისი წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანება კლიფტულია დადგენილი წესით აწარმოს საფრანსის და სამეურნეო საქმიანობის ქონტროლი და აღრიცხვა-ანგარიშებისა.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საკუთრება დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

**მუხლი 20.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საშემოსავლო გადასახადები

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება თავისი შემოსავლიდან, გარდა

საწევრო შენატანებისა და შემოწირულობებისა, კანონით დადგენილი მოცულობითა და წესით იხდის გადასახადებს. გადასახდების დაკავების წესს აკონტროლებენ საფინანსო ორგანოები.

**მუხლი 21.** დავის განხილვის წესი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების დავა სხვა ოურიდიულ პირებთან და მოქალექებთან განიხილება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**თავი IV. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების  
საერთაშორისო კავშირურთიერთობაზი**

**მუხლი 22.** მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების მონაწილეობა საერთაშორისო კავშირებში

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია შევიდეს საერთაშორისო საზოგადოებრივ (არასამთავრობო) ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები, დადოს შესაბამისი შეთანხმებანი, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებებს.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი უცხოეთის სახელმწიფოთა საზოგადოებრივი გაერთიანების განყოფილებათა საქმიანობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი უცხოეთის სახელმწიფოთა საზოგადოებრივი გაერთიანების განყოფილებათა (წარმომადგენლობები, ფილიალები, სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები) საქმიანობას აწესრიგებს ეს კანონი.

**მუხლი 24. საერთაშორისო ხელშეკრულებები**

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ისეთი წესი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**მდგარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გასტანგ გოგიაშვილი.**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**402 “მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ”  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი “მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ” ამოქმედდეს გამოყენებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**403 “საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი მიღებული იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 14 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**404 საქართველოს პარლამენტის აგრძარულ კომისიაში  
ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ლევან ფურუოძე საქართველოს პარლამენტის აგრძარული კომისის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**განხტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 16 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**405 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიაში  
ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ანზორ წოწონავა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**განხტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 16 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**406 საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნენ რამაზ ზიზანიშვილი და ამირან ტაქიძე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**განხტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**407 საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა  
კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ამირან ქაშაკაშვილი საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**განხტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

408 ზუგდიდის 8/67 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

ცნობილ იქნეს ზუგდიდის N8/67 საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის ოთარ ფაცაციას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გახტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

409 ჩხოროწყუს 8/69 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

ცნობილ იქნეს ჩხოროწყუს N8/69 ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის ავთანდილ ტყებუჩავას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გახტანდ რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

410 წალენჯიხის 8/68 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ცნობილ იქნეს წალენჯიხის N8/68 საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის ვალერი ჭანტურიას უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**ვახტანგ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

411 საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის აპარატის საქმიანობის შემდგომი ორგანიზაციული სრულყოფის მიზნით განხორციელდეს შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები:

ა) შეიქმნას საორგანიზაციო სამმართველო და საპარლამენტო-შორისო კავშირების განყოფილება,

ბ) გარდაიქმნას:

იურიდიული განყოფილება - სამართლებრივ სამმართველოდ;

სამეცნიერო სამსახური - სამეცნიერო სამმართველოდ;

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება - საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებად;

კადრების სექტორი - კადრების განყოფილებად;

ინფორმატიკის სექტორი - ინფორმატიკის განყოფილებად;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფი არქივი და ბიბლიოთეკა დაიყოს

დამოუკიდებელ ერთეულებად;

დ) გაუქმდეს საფინანსო განყოფილება;

ე) მუშაობის დაგეგმვის დარღვი მთავარი სპეციალისტებისა და საოქ-  
მო-საიდუმლო სექტორის ექსი საშტატო ერთეული გამოყენებულ იქნეს  
საორგანიზაციო სამმართველოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტის აპარატის  
საშტატო განრიგის დაემატოს 29 ერთეული.

2. აპარატის სამეურნეო სამმართველო დაფუძნდეს იურიდიული პირის  
უფლებით და მისი მომსახურე პერსონალის საშტატო განრიგი შემცირ-  
დეს 30 ერთეულით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს  
აპარატის შენახვის ხარჯებში თვიური ხელფასის ფონდის 5388072  
კუპონით გაზრდა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გახტაზ რჩევლი მვალი.**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

412 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და  
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატე-  
ბათა შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. 1960 წლის 30. დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს  
რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზე-  
ნავის საბჭოს უწყებები, 1961 წ., N1, მუხ.10):

1. დაემატოს შემდეგი შინაარსის 100 1, 172-ე და 242 6 მუხლები:

“მუხლი 100<sup>1</sup>. ნავთობის ნედლეულის, ნავთობსადენების, ნავთობპროდუ-  
ქტების ან ნავთობგადამუშავებელი ობიექტების განზრას  
დაზიანება ან განადგურება

ნავთობის ნედლეულის, ნავთობსადენების, ნავთობპროდუქტების ან

ნავთობგადამშემავის ლიტერატურის განზრას დაზიანება ან განადგურება - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით, ან სხვა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ან ანგარებითი ქვენაგრძნობით, ან ცეცხლის წაკიდებით ოუ სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი ან განსაკუთრებით დიდი ზარალი ოუ სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რეიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით“.

**“მუხლი 172. ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების უნებართვოდ რეწვა**

ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების უნებართვოდ დამზადება, გადამუშავება ან შენახვა, აგრეთვე გასაღება -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების და მისი გამოსახდელი მოწყობილობის კონფისკაციით“.

**“მუხლი 242<sup>6</sup>. ნავთობმომპივებელი ობიექტის მუშაკთა იძულება**

ნავთობმომპივებელი ობიექტის მუშაკის იძულება არ შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა ამ მუშაკის ან მისი ახლო ნაოესავების მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარით -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე“.

2. 8 1 და მე-12 მუხლებს სიტყვების “100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები“ შედეგ დაემატოს სიტყვები “100<sup>1</sup> მუხლის მუხლის მეორე და მესამე ნაწილები“.

II. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., N1, მუხ. 11):

პირველ ნაწილს სიტყვების “მე-100 მუხლის პირველი ნაწილით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები “100 1 მუხლის პირველი ნაწილით“;

მეოთხე ნაწილს სიტყვების “მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები “100 1 მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“, ციფრების “171“ შემდეგ - ციფრები “172“ და ციფრების “242 1“ შემდეგი ციფრები - “242 6“.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**ერუარდ შევარდნაშვილი**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გია თავაძე**

თბილისი, 1994 წლის 28 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

413 საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ვალერი ჭანტურია საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გია თავაძე**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

414 საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილ-დეკემბრის ბიუჯეტის, II კვარტალში გაწეული და III კვარტალში მოსალოდნელი ხარჯების დაფინანსების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, საქართველოს პარლამენტს

მიმღინარე წლის 1 აგვისტომდე წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროცესი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე გამოყენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გრძელვადიანი კრედიტი (ხუთი წლის ვადით) მისი სარგებლობისათვის წლიური ერთპროცენტიანი საზღაურის გადახდით 1994 წლის მეორე კვარტალში გაწეული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსებისათვის 10 ტრილიონი ქუპონის, ხოლო ივლისში გასაწვევი ხარჯების დასავარავად - 2 ტრილიონი ქუპონის ოდენობით.

3. ამ დადგენილების მეორე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილი ემისიური კრედიტის მომჭირნეობითა და მიზნობრივად გამოყენების, მიმღეცვაში მისი თანაბარზომიერად გაშვების და მოსალოდნელი ინფლაციური პროცესების რეგულირების მიზნით შეიქმნას კომისია საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა შემდეგი შემადგენლობით:

თემურ ბასილია - საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

დაგით იაკობიძე - საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი; თემურ კოპალეშვილი - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

კლადიმერ პაპავა - საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი;  
მევლუდ წიკლაური - საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ სა-  
კითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ნოდარ ჯავახიშვილი - საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბან-  
კის პრეზიდენტი.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**

**განცხად რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

### **საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

415. სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების  
კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნას რომან მიმინიშვილი სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა  
და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარედ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**

**განცხად რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

### **საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

416. ვეტერანების საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის  
შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს ალექსანდრე ბერიძე საქართველოს პარლამენტის ვე-  
ტერანების საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**

**განცხად რჩეული შვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

417. “სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. ~სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 29 აპრილის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., N 6, მუხ. 99) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის 13<sup>1</sup> მუხლი:

“მუხლი 13<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

რიგითი, უმცროსი სერუანტი, სერუანტი, უფროსი სერუანტი, ზემდეგი; უმცროს ოფიცერთათვის: უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

უფროს ოფიცერთათვის: მაიორი, ვიცე პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი; უმაღლეს ოფიცერთათვის: გენერალ მაიორი.“

ამ წოდებებს წინ ემატება სიტყვა “საგადასახადო სამსახურის“.

რიგითი შემაღენლობის წოდებებს ანიჭებს ოპერატიული სამმართველოს უფროსი.

უმცროს და უფროს ოფიცერთა შემაღენლობას წოდებებს ანიჭებს რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის უფროსი, ოპერატიული სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

გენერალ-მაიორის წოდებას ანიჭებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

ამ წოდებების მისაღებად დადგენილი ვადები იგივეა, რაც სამხედრო სამსახურში.

2. მე-15 მუხლში სიტყვების “საბაჟო სამსახურის I კლასის ინსპექტორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები “საბაჟო სამსახურის უმცროსი მრჩეველი, საბაჟო სამსახურის მრჩეველი“.

3. დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის მე-15<sup>1</sup> მუხლი:

**“მუხლი 15!** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში წესდება შემდეგი სტატუსური წოდებები:

საგადასახადო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

საგადასახადო სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი;

საგადასახადო სამსახურის უფროსი მრჩეველი, მრჩეველი და უმცროსი მრჩეველი;

საგადასახადო სამსახურის პირველი, მეორე და მესამე კლასის ინსპექტორი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის და სახელმწიფო მრჩეველის წოდებები განკუთვნება უმაღლეს სტატუსურ წოდებას.

საგადასახადო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველის და სახელმწიფო მრჩევლის წოდებათა მინიჭება ხდება მზოლოდ დაკავებულ თანამდებობათა მიხედვით:

ა); საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსი - საგადასახადო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩევლი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის მთავარი - საგადასახადო სამსახურის სახელმწიფო მრჩევლი;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სამართველოს და წამყვან განყოფილებათა უფროსები - საგადასახადო სამსახურის უფროსი მრჩეველი;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სამართველოს უფროსების მთავარი და დამოუკიდებელ განყოფილებათა უფროსები - საგადასახადო სამსახურის მრჩეველი;

ე) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის განყოფილებათა უფროსები - საგადასახადო სამსახურის უმცროსი მრჩეველი.

4. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**“მუხლი 21. სტატუსური წოდებების და დიპლომატიური რანგების მინიჭების უფლება აქვთ: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის, მინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, გენერალურ პროკურორს, საბაჟო დეპარტამენტის თავ-**

მჯდომარეს და სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსს“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური.

**ეღუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**გაეტანდ გოგუაძე.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

418 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სირ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., N 1, მუხ. 10):

1. 161-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 161. უხარისხო პროდუქციის გამოშვება

უხარისხო პროდუქციის სასაქონლო ბაზარზე გამოშვება ან მომხმარებლისათვის ასეთი პროდუქციის სხვაგვარი რეალიზაცია, თუ მას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ან სხვა მძიმე შედეგი, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობამდე“.

2. 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში სიტყვების “(137-ე მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: “უხარისხო პროდუქციის გა-

მოშვება (161-ე მუხლი)“.

II. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., N 1, მუხ. 11):

126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრების “160 1“ -ის შემდეგ დაემატოს ციფრები “161-ე“.

III. 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., N 12, მუხ. 421):

1. 158-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“**მუხლი 158.** სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სხვისი სასაქონლო (მომ-სახურების) ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების ან საქონლის მარკირების უკანონო გამოყენება -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინი-მალურ ოდენობამდე.

2. 208-ე მუხლში ციფრების “156-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები “158-ე“.

3. 239-ე მუხლში ციფრების “153-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები “158-ე“.

4. 252-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრების “156-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები “158-ე“.

5. 262-ე მუხლის მეორე ნაწილში ციფრების “156-ე“ შემდეგ დაემატოს ციფრები “158-ე“.

IV. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე -

სახელმწიფოს მეთაური

**ერეარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგუაშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანა შესახებ

**419 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანა შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1984 წლის 10 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., N 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 208-ე მუხლში სიტყვები “119-123-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით: “121-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 122-ე, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

2. 209-მუხლის:

პირველ ნაწილში სიტყვები “116-118-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით “116-120-ე მუხლებით, 121-ე მუხლის პირველი, მეოთხე, მეხუთე ნაწილებით, 123-ე მუხლის მეორე ნაწილით“.

მეორე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები “118-ე მუხლით“ შეიცვალოს სიტყვებით “118-120-ე მუხლებით, 121-ე მუხლის პირველი, მეოთხე და მეხუთე ნაწილებით, 123-ე მუხლის მეორე ნაწილით“; სიტყვები “124-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით “124-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით“.

3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ელექტრონული ფასტის მიერადნაბე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

განატანის გოგონაბე.

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

420 საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

გათავისუფლდეს ნიკოლოზ ლეგიშვილი საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**ვახტანგ ჩჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

421 საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს მიხეილ გვერდწითელი საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**ვახტანგ ჩჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

422 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომისიის შემადგენლობაში ცელილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

განთავისუფლდეს ჯემალ ადამია საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრის მოვალეობისაგან და არჩეულ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

**გახტაცია რჩეული შვილის დაცვის სამინისტროს მიმღები მოვალეობის შესახებ**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

423 გირავნობის შესახებ

### კარი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გირავნობის ცნება

გირავნობა არის ვალიდებულების უზრუნველყოფის საშუალება, რომლის დროსაც კრედიტორი (მოგირავნე) მოვალის მიერ ვალიდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სხვა კრედიტორებთან შედარებით იძენს უპირატეს უფლებას კანონით დადგენილი წესით დაიკაფიცილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა გირავნობის შესახებ

ამ კანონით განისაზღვრება გირავნობის სამართლებრივი საფუძვლები, საგირავნო ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით

და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თუ საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადგებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია გირავნობის სხვა წესები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.

**მუხლი 3.** გირავნობის წარმოშობის საფუძვლები

გირავნობა წარმოშობა ხელშეკრულებით ან კანონის ძალით.

**მუხლი 4.** გირავნობის გამოყენების სფერო

გირავნობით შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ნამდვილი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს სესხის, მათ შორის საბანქო სესხის თაობაზე ხელშეკრულებიდან, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან, ქონების გირავნობიდან, ტვირთის გადაზიდვიდან და სხვა ხელშეკრულებიდან.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს ნივთი, ფასიანი ქაღალდი, სხვა ქონება და ქონებრივი უფლება.

გირავნობის საგანი არ შეიძლება იყოს პირადი ხასიათის მოთხოვნები, აგრეთვე მოთხოვნები, რომელთა გირავნობაც აკრძალულია კანონით.

გირავნობით დასაშვებია იმ მოთხოვნათა უზრუნველყოფაც, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში იმ პირით, თუ მსარეები შეთანხმდებიან ამგარი მოთხოვნების გირაოთი უზრუნველყოფის ღირებულებაზე.

**მუხლი 5.** გირავნობის სახეობანი

კანონით ამ ხელშეკრულებით დაგირავებული ქონება რჩება დამგირავებელს ან გადაცემა მოგირავნეს მფლობელობაში (დაწინდება).

საქონლის გირავნობა შეიძლება მოგირავნეზე ქონების განკარგვის დოკუმენტის ან ფასიანი ქაღალდის გადაცემის გზით. დაგირავებული ფასიანი ქაღალდი შეიძლება გადაიცეს სანოტარო კანტორის ან ბანკის დეპოზიტზე.

**მუხლი 6.** ნივთი, როგორც გირავნობის საგანი

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი, რომლის გასხვისება შეუძლია მოგირავნეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ კანონით ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ქონებაზე გირავნობის უფლება ვრცელდება ნივთის საკუთხელსა და ნაყოფზეც. გირავნობის უფლება შეიძლება გავრცელდეს გამოყოფილ ნაყოფზეც მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წესით და ფარგლებში.

ხელშეკრულებით ან კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს გირავნობის გავრცელება იმ ნივთებზეც, რომლებსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში.

**მუხლი 7.** საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გირავნობა საერთო საკუთრების ქონება შეიძლება გადაეცეს გირაოდ მხოლოდ ყველა მესაკუთრის თანხმობით.

თუ მესაკუთრე საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებულ თავის წილს აგირავებს, სხვა მესაკუთრეთა თანხმობა საჭირო არ არის.

**მუხლი 8.** გირავნობის საგნის შეცვლა

გირავნობის საგნის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მოგირავნესთან შე-თანხმებით. ბრუნვაში გაშვებული საქონლის დაგირავების შემთხვევაში გირავნობის საგნის შეცვლის წესი რეგულირდება ამ კანონის 43-ე მუხლით.

**მუხლი 9.** გირავნობა და დაზღვევა

კანონით ამ ხელშეკრულებით მოგირავნეს შეიძლება დაეკისროს მფლო-ბელობაში გადაცემული ქონების დაზღვევის ვალდებულება.

ლომბარდი ვალდებულია დააზღვიოს გირაოდ მიღებული ქონება დამ-გირავებლის ხარჯზე, დაგირავებული ქონების სრული ლირებულების შეფასებით. შეფასება ხდება მხარეთა შორის ქონების გირაოდ მიღების მომენტში.

ამ მუხლით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევების დადგომი-სას მოგირავნეს უპირატესი უფლება აქვს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება სადაზღვევო თანხიდან.

**მუხლი 10.** გირავნობის ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა

გირავნობის წერილობითი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებს გირავნობის სახეობას, გირაოთი უზრუნველ-ყოფილი მოთხოვნილების შესრულების არს, მის ოდენობას და შეს-რულების ვადას, დაგირავებული ქონების აღწერას და ლირებულებას (შეფასებას), მის ადგილმდებარეობას, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პუნ-ქტებს, რომლებზეც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ერთ-ერთი მხარის განცხადებით.

გირავნობის ხელშეკრულება ექვემდებარება სანოტარო წესით დამოწ-მებას, თუ მირითადი ხელშეკრულება ან მხარეთა შეთანხმება დამოწმე-ბულია ნოტარიიალურად.

გირავნობის შესახებ პირობა შეიძლება შევიდეს იმ ხელშეკრულებაში,

რომლითაც წარმოიშობა ვალდებულების გირავნობით უზრუნველყოფა. ასეთი ხელშეკრულება უნდა დაიდოს გირავნობის შესახებ ხელშეკრულებისთვის დადგენილი ფორმით.

გირავნობის ხელშეკრულების ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულების დადების ადგილას მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დადებული გირავნობის ხელშეკრულება ბათილად ვერ იქნება ცნობილი ფორმის დაუცველობის გამო, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული და მის ტერიტორიაზე განლაგებული შენობების, ნაგებობების, საწარმოების, მიწის ნაკვეთების და სხვა უძრავი ქონების, აგრეთვე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო გემების გირავნობის შესახებ ხელშეკრულებების ფორმა, მიუხდავად მათი დადების ადგილისა, განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

გირავნობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, თუ საერთაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, განისაზღვრება იმ ქვენის კანონმდებლობით, სადაც დაფუძნებულია დამგირავებელი, ან სადაც ცხოვრობს ან აქვს ძირითადი საქმიანობის ადგილი.

#### მუხლი 11. გირავნობის სახელმწიფო რეგისტრაცია

სახელმწიფო რეგისტრაციის ქვემდებარე საწარმოს მთლიანად ან მისი სხვა უძრავი ქონების გირავნობა რეგისტრირებული უნდა იყოს იმ ორგანოში, რომელმაც საწარმო რეგისტრაციაში გაატარა, თუ ამ კანონით დადგენილი არ არის რეგისტრაციის სხვა წესი.

თუ ქონების გირავნობა ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, გირავნობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

გირავნობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილად ცნობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგებით.

#### მუხლი 12. გირავნობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოქმედების გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს რეგისტრაციაზე უარი ან გირავნობის უკანონ რეგისტრაცია სასამართლოში იმ ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელმაც განახორციელა ან უნდა

განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედება.

**მუხლი 13.** ინფორმაცია გირავნობის რეგისტრაციის შესახებ

გირავნობის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია დამგირავებელსა და მოგირავნეს მისცეს რეგისტრაციის მოწმობა, მოგირავნის, დამგირავებლის ან სხვა დაინტერესებული პირის მოთხოვნით გაუგზავნოს მათ რეესტრის ამონაწერი.

**მუხლი 14.** სახელმწიფო ბაჟი

გირავნობის რეგისტრაცია, ვადის გაგრძელება, რეგისტრაციის მოწმობის გაცემა, აგრეთვე რეესტრის ამონაწერის გაგზავნა ანაზღაურდება სახელმწიფო ბაჟის გადახდით იმ ოდენობით, რამდენიც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. განმცხადებელი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ საბუთს. თუ ასეთი საბუთი არ არსებობს, განცხადება არ განიხილება.

**მუხლი 15.** მარეგისტრირებელი ორგანოს პასუხისმგებლობა

ორგანო, რომელსაც დაკისრებული აქვს გირავნობის რეგისტრაცია, პასუხს ავგბს ზარალისთვის, რომელიც მოჰყვა ამ ორგანოს მუშაკებისაგან რეგისტრაციის წესების დარღვევას.

**მუხლი 16.** გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების რეგისტრაცია

მოგირავნე დამგირავებლის მოთხოვნით ვალდებულია მისცეს მას ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი საბუთი რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი საბუთის მიღებისას მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს შესაბამისი ჩანაწერი რეესტრში.

**მუხლი 17.** დამგირავებლის დავთრის წარმოება

დამგირავებელი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ორგორუც მეწარმე, ვალდებულია:

შემოიღოს გირავნობის სარეგისტრაციო დავთარი;

გირავნობის მომენტიდან არა უგვანეს 10 დღისა შეიტანოს დავთარში გირავნობის სახეობისა და საგნის მონაცემები, მიუთითოს გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობა;

წარუდგინოს სარეგისტრაციო დავთარი გასაცნობად ნებისმიერ დაინ-

### ტერესებულ პირს.

დამგირავებელი პასუხს აგებს გირავნობის სარეგისტრაციო დავთარში გირავნობის ცნობების სისწორისა და დროული შეტანისათვის. დამგირავებელი ვალდებულია სრული მოცულობით აუნაზღაუროს დაზარალებულს - მოგირავნეს ან მესამე პირს გირავნობის სარეგისტრაციო დავთარში შესაბამისი ჩანაწერის დაგვიანებული შეტანით, უზუსტობით ან არასრული ჩანაწერით, აგრეთვე გირავნობის სარეგისტრაციო დავთრის წარდგენის ვალდებულებისათვის თავის არიდებით მიყენებული ზარალი.

### მუხლი 18. დამგირავებელი

დამგირავებელი შეიძლება იყოს ოურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც გირავნობის საგანი ეკუთვნის საკუთრების უფლებით, შეუძლია დააგირაოს მთელი საწარმო, მისი სტრუქტურული ერთეული, დანაყოფი, ქონების კომპლექსი, აგრეთვე ცალკეული შენობა და ნაგებობა, თუ ამის თანახმა მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

დაწესებულებას შეუძლია დააგირაოს ის ქონება, რომლის მიმართაც მას კანონით მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი განკარგვის უფლება.

უფლების დაგირავების შემთხვევაში დამგირავებლად შეიძლება გამოვიდეს ის პირი, ვისაც ეკუთვნის დასაგირავებელი უფლება.

მოიჯარეს შეუძლია დააგირაოს თავისი სიჯარო უფლებები მეიჯარესთან შეუთანხმებლად, თუ საიჯარო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 19. დაგირავებული ქონების განკარგვის უფლება

დამგირავებელი ინარჩუნებს დაგირავებული ქონების განკარგვის უფლებას, თუ ამ კანონით ან გირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დაგირავებულ ქონებაზე უფლების გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ გირავნობით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალის ახალ დამგირავებელზე გადასვლით.

### მუხლი 20. დაგირავებული ქონების შემდგომი (განმეორებითი) გირავნობა

დაგირავებული ქონების განმეორებითი გირავნობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით ან ადრე დადგებული საგირავნო ხელშეკრულებით.

### მუხლი 21. წინა მოგირავნის უფლება

თუ გირავნობის ობიექტია ნივთი, რომელიც უკვე ემსახურება სხვა

ვალის საგირავნო უზრუნველყოფას, წინა მოგირავნის საგირავნო უფლება ინარჩუნებს ძალას.

იმ მოგირავნის მოთხოვნები, რომლის გირავნობის უფლებაც მოგვიანებით წარმოიშვა, ექვმდებარება დაკმაყოფილებას გირავნობის საგნის ღირებულებიდან წინა მოგირავნის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

დამგირავებელი ვალდებულია გააცნოს ყველა მოგირავნეს წინა გირავნობა, ან გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ხასიათი და ოდენობა.

დამგირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ნებისმიერ მოგირავნეს ზარალი, რომელიც მოჰყვა ამ პუნქტის დარღვევას.

**მუხლი 22.** მოგირავნის მოთხოვნები, რომლებიც ექვმდებარება დაკმაყოფილებას დაგირავებული ქონების ხარჯზე

დაგირავებული ქონების ხარჯზე მოგირავნეს უფლება აქვს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სრული მოცულობით, ვალდებულების შესრულების გადავადგით მიყენებული ზარალის, დაგირავებული ნივთის შენახვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯების, აგრეთვე გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით.

**მუხლი 23.** გირავნობის საგანზე გადახდევინების უფლების წარმოშობა მოგირავნის უფლება გირავნობის საგანზე გადახდევინების შესახებ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის მომენტისათვის ეს ვალდებულება არ იქნება შესრულებული, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 24.** გირავნობის საგნის მდგრამარეობა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში

თუ მევალე ნაწილობრივ შესრულა გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულება, გირავნობის საგანი ინარჩუნებს ძალას პირველადი მოცულობით ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 25.** მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება ორი ან მეტი ნივთისაგან (უფლებებისაგან) შემდგარ გირავნობის საგანზე

თუ გირავნობის ხელშეკრულების საგანი ორი ან მეტი ნივთია (ორი ან მეტი უფლება), დასაშვებია გადახდევინება ყველა ამ ნივთზე (უფლება),

ბაზე) ან ნებისმიერ ნივთზე (ნებისმიერ უფლებაზე). არჩევის უფლება მინიჭებული აქვს მოგირავნეს, თუ მოგირავნე გადაახდევინების ერთ ნივთზე (უფლებაზე), ინარჩუნებს გადახდევინების შემდგომ შესაძლებლობას გირავნობის საგნის შემადგენელ სხვა ნივთებზე (უფლებაზე).

**მუხლი 26.** მოგირავნის მოთხოვნების დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ

თუ მესამე პირი სრული მოცულობით აკმაყოფილებს მოგირავნის მოთხოვნას, მას, მოთხოვნის უფლებასთან ერთად, გადაუცემა გირავნობის უზრუნველყოფის უფლებაც იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მოთხოვნის დათმობის შესახებ.

**მუხლი 27.** დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინების წესი

დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინება ხდება სასამართლოს, საარბიტრაჟი სასამართლოს და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვებია გადახდევინება უდავო წესითაც, ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერის საფუძველზე.

დაგირავებული ქონების რეალიზაცია, რომელიც ექვემდებარება გადახდევინებას, ხდება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. მოქალაქეთა იმ ქონების ნუსხა, რომელზეც არ შეიძლება გადახდევინება, დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

**მუხლი 28.** მოგირავნის მოთხოვნების დაკმაყოფილება დაგირავებული ნივთის რეალიზაციით ამოგებული თანხის უკმარობის შემთხვევაში

გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამოგებული თანხის უკმარობის შემთხვევაში მოგირავნეს, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უფლება აქვს მიიღოს უკმარი თანხა მოვალის სხვა ქონებიდან, რომელზეც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დაშვებულია გადახდევინება. მოგირავნე ამ დროს არ სარგებლობს გირავნობის უფლებაზე დამყარებული უპირატესობით.

თუ გირავნობის საგნის რეალიზაციით ამოგებული თანხა აჭარბებს მოგირავნის მოთხოვნას, სხვაობა უბრუნდება დამგირავებელს.

**მუხლი 29.** დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინების შეჩერება ან შეწყვეტა ძირითადი მოთხოვნის შესრულების შედეგად

დამგირავებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, გირავნობის საგნის რეალიზაციამდე, შეწყვიტოს დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინება გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების შედეგად.

თუ გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებით გათვალისწინებულია ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება, დამგირავებელს უფლება აქვს შეაჩეროს გირავნობის საგანზე გადახდევინება ვალდებულების გადავალდებული ნაწილის შესრულების შედეგად.

დაუშვებელია მოგირავნის და დამგირავებლის შეთანხმება, რომელიც არღვევს ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალიწინებულ წესებს.

**მუხლი 30.** გირავნობის შენარჩუნება გირავნობის საგნის მესამე პირისთვის გადაცემისას

გირავნობა ინარჩუნებს თავის ძალას, თუ გირავნობის საგანზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცემა.

**მუხლი 31.** გირავნობის შენარჩუნება მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაცემისას

გირავნობა ინარჩუნებს თავის ძალას, თუ კანონით დადგენილი წესით მოგირავნე გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას უთმობს, ან დამგირავებელი გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან წარმოშობილ ვალს გადასცემს მესამე პირს.

**მუხლი 32.** გირავნობის შეწყვეტის საფუძვლები  
გირავნობის უფლება წყდება:

- გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნების შეწყვეტისას;
- დაგირავებული ქონების მოსპობისას;
- გირავნობის საგნის მოგირავნისათვის გადაცემისას;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## გ ა რ ი Ⅱ

### თავი I. გირავნობის ზოგადი საკითხები

**მუხლი 33.** გირავნობის საგანი დაგირავებული ნივთის დამგირავებლოთან დატოვებით

გირავნობის საგანი დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვებით შეიძლება იყოს საწარმო, შენობა, ნაგებობა, ბინა მრავალბინან სახლში და სხვა უძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალებანი და

აგრეთვე სხვა ქონება, რომელიც მითითებულია ამ კანონის მე-6 მუხლში, გამოყოფილი ნაყოფი, იმ პირობით, თუ იგი გამოყოფის მომენტიდან არ იქცევა მესამე პირის უფლების ობიექტად.

დაგირავებული ქონება, რომელიც დამგირავებულია მესამე პირს გადასცა მფლობელობაში ან სარგებლობაში, დამგირავებელთან დატოვებულად ითვლება.

**მუხლი 34.** მოგირავნის უფლება დაგირავებული ნივთის დამგირავებულთან დატოვების დროს

მოგირავნებს დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვების დროს, თუ გირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს გირავნობის საგნისაღმი ნებისმიერი ისეთი ხელყოფის შეწყვეტა, რომელიც მას მოსპობის ან დაზიანების საფრთხეს უქმნის;

ბ) მოსთხოვოს დამგირავებელს ყველაფერი იღონოს გირავნობის საგნის დასაცავად;

გ) შეამოწმოს დაგირავებული ქონების ოდენობა, მდგომარეობა და შეახვის პირობები. შემოწმება შეიძლება დოკუმენტურად ან ნატურით.

**მუხლი 35.** დამგირავებლის უფლება დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვების დროს

თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამგირავებელს დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვების დროს უფლება აქვს:

ა) ფლობდეს და იყრნებდეს საგანს დანიშნულებისამებრ;

ბ) განკარგოს გირავნობის საგანი და გადასცეს შემძენს გირავნობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

გ) გასცეს იჯარით.

**მუხლი 36.** დამგირავებლის მოვალეობები დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვების დროს

დამგირავებელი დაგირავებული ნივთის დამგირავებელთან დატოვების დროს, თუ გირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ვალდებულია:

ა) მიიღოს გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველაზომა ან სხვა რამ ღონისძიება გირავნობის საგნის დასაცავად, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩათვლით;

ბ) დააზღვიოს გირავნობის საგანი მისი სრული ღირებულებით;

გ) აცნობოს მოგირავენეს გირავნობის საგნის იჯარით გაცემა.

თუ დამგირავებელი დაარღვევს 34-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მოგირავენეს უფლება აქვს გამოიყენოს გირავნობის საგანზე გადახდევინება გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ვადის დადგომამდე.

**მუხლი 37.** სატრანსპორტო საშუალებების გრძელობის ხელშეკრულების ფორმა საზღვაო გემების, საჰაერო ხომალდების, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის და საავტომობილო ტრანსპორტის გირავნობის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

სატრანსპორტო საშუალებების გირავნობა ექვემდებარება რეგისტრაციას იმ სახელმწიფო ორგანოთა რეესტრში, რომლებიც რეგისტრაციაში ატარებს სამოქალაქო საჰაერო, საზღვაო და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს.

**მუხლი 38.** მიწის ნაკვეთების გირავნობა

მიწის ნაკვეთის გირავნობა იმ პირების მიერ, რომლებსაც ის ეკუთვნის საკუთრების უფლებით, თუ ასეთ გირავნობაზე არ ვრცელდება ამ კარის მე-2 თავის წესები, რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის მიწის და სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თავი 2. საწარმოს, შენობის, ნაგებობის და მიწასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა უძრავი ქონების გირავნობა (იპოთეკა)**

**მუხლი 39. იპოთეკის ცნება**

იპოთეკა არის საწარმოს, შენობის, ნაგებობის ან მიწასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა უძრავი ქონების გირავნობა შესაბამის მიწის ნაკვეთთან, ან ამ ნაკვეთით სარგებლობის უფლებასთან ერთად.

**მუხლი 40. იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების ფორმა. იპოთეკის რეგისტრაცია**

იპოთეკის შესახებ ხელშეკრულება უნდა იყოს დამოწმებული სანოტარო წესით და რეგისტრირებული მიწის დავთარში საწარმოს, შენობის, ნაგებობის და ა. შ. ადგილმდებარეობის მიხედვით.

იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების დამგირავებლიდან სხვა პირისათვის გადაცემა რეგისტრაციაში უნდა გატარდეს იპოთეკის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

საწარმოს გირავნობის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მიაწოდოს მიწის დავთორის მწარმოებელ ორგანოს საწარმოს გირავნობის რეგისტრაციის ცნობები.

#### მუხლი 41. საწარმოს იპოთეკა

საწარმოს იპოთეკა ვრცელდება მთელ მის ქონებაზე მირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე სხვა ფასეულობებზე, რომლებიც ასახულია საწარმოს დამოკიდებულ ბალანსში, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოგირავნის მოთხოვნით დამგირავებელი საწარმო ვალდებულია წარუდგინოს მას წლიური ბალანსი.

მოგირავნეს საწარმოს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება აქვს გამოიყენოს იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, დანიშნოს საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში თავისი წარმომადგენელი, შეზღუდოს წარმოებული პროდუქციისა და სხვა ქონების განკარგვის უფლება და ა. შ.

თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებანი საჭირო შედეგებს არ იძლევა, მოგირავნეს უფლება აქვს გამოიყენოს გირავნობის საგანზე გადახდევინება.

იპოთეკაში მყოფ საწარმოზე გადახდევინებისას საწარმო იყიდება აუქციონზე როგორც ერთიანი კომპლექსი, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 42. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების შესაძლებლობა

თუ იპოთეკის ხელშეკრულება გამორიცხავს იპოთეკის საგნის შემდგომი დაგირავების შესაძლებლობას, დამგირავებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ვადაზე ადრე, შესარულოს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება სრული მოცულობით.

#### თავი 3. ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობის გირავნობა

მუხლი 43. ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობის თავისებურებანი

ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობისას

დასაშვებია გრავნობის საგნის შეცლა მისი შემაღენლობისა და ნატურალური ფორმის მიხედვით იმ პირობით, თუ ამით არ შემცირდება გრავნობის ხელშეკრულებაში მითითებული საქონლის საერთო ღირებულება.

დასაშვებია ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის დირებულების შემცირება გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებული ნაწილის თანაბარზომიერად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დამგირავებლის მიერ რეალიზებული საქონელი, ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობისას, კარგავს გირავნობის საგნის მნიშვნელობას შემძებზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. დამგირავებლის მიერ შეძნილი საქონელი გირავნობის საგანი ხდება მასზე დამგირავებლის საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან.

**მუხლი 44.** ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობის ხელშეკრულების შინაარსი

ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის გირავნობის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას, სხვა მახასიათებლებს, გირავნობის საგნის საერთო თანხას, იმ შენობის დასახელებას (მისამართს), სადაც ინახება, აგრეთვე იმ საქონლის დასახელებას, რომლითაც შეიძლება შეიცავლოს გირავნობის საგანი.

**მუხლი 45.** დამგირავებლის უფლება ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის დაგირავების დროს

ბრუნვაში და გადამუშავებაში არსებული საქონლის დაგირავების დროს დამგირავებელი ინარჩუნებს გირავნობის საგნის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას ამ თავით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

### კარი III. გირავნობა დაგირავებული ნივთის მოგირავნისთვის გადაცემით (დაწინდება)

**მუხლი 46.** დაწინდების არის

დაწინდება არის გირავნობის სახეობა, რომლის დროსაც დაგირავებული მოძრავი ნივთი გადაცემა მოგირავნეს მფლობელობის უფლებით.

დაწინდების საგანი მოგირავნის დამგირავებელთან შეთანხმებით შეიძლება დამგირავებელთან დარჩეს მოგირავნის მიერ ჩაკეტილი და დალუქელი. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი შეიძლება დარჩეს

დამგირავებელთან მასზე დაწინდების დამადასტურებელი ნიშნის დადებით (მყარი დაწინდება).

**მუხლი 47.** მოგირავნის ვალდებულებები დაწინდების დროს დაწინდების დროს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მოგირავნე ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან სხვა საჭირო ღონისძიებანი დაწინდების საგნის დასაცავად;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს დამგირავებელს დაწინდების საგნის მოსპობის ან დაზიანების საფრთხის წარმოშობა;

გ) რეგულარულად გაუგზავნოს დამგირავებელს ანგარიში დაწინდების საგნით სარგებლობის შესახებ, თუ მისი სარგებლობა დაშვებულია ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილით;

დ) დაწინდებით უზრუნველყოფილ კალებულების შესრულების შემთხვევაში დაუყვნებლივ დაუბრუნოს დაწინდების საგანი დამგირავებელს ან მესამე პირს;

ე) დააზღვიოს დამგირავებლის ანგარიშზე და მისი ინტერესების შესაბამისად დაწინდების საგანი ღირებულების სრული მოცულობით.

მოგირავნემ, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, უნდა ამოიღოს დაწინდების საგნიდან შემოსავალი დამგირავებლის ინტერესებისათვის.

**მუხლი 48.** მოგირავნის უფლებები დაწინდების დროს

მოგირავნეს, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით, უფლება აქვს ისარგებლოს დაწინდების საგნით. ამ გზით შეძენილი ქონებრივი სარგო შეიძლება გამოყენებული იყოს დაწინდების საგნის მოსავლელად (შესანახად), ან ჩაითვალოს ვალის დაფარვის ანგარიშში.

თუ დადგება დაწინდების საგნის მოსპობის, დაზიანების ან ღირებულების შემცირების რეალური საფრთხე, რომელიც მოგირავნის ბრალი არ არის, მას უფლება აქვს მოსთხოვოს დამგირავებელს დაწინდების საგნის შეცვლა, დამგირავებლის უარის შემთხვევაში გამოიყენოს დაწინდების საგანზე გადახდევინება დაწინდებით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე.

**მუხლი 49.** დაწინდებით უზრუნველყოფილი ვალდებულების ვადაზე აღრე შესრულების შესაძლებლობა

დამგირავებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოთხოვოს გრძელობის შეწყვეტა და ვალზე აღრე შესრულოს დაწინდებით უზრუნველყოფილ კალებულება, თუ მოგირავნე დაწინდების საგანს ჯეროვნად არ იასხეს ან იუწესს.

**მუხლი 50.** მოგირავნის პასუხისმგებლობა დაწინდების საგნის დაკარგვის,

დანაკლისის ან დაზიანებისათვის

დაწინდების დროს მოგირავნე პასუხს აგებს დაწინდების საგნის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი და დაზიანება მისი ბრალი არ არის.

მოგირავნე თუ ეს გაფლოსწინებულია ქნით ან ხელშეკრულებით, დაწინდების საგნის დაკარგვის, დაზიანების ან დანაკლის შემთხვევაში ვალიდურებულია უნაზღაუროს დამგირავებელის ამ მაზეზთ გამოწვეული ზრული სრული მუცულობით.

მოგირავნე დაწინდების საგნის დაკარგვისა და დანაკლისათვის პასუხს აგებს დაკარგული (უქმარი) ნივთის ღირებულების ოდენობით, გირავნობის საგნის დაზიანების შემთხვევაში იმ თანხით, რამდენითაც შემცირდა დაგირავებული ნივთის ღირებულება. თუ დაწინდების დროს შეუასდა დაწინდების საგანი, მოგირავნის პასუხისმგბლობა არ უნდა აღემატებოდეს მოცემულ შეფასებას.

თუ მოგირავნედ გამოიდის ლომბარდი ან სხვა ორგანიზაცია, რომლისთვისაც მოქალაქებზე ქრედიტის გირაოს სახით გაცემა მისი სამუშაო (სამეწარმეო) საქმიანობის მიზანია, იგი თავის უფლდება პასუხისმგებლობისაგან შეოლოდ იმ პირობით, თუ დამტკიცებს, რომ გირავნობის საგნის დაკარგვა, მოსპობა ან დაზიანება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ან დამგირავებლის განხრას თუ უხეში გაუფრთხოლებლობის შედეგად.

#### კარი IV. უფლების გირავნობა

**მუხლი 51.** უფლება, როგორც გირავნობის ობიექტი

გირავნობის ობიექტი შეიძლება იყოს დამგირავებლის კუთვნილი მფლობელობისა და სარგებლობის უფლება, მათ შორის მოიგარის უფლება, კალდებულებებიდან გამომდინარე სხვა ქონებრივი უფლებები (მოთხოვნები).

ვადიანი უფლება შეიძლება იყოს გირავნობის საგანი მისი მოქმედების ვადის გასვლამდე.

უფლების გირავნობის ხელშეკრულებაში, თუ უფლებას უფლადი შეფასება არა აქვს, გირავნობის საგნის ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

**მუხლი 52.** უფლების გირავნობის ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა

უფლების გირავნობის შესახებ ხელშეკრულებაში ამ კანონის მე-10 მუხლში ჩამოთვლილ პირობებთან ერთად მითითებული უნდა იყოს დამგირავებლის მოვალე. დამგირავებელი კალდებულია შეატყობინოს თავის მოვალეს უფლების გირაოდ გაცემა.

**მუხლი 53.** დამგირავებლის ვალდებულებები უფლებების გირავნობის დროს დამგირავებელი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ვალდებულია:

ა) ყველაფერი იღონოს დაგირავებული უფლების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად;

ბ) არ დაუთმოს სხვას დაგირავებული უფლება;

გ) არ ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც გამოიწვევს დაგირავებული უფლების შეწყვეტას ან მისი ღირებულების შემცირებას;

დ) დაიცვას დაგირავებული უფლება მესამე პირთა ხელყოფისაგან;

ე) მიაწოდოს მოგირავნეს ცნობები დაგირავებული უფლების შეცვლის, ან მესამე პირების მიერ ამ უფლების დარღვევის, ანდა ამ უფლებაზე მესამე პირთა პრეტენზის შესახებ.

**მუხლი 54.** მოგირავნის უფლებები უფლების გირავნობის დროს მოგირავნეს, უფლების გირავნობის დროს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უფლება აქვს:

ა) გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვალის დადგომამდე დამოუკიდებლად მოითხოვოს სასამართლო წესით დაგირავებული უფლების მისთვის გადაცემა, თუ დამგირავებელი არღვევს ამ კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

ბ) გამოვიდეს მესამე პირის სახით სასამართლოში საქმეზე, რომლითაც განახილება დაგირავებული უფლების სარჩელი;

გ) თუ დამგირავებელი დაარღვევს ამ კანონის 53-ე მუხლის “დ” პუნქტს, დამოუკიდებლად მიიღოს ზომები დაგირავებული უფლების მესამე პირთა ხელყოფისაგან დასაცავად.

**მუხლი 55.** მოგალის მურ დატერავებლის ვალდებულების შესრულების შედეგში თუ დამგირავებლის მოვალე დამგირავებლის მიერ გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებამდე შესარულებს თავის ვალდებულებას, შესრულების შედეგები შევა გირავნობის საგანში, რაც დამგირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოგირავნეს.

თუ მოვალე ვალდებულების შესრულების ანგარიშში დამგირავებელს გადასცემს ფულად თანხას, დამგირავებელი ვალდებულია მოგირავნის მოთხოვნით, გადაურიცხოს მას შესაბამისი თანხა გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, თუ გირავნობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## ქართ V. გირავნობის დროს მხარეთა უფლებების გარანტიები

**მუხლი 56.** მოგირავნისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვა და-  
გირავებული ქონების მიმართ კანონით გათვალისწინებუ-  
ლი უფლებების შეწყვეტისას

საქართველოს ოქსპედიტორის ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღები-  
სას, რომლებიც წყვეტის მოგირავნის საგირავნო უფლებებს ან დამგი-  
რავებლის უფლებებს დაგირავებულ ქონებაზე, სახელმწიფო ვალდებუ-  
ლია აუნაზღაუროს მოგირავნეს ან დამგირავებელს ასეთი აქტების მიღებით  
გამოწვეული ზარალი სრული მოცულობით.

ზარალის ანაზღაურების გამო დავა წყდება სასამართლოს მეშვეობით.

თუ სახელმწიფო მმართველობის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას  
დაგირავებულ ქონებაზე (უფლებაზე) საკუთრების შეწყვეტის შესახებ,  
რომლის მიზანი არ არის უშუალოდ დაგირავებული ქონების (უფლებ-  
ის) ამოღება, აგრეთვე მიიღებს გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის  
ჩამორთმევის თაობაზე, რომელზეც განლაგებულია დაგირავებული სახ-  
ლი, სხვა შენობა-ნაგებობები ან ნარგავები და ამ გადაწყვეტილებით  
ზარალი მიაღება მოგირავნეს, იგი უნდა ანაზღაუროს სახელმწიფო მმართველო-  
ბის ორგანომ, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, მის განკარგულებაში  
არსებული სახსრების ხაჯვზე. ზარალის ანაზღაურების გამო დავა  
განიხილება სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში.

**მუხლი 57.** გირავნების უფლების დამრღვევი აქტების ბათილობა  
სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის  
ორგანოს ისეთი აქტი, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას და არღვევს  
მოგირავნის უფლებას, ბათილად უნდა ჩათვალოს სასამართლოშ ან საარბი-  
ტრაჟო სასამართლოშ მოგირავნის განცხადების საფუძველზე.

აქტის გამოცემის შედეგად მიყენებული ზარალი, რომელიც აღნიშ-  
ნულია ამ კანონის 56-ე მუხლის, სრული მოცულობით უნდა ანაზღაუროს  
სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოშ.  
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

**მდგრად შევარდნავა.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

**ვახტანგ გოგიაშვილი.**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**424 “გირავნობის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“გირავნობის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედ-  
დეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე  
**გახტაც რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**425 “საწარმოთა შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საწარმოთა შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ  
იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე  
**გახტაც რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1994 წლის 30 ივნისი.

## განვითარება მეორე საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება

ა. წ. 14 ივნისს საპარლამენტო ფრაქცია “რესპუბლიკელებმა” პარლა-  
მენტის სხდომაზე გააკეთა განცხადება, სადაც ეჭვის ქვეშ დააყენა  
რუსეთის ჯარის მიერ საქართველოში სამშვიდობო მისიის შესრულების  
საკითხი. ამას მოჰყვა სამშვიდობო ოპერაციის გადავადება, პოლი-  
ტიკური მოწესრიგების პროცესის გაჭიანურება.



საპარლამენტო უმრავლესობას მიაჩინა, რომ ერთი ფრაქციის განცხადებამ (სულ 21 დეკემბერი) არ უნდა მოახდინოს არავითარი ზემოქმედება პოლიტიკური მოწესრიგების პროცესზე და აცხადებს, რომ მთლიანად იზიარებს და მხარს უჭირს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის უწინარესად გენოციდის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების მშვიდობიან გზას.

გამოვხატავთ რა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს ამ საკითხზე, ჩვენ კიდევ ერთხელ აღნიშნავთ, რომ დღეს არსებული რეალობების გათვალისწინებით არჩეულ გზას გონიერი ალტერნატივა არ გააჩნია. საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამებრობობის, უპირველეს ყოვლისა, რესეთის ჯარების მიერ სამშვიდობო მისიის განხორციელება ერთადერთი რეალური და, მაშასადამე, სწორი გზაა, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსაღენად, ქართველთა, აფხაზთა, ქვეყნის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის საქონლდღეოდ, არამედ საქართველო-რუსეთის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობების აღსაღენად, მთლიანად კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განსამტკიცებლად.

ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი მცდელობა ამ პროცესის ჩაშლის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ბზარის გაჩენის და კონფრონტაციული პოლიტიკის რეანიმაციისა, მიმართულია ქვეყნისა და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ და არავთარ შემთხვევაში არ გამოხატავს ორგორცპარლამენტის და საერთოდ საქართველოს ხელისუფლების, ასევე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს.

მიღებულია საპარლამენტო

უმრავლესობის სხდომაზე.

თბილისი, 1994 წლის 15 ივნისი.

## საპარლამენტო უმრავლესობის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სამწუხაროდ, ჩვენ კიდევ ერთხელ იძულებულნი ვართ დავაფიქსიროთ, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი კვლავაც ცდილობს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაციას, რისთვისაც სულ ახალ-ახალ ხრიკებს მიმართავს.

ასე, უკანასკნელ ხანს ცდილობენ პარლამენტის სამსჯელოდ ე.წ. „სახელმწიფო ხელისუფლების საკითხის“ გამოტანას, რაც მიმართულია უწინარესად სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეკვეცისაკენ და, ამგვარად, პირველ რიგში, აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმების ჩასაშლელად. ეს არ გამოუვიდათ მაშინ, როდესაც ცდილობდნენ თავს მოქმედი პარლამენტისათვის უშუალოდ ამ პროცესის ჩაშლა, ახლა კი სხვა მხრიდან ცდილობენ ამის გაქტებას. თავად რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვაც გვიჩვენებს, რომ ზოგ პოლიტიკურ ძალას პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა აინტერესებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ როგორც სამთავრობო კრიზისის გამომწვევი მექანიზმი. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პარლამენტის ზოგიერთ კომისიას საერთო არ განუხილავს ბიუჯეტის პროექტი და სერიოზულად არც კი უშუალვად მასზე.

რაც შეეხება ხელისუფლების საკითხს, მისი განხილვა ისედაც მოხდება ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისას და ასეთი პროექტი, როგორც ვიცით, უკვე რამდენიმეა. საპარლამენტო უმრავლესობა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა კონსტიტუციის მომზადებას, აქტიურად მუშაობს პროექტებზე და ემზადება ასეთი განხილვისათვის.

თუკი ოპოზიციას გააჩნია სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, იგი უნდა გადაეცეს ოურიდიულ კომისიას და მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურით მოხდეს მისი განხილვა. მაგრამ ამ საკითხებზე დღეს მოუმზადებელი დისკუსიების გამართვას, მიმართულს მხოლოდ და მხოლოდ მდგომარეობის დესტაბილიზაციისათვის, აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის ჩასაშლელად, ჩვენ განვიხილავთ როგორც ახალი პროვოკაციის მცდელობას, რაშიც მონაწილეობას, ცხადია, არ მივიღებთ.